

# ლიტერატურული გაზეთი

№79 20 ივლისი - 2 აგვისტო 2012

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

## წიგნიდან: ს ა ი ტ. უ მ ლ ო ბ ა რ ა თ ი — 2

\*\*\*

არა მაქვს ტანსაცმელი  
და არც საჭმელ-სასმელი...  
მაგიერში კაცი ვარ –  
ჯვარზე კაი საცმელი...  
პაემანი დასრულდა –  
არც გელი და არც მელი!  
შენაც კაი ვინმე ხარ –  
ჯვარზე კაი საცმელი!  
რუსთველი და შავთელი,  
ხანძთელი და ზარზმელი... –  
წინაპრებთან შეხვედრის  
მაუწყებელ ზარს ველი...  
ნელა მიიპარება  
დრო – სიცოცხლის მძარცველი...

მიყვარს ადამიანი –  
ჯვარზე კაი საცმელი...

### ბანდოლიზიციონერული ლექსპროზა

იმოგ ზაურეთ, გენებო, სად როდის როგორ გენებოთ! —  
ხელმწიფე; ბრძენო; სულელო; როსკიპო; მონავ; განაბო...  
მარადიულო ბარბებო, მარადიულო კენებო,  
სად, როდის, როგორ გენებოთ – იმოგ ზაურეთ, გენებო...  
რუსთაველებო, ბრამსებო, ბახებო, გოტფრიდ ბენებო,  
როგორიც გინდათ, რამდენიც – ამრავლეთ გენი, გენებო!  
მემკვიდრეობის წყალობავ – გრძელო, ჭარტალა ენებო,  
კუზიან-შაქრიანებო – მიდით, იმრავლეთ, გენებო!  
გამობერილო მუცლებო, ნაკლულევიანო ვენებო,  
გამრავლდით იაკობივით – არასდროს მოცდეთ, გენებო!  
მოყვრისებო და მტრისებო, იმათებო და ჩვენებო –  
გამრავლდი, კაცობრიობავ – კარგო და ცუდო გენებო...  
ოლიგარქების მოდგმავ და უღარიბესო ფენებო –  
როგორც გინდათ და რამდენიც – მიდით, იმრავლეთ, გენებო!  
ვუნდერკინდებო — ბუნების ნამდვილო აღმოჩენებო –  
არ შეისვენოთ წამითაც – იმრავლეთ თავი, გენებო...

\*\*\*

უფლის ფარული კამერის  
ყოვლისმხილველი თვალი  
ყველა სიტუაციაში  
მეც, რა თქმა უნდა, მხედავს...  
რამდენი რამ მაქვს სათქმელი,  
მაგრამ თვითონ რომ არ ჩანს,  
თავს ველარ ვუყრი სიტყვებს და  
ვერც ხმის გაღებას ვბედავ...

უფლის ფარული კამერის  
მაინც არ ვკარგავ იმედს და  
ვარჩევ სიტყვებს და თავს ვუყრი  
რთულ, საჩოთირო სათქმელს...  
ნეტავი გამიმართლებდეს –  
წუთით გადავეყრებოდე  
უცებ, პირდაპირ, როგორმე,  
სულ ერთი წამით... სადმე...

უფლის ფარული კამერით  
ნეტა როგორი ვჩანვარ...  
ან როდის მოვა ჩემი დრო –  
ედემში როდის ჩავალ...

### პოეტი – მკითხველი

ვენაცვალე ხიმენებს,  
ლორკებსა და მაჩადოებს!  
ვილას უკვირს კარგი ლექსი,  
მაგრამ მათი — მაჯადოებს!  
ძალზე ცუდ შთაბეჭდილებას  
ამ დროს ჩემი მაჯა ტოვებს! –  
მანადგურებს მათი ლექსი,  
მლლის, მსპობს,  
მთენთავს,  
მაჯადოებს...

— არა, თბილისის გარეთ კულტურული უდაბნო სულაც არაა, — თქვა ეკამ, — იქ, უბრალოდ, დრო უფრო ნელა მიედინება და სიახლეები გვიან აღწევს. ზოგჯერ ისეთ უცნაურ ადამიანებს გადააწყდები, აქ რომ ვერ შეხვდები.

— არქაულ ტიპაჟებს? — გაიღიმა ლელამ.

— არქაულსაც და ზოგჯერ მეტისმეტად თანამედროვესაც.

— შენ, მგონი, საინტერესო მასალა ჩამოიტანე ბოლო მივლინებიდან.

ისინი ღია კაფეში ისხდნენ თბილისის ცენტრში, ფეხით მოსიარულეთა ქუჩაზე. ქვით მოკირწყლული ხუთსამეტრიანი მონაკვეთი თითქოს ევროპის ნაწილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის, უდაბნოსა და ნალკოტის საზღვარზე მდებარე ქალაქში. ამ ზაფხულს რამდენიმე დიდი ეკრანიც ჩამოკიდეს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის საჩვენებლად. თუმცა, ორ მეგობარ ქალს სპორტი არ იზიდავდა. ლელა სკამზე ოდნავ გადანოლილიყო და უყურებდა, ეკას თხელ თითებში გარჩილი წვრილი სიგარეტიდან როგორ მიიჩნეოდა ზევით მონაცრისფრო ბოლი და იკარგებოდა... მეგობრის მონაცრებამ, რომელიც ერთი კვირით დასავლეთ საქართველოში იყო წასული, უკვე გადაუარა და ელოდა, რა ამბავს მოუთხრობდა. ეკა ჟურნალისტი იყო და ხშირად დადიოდა მივლინებებში. მთელი საქართველო და ევროპა ჰქონდა მოვლილი. ლელასთან ბავშვობიდან მეგობრობდა. ის ბანკში მუშაობდა ოპერატორად. დილით შეძვრებოდა ოფისში და საღამოს გამოძვრებოდა. სწორედ ამიტომ, კიდევ უფრო გამძაფრებოდა მოლოდინი იმ ამბების მოსმენისა, რომელიც სხვა, უცნობი რეალობის კარს უღებდა და მხოლოდ ფულთან, სესხთან ან საკრედიტო ბარათებთან არ იქნებოდა დაკავშირებული.

— ლანჩხუთში ერთი ადგილობრივი პოეტის იუბილეს დავესწარი, — დაიწყო ეკამ, — ოთხმოცი წლის გახდა და რაიონის გამგეობამ ღონისძიება ჩაატარა. არასალიტერატურო წრეებში ამ კაცს საერთოდ არ იცნობენ და სიმართლე რომ გითხრა, არც ლიტერატორებშია დიდად სახელგანთქმული. მთელი ცხოვრება გურიამი გაატარა, კომუნისტების დროს ადგილობრივ გაზეთებსა და ქუთაისის ჟურნალებში იბეჭდებოდა. შვილი ახლა გუბერნატორის მოადგილეა და იუბილეს იმან მოუწყო კულტურის სასახლეში.

— სასახლე, ალბათ, კომუნისტების დროსაა აშენებული.

— რა თქმა უნდა. თუმცა, ახლახან გაარემონტეს.

ეკამ თავი უკან გადააგდო, თვალები მილულა და გაახსენდა: ღონისძიება საღამოს ექვს საათზე დაიწყო. მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო და კოლონადებიანი სასახლის თეთრი ფასადი ოქროსფრად ანათებდა. დარბაზში რბილი სკამები იდგა, ახალი ჭალი ბრწყინებდა და ადგილებიც მთლიანად შევსებული იყო.

— შენ რაღა გინდოდა იუბილეს? — ლელამ ყავის ჭიქა აიღო.

— რა ვიცი, მეც ამას ვეკითხებოდი საკუთარ თავს, როცა მეხუთე რიგში, მთლად ცენტრში გამოვიჭიმე კალმით და ბლოკნოტით ხელში.

— მერე, შენც ნუ ნახვიდოდი.

— რას ამბობ, ჩვენმა რედაქტორმა პროვინციული ამბების ორი გვერდი თუ არ შეავსო, ჟურნალს ჟურნალად არ თვლი. აქ, თბილისში, სწორედ ჰგონიათ, რაიონებში არაფერი იცვლება წლიდან წლამდე, მიწის დამუშავებისა და ღვინის სმის გარდა ხალხს სხვა საქმე არ აქვს. არჩვენების დროს თუ ახსენდებოდა. არადა, იქაც ხდება საინტერესო ამბები.

— აკი, მოსაწყენი იყო და არ ვიცოდი, რა მინდოდა?

— ეგ იუბილეს ეხებოდა, — ხელი აიქნია ეკამ, — ნაღდი კომუნისტური ტრადიციებით იყო დადგმული. ჩაბნელებულ სცენაზე სანთლების შუქზე იუბილარის პატრიოტული ლექსების კითხვა, ადგილობრივი სახალხო გუნდი „ალი ფაშაი“ და კრიმანჭული. მაღალმკერდიანი წამყვანი გოგონა გრძელი მენამული კაბითა და დეკორატიული, მისი წინ დახრის დროს დარბაზში კაცების ოხვრა, მილოცვები და საჩუქრები, იუბილარის ცრემლები და აჭარულის ცეკვა ხის ჭრილა იატაკზე.

— გვიანი სტალინიზმის ესთეტიკური ტრადიციები, — ჩაილაპარაკა ლელამ, — ბანკეტი სად ჰქონდათ, სახლში თუ რესტორანში?


— სახლში. იქ რესტორნებს ჯერ კიდევ არ ანდობს ხალხი ასეთ მნიშვნელოვან საქმეს.

— ღამით სასტუმროში დარჩი?

— არა, რას ამბობ. იქაურ სასტუმროში მხოლოდ ტარაკნები და ვირთხები ცხოვრობენ. იუბილარის ნათესავთან მომთავსეს. მთელი ზედა სართული დამითმეს. ბანკეტიდან წავიდი, როგორც კი სმა გაჩაღდა. ხო იცი, არ შემიძლია მთვრალი კაცების ყურება და ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების მოსმენა. შვიდი

ირაკლი ქასრაშვილი

პოეზია, როგორც მათემატიკის ერთ-ერთი დარგი



საათისთვის უკვე ჩემს მასპინძლებთან ვიყავი. რა თქმა უნდა, იმათაც გაშალეს სუფრა და თერთმეტამდე იქ მომიხდა ყოფნა. თუმცა, არ მინანია...

— ძველ ფირალთან მოგიწია შეხვედრა?

— არა, პირიქით, ოცდახუთი წლის ბიჭთან, ჩვენი მასპინძლის შვილი იყო.

— ბიჭთან? — თვალები დაჭყიტა ლელამ, — რაზე გელაპარაკებოდა? სიყვარულს გიხსნიდა? იქნებ მეორე სართულზეც ნამოგყვა?

— რა სისულელეს ამბობ, — ცხვირი აიბზუა ეკამ.

— მაინც რას გეუბნებოდა? ლექსებს გიკითხავდა?

— გამოიცანი. ოღონდ არა მხოლოდ სასიყვარულოს.

— მაღალ მატერიებზე საუბრობდით?

— ჰო, შეიძლება ეგრეც ითქვას.

ლელამ ისევ ყავის ჭიქას მოჰკიდა ხელი. გამვლელების საუბარი ერთნოტიან მარტივ მუსიკას წააგავდა. ეკა ოცდაშვიდი წლის კი იყო, მაგრამ ჩვიდმეტი წლის გოგოსავით გამოიყურებოდა. გასაკვირი არცაა, რომ კაცებს მოსწონდათ. ლელა ელოდა. იცოდა, რომ მთავარი ამბავი ახლა იწყებოდა.

— ის ბიჭი, გიორგი, ჯერ კიდევ იუბილეს შევამჩნიე. ორი საკუთარი ლექსი წაგვიკითხა. ლექსები ქვაში გამოკვეთილს ჰგავდა, ისიც კი ვიფიქრე, რომ მეტისმეტად უსიცოცხლო იყო. საერთოდ, ქართულს არ უხდება მკვეთრი ფორმები, მაგრამ აქა-იქ მაინც მომეჩვენა, რომ საჭირო სიტყვების შერჩევა მოახერხა. ეს ლექსები ფორმის სიახლითაც გამოირჩეო-

და იუბილეს ნეოკლასიკურ ვაკხანალიაში. ასეთ კაცთან გასაუბრება უფრო საინტერესო მეჩვენა, ვიდრე გადაყრებულ ბებერთან, ვახტანგ მეექვსის დროინდელ რითმებზე რომაა გაყინული. მაგიდასთან დავსხედით თუ არა, ვკითხე, როდის დაიწყო ლექსების წერა.

ეკამ ისევ მილულა თვალები, თავი ოდნავ უკან გადასწია. ასე იცოდა, როცა რაიმეს იხსენებდა.. თითქოს იმ საღამოს დაუბრუნდა.

— ასე მითხრა, ლექსებს მას შემდეგ ვწერ, რაც კომპიუტერზე სერიოზულად მუშაობა დავიწყე, თექვსმეტი წლიდან.

— რამეს ბეჭდევ? — ისევ ვკითხე.

— ჰო, ცოტას. ქუთაისის უნივერსიტე-

შეჭრილი თმა, მოციმციმე მუქი თვალები. ეკამ გაუხსნა კარი ლიტერატურის დიდ სამყაროში, ნამდვილი წიგნებისკენ, სადაც ისე მოშორდებოდი ყოველდღიურობის ამაოებას, როგორც ხმელეთის ბინადართაგან მიუნწვდომელი საზღვაო ხომალდი ადგილებული ყველაფერს შუა ოკეანეში.

— იცი, რა მომავონა იმ ლექსებმა? — ეკამ ხელით გაურკვეველი ფიგურა მოხაზა, — სტანდარტული მრავალსართულიანი კორპუსები. ჩვენ რომ ვცხოვრობთ — მყარად აშენებული, ზუსტი ფორმებით, მაგრამ უსიცოცხლო. კითხვისას მინდოდა, ფურცლებს ისეთი სული შემებერა, იქნებ სიტყვები ჰაერში აფრენილიყვნენ და იქ გაცოცხლებულიყვნენ. შთაგონებით შექმნილი არც ერთი ლექსი არ შემხვედრია, არც ერთი. ვთქვათ, ტყე ისეთი იყო, როგორც სურათებზეა და არა ისეთი, როგორც ბუნებაშია. თუ სიყვარულს ეფიცებოდა ვინმეს, იგრძნობოდა, რომ გრძნობა გონიერების ფარგლებს არ გასცდებოდა არასოდეს. სიკვდილიც კი ისე იყო აღწერილი, თითქოს კომპიუტერული თამაშის გმირი „იტრუპებოდა“ და არა რეალური ადამიანი. სანამ ვკითხულობდი, ოთახიდან გავიდა. ალბათ, უხერხულად გრძნობდა თავს. როცა დაბრუნდა, ვკითხე, რა პროფესიის იყო და არ გამკვირვებია, რომ მითხრა, ინფორმატიკის სპეციალისტი ვარო.

— ეტყობა ხომ ჩემს ლექსებს, — მითხრა და მოულოდნელად დაამატა, — თუმცა ეგენი ჩემი დაწერილი არაა.

— აბა, ვისია? — გავიკვირე.

— ვისი და ჩემი კომპიუტერის.

— კომპიუტერის?

— ჰო. თოთხმეტი წლის ვიყავი, პირველად რომ მარჩუქეს. მას მერე არ მოვცილებივარ. ვიზრდებოდი და უკეთესებს ვყიდულობდი. ახლა ინფორმატიკას ვასწავლი გამოთვლით ცენტრში, მაიკროსოფტ ოფისში მუშაობას, პროგრამირებასაც, თუკი მსურველი გამოჩნდა, მაგრამ რაც მთავარია, თვითონვე ვწერ პროგრამებს. სი პლუსს პლუსი გაგიგია?

— რა? — ვერ მივხვდი მე.

— ენაა ეგეთი, — თქვა გიორგიმ, — ძალიან მოქნილია. მაგის გარდა კიდევ უამრავი არსებობს — ასემბლერი, ტურბოპასკალი, ვიშუალბესიკი...

— ესენი რისთვისაა საჭირო?

— იმისთვის, რომ კომპიუტერს გააკეთებინო, რაც გინდა, მაგალითად დაწერ თამაშის ან საჭადრაკო პროგრამას. მოკლედ, ის ენაა, რომლითაც გამოთვლელ მანქანას ელაპარაკები.

— აჰა, მივხვდი, — ვუთხარი მე, მაგრამ წინ თურმე მეორე შეკითხვა მელოდა.

— მატრიცები თუ იცი, რა არის, ან გრაფების თეორია?

— მატრიცებზე ფილმი „მატრიცა“ გამახსენდა, სადაც ანჯელინა ჯოლი რაღაც ციფრების ფონზე გასაგიჟებელ გმირობებს სწადის, გრაფზე კი მონტე-კრისტო მომავონდა, ზღვაში გადაგდებული და გამდინდრებული. არადა, ეს ყველაფერი მათემატიკასა და კომპიუტერებთან ყოფილა დაკავშირებული და რაც მთავარია, პოეზიასთანაც.

— ჰო, ლექსებს კი არა, პროგრამებს ვწერ, — მითხრა, — ლექსებს თვითონ პროგრამა აკეთებს. მე მხოლოდ ვარჩევ, რომელი ვარგა მათგან, ჩემი გემოვნების მიხედვით, მეტი არაფერი.

ძალიან დამაინტერესა ამ ამბავმა. თვითონაც კმაყოფილი ჩანდა, რადგან საშუალება მიეცა, დედაქალაქიდან ჩამოსული ჟურნალისტისთვის გაეწვინა თავისი მიღწევები.

— სინამდვილეში არა მარტო ქართულად, არამედ ნებისმიერ ენაზე შეიძლება გამოთვლელ მანქანას ლექსების წერა ასწავლო, — ამიხსნა მან, — მთავარია, სიტყვების საკმარისი სიმრავლე გქონდეს. მათი რაოდენობა ნებისმიერ ენაში, მათ შორის ქართულშიც, სასრულია. მე ამას უფრო დინამიურ სასრულობას დავარქმევდი. ანუ სიტყვების რაოდენობა არ აღემატება, ვთქვათ, ასი ათასს, მაგრამ მათი ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელია. ენა ცოცხალი ორგანიზმივითაა. ზოგი სიტყვა ქრება, ზოგი იზადება და ამ პროცესის მართვა შეუძლებელია. ეს ირაციონალური მოვლენაა, როგორც თვითონ ცხოვრება. მაგრამ სამყაროც ხომ

უსასრულოა. ალბათ, პირველი ადამიანი, რომელმაც ქვეყნიერება აღიქვა, დააბნია მისმა უსაზღვროებამ, მოუხელთებლობამ და ამიტომ დაიწყო ცნებების გამოყენება. სამყარო, რომელზეც ვმსჯელობთ, ისაა, რომელიც ჩვენი აღქმის ჩარჩოებშია მოქცეული და არა ის, რომელიც ობიექტურად არსებობს. სხვა შემთხვევაში მეტყველება, კომუნიკაცია, აზრის გადაცემა შეუძლებელი იქნებოდა. უსაზღვროება დაგვთვრუნავდა. სიტყვა – ეს საშუალებაა, ვმართოთ სამყარო, გავადაამიანოთ ის, ანუ შევიტანოთ სასრულობა მის უსასრულობაში, შემოვფარგლოთ არეული ჩვენ გარშემო. როცა ვამბობთ: „ზღვა“, „ტყე“, „სახლი“, „ქვეყანა“, აღარ ვამატებ დეტალურ განმარტებას. მაგალითად, „ზღვის“ ხმარებისას არ ვაზუსტებთ, რა მოცულობის წყალია მასში, ზუსტად როგორი ქიმიური შემადგენლობისაა, ან რამდენი თევზი, ზვიგენი თუ მედუზა დაცურავს. არადა, თუკი დეტალურად მოგვინდებოდა კონკრეტული ზღვის აღწერა, მთელი ეს და კიდევ უამრავი ინფორმაცია უნდა მიგვეყოლებინა სიტყვისთვის. მაგრამ ასეთი სიზუსტე ადამიანური აღქმისთვის შეუძლებელიცაა და მოუღებელიც. ჩვენ ვცდებით, სასრულობის საფარველ მოვაქციოთ მუდამ ცვალებადი უსასრულობა. პოდა, შევეცადე, ის გამეკეთებინა ლექსებისთვის, რაც პირველმა ადამიანმა გააკეთა სამყაროსთვის.

მე შევექმენი (სწორედ ეს სიტყვა გამოიყენა – შევექმენი) კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ატასობით სიტყვას რამდენიმე საათის განმავლობაში სხვადასხვა თანმიმდევრობით ალაგებს. ის ასეულ ატასობით ვარიანტს იძლევა. მე უბრალოდ ვუთითებ სიტყვების მაქსიმალურ რაოდენობას ყოველ სტროფში და სტროფების რაოდენობას. თავიდან პროგრამა პრიმიტიული იყო – სტრიქონში სიტყვების რაოდენობაც ზუსტად უნდა განემსაზღვრა და ის სიტყვაზე მეტსაც ვერ ერეოდა. არსებით სახელს ბრუნვანი ვერ სვამდა და ხელით ვასწორებდი. მაგრამ მალე გავაუმჯობესე. ქართულში, ხომ იცი, ბრუნვებს რამხელა მნიშვნელობა აქვს – სახელობითი, მოთხრობითი, ნათესაობითი... მოკლედ, ახლა მთავარია, ლექსები გადავარჩიო სწორად. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით უკვე იმასაც მივაღწიე, რომ კომპიუტერი თვითონ ინუნებს ლექსების ოთხმოცდაათ პროცენტს. ისეთებს, რომლებიც აშკარა უაზრობაა. თუმცა დარჩენილი ათი პროცენტიც საკმაოდ ბევრია. დრო ლექსის წერას კი არ მიაქვს, საქმე მათი გადაჩვენება. ამას წინათ ნიკორწმინდა მივეცი თემად, რამდენიმე საკვანძო სიტყვა გალაკტიონის ლექსიდან, სტროფების და სიტყვების ზუსტად ისეთი რაოდენობა, რაც მის ლექსშია და ორ საათში კომპიუტერის შეთხზული „ნიკორწმინდა“, იმის მსგავსი ტექსტით, რაც სამოცი წლის წინ დაიწერა, ხელში მქონდა. თუმცა, რაღაცეები მაინც გალაკტიონისგან განსხვავებულად დაწერა.

— ეგ იმიტომ, რომ წინასწარ იცოდი ტექსტი და სიტყვებიც უკარნახე მანქანას, — ვთქვი მე.

— ტექსტი კი არა, მისი პარამეტრები. მთავარია, ზუსტი პარამეტრები. მათ შერჩევას კომპიუტერი ჯერ ვერ ახერხებს, მაგრამ დრო მოვა და ამასაც შეძლებს. ჩემი პროგრამა შეაძლებინებს.

— გამოდის, რომ შენ ღმერთთან კი არა, კომპიუტერთან ლაპარაკობ და ერის ნაცვლად პროგრამირების ენას მიუძღვები წინ, — გავეხუმრე. მან ხუმრობა ვერ გაიგო და უცებ საკუთარ ლიტერატურულ შეხედულებებზე ალაპარაკდა.

— არავითარი ლირიკა, არავითარი სენტიმენტები არ უნდა ჩანდეს პოეზიაში. სიმღერებში რომ არის: „მე შენ მიყვარდი, შენ მიმატოვე, სადღა მოგძებნო“ და მსგავსი უგემოვნო სტროფები გულს მირევს. ფრაზა ქვისგან გამოთლილს უნდა ჰგავდეს, იმ აფორიზმს უნდა იყოს ლექსის სენობაში, რომელსაც თუ გამოაცლი, მთელი სენობა დაიშლება.

— ესე იგი, ლექსში ადამიანი არ უნდა ჩანდეს?

— ადამიანი კი არა, კონკრეტული ადამიანი, — გამისწორა მან, — და მით უმეტეს, ავტორი. ლექსი სუბიექტური თხზულებიდან ობიექტურ ნამუშევრად უნდა

იქცეს და სწორედ ამას ვალწევ კომპიუტერის მეშვეობით.

— ხელოვნების დეჰუმანიზაცია, — ჩავილაპარაკე.

— არა, მხოლოდ ადამიანური სუბიექტივიზმისგან გათავისუფლება, — გამისწორა.

უკვე შუალამე იყო. ძალიან დავიღალე და სანოლ ოთახში მიწოდდა ასვლა, მაგრამ თვითნასწავლი პოეტი არ მეშვებოდა.

— უხაროდა, ალბათ, ყურადღებიანი მსმენელი რომ იშოვა, თან ასეთი მომხიზველი, — ჩაილაპარაკე ლელამ.

— ჰო, მეც ასე მომიჩვენა, — ხალისიანად თქვა ეკამ. ქალს ყოველთვის სიამოვნებს იმის აღიარება, რომ არა მხოლოდ მისმა გონიერებამ, არამედ სილამაზმაც იმოქმედა კაცზე, — იცი, რისი ახსნა დამიწყო? თურმე შეიძლება სიტყვების კი არა, პირდაპირ ასოების გამოყენება პროგრამის საშუალებით ლექსების დასაწერად. მაგალითად, ქართულ ანბანში ოცდაცამეტი ასოა. ისინი შეადგენენ ასოების სიმრავლეს, პროგრამა ორსაფეხურიანია – ჯერ ასოებისგან სიტყვებს ქმნის, მერე კი სიტყვებისგან – ლექსებს. მთავარი გადაწყვეტილება პრობლემა უაზრო სიტყვების ძალიან დიდი რაოდენობაა, რომელთა გადარჩევას თანამედროვე კომპიუტერები ჯერ ვერ ახერხებენ.

— სიტყვების შექმნა რაღა საჭიროა, ისინი ხომ უკვე არსებობს? ეგრე ახალი ესპერანტოს გამოგონებაც შეიძლება, რომელზეც არავინ ილაპარაკებს.

— არა, ასეთი გრანდიოზული გეგმები არ ჰქონია, — თქვა ეკამ, — მხოლოდ პოეზია აინტერესებდა. ვკითხე, პოემის დაწერას ხომ არ აპირებდა. აღმოჩნდა, რომ პოემას, იმის გამო, რომ მასში გაცილებით მეტი სიტყვაა, ვიდრე ჩვეულებრივ ლექსში, უფრო რთული პროგრამაც სჭირდება, ძლიერი გამოთვლელი მანქანაც და მეტი დროც. თან უხარისხო ვარიანტების რაოდენობაც გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და გადარჩევა უსასრულოდ გაინელებია. ისე, ამაში მართალი იყო, სამ და ოთხსტროფიანი ლექსები გაცილებით საინტერესო და მოხდენილი ჰქონდა. რამდენიმე იაპონური ტანკაიც კი მომაგონა.

— მერე, რით დამთავრდა თქვენი საუბარი იმ ღამით?

— ისეთი არავითარი. კიდევ რაღაცის ახსნა დაპირა, მაგრამ აღარ მოვუსმინე და დასაძინებლად წავიდი.

— მეორე დღეს ნახე?

— როგორ არა. ყოველდღე ვხვდებოდი, სანამ იქ ვიყავი. დილაობით მანქანას უნდა მოეკითხა და რომელიმე სოფელში ან სულაც სხვა რაიონში წავიყვანე, მაგრამ საღამოს მაინც დავბრუნდებოდი და მათთან დავრჩებოდი.

დილით თერთმეტის ნახევარზე ფოტში მივდიოდი. ცხრამდე არ ვაპირებდი დაგომას, მაგრამ ხომ იცი, სოფელში ხალხს ადრე იღვიძებს. სადღაც შვიდ საათზე რომ დაიწყო წინ და უკან სიარული, კიბის ძირიალი, კაკუნი, გადაძახილი, დიდხანს ველარ გავძელი და რვაზე უკვე ფეხზე ვიყავი. საუზმის შემდეგ მანქანის მოსვლამდე საათნახევარი მქონდა და გიორგიმ ეზოს დათვალიერება შეიმოთხა. ე.ი კოინდარი თესვა და ნითელი ხრემის ვინრო ბილიკებით იყო დაკვალული. უკანა მხარეს ვაშლის, მსხლის და კვის ხეები დაერგოთ. იქაურობას თვითონ უვლიდა, ბილიკებიც საკუთარი ხელით მოეკრნოდა, მაგრამ ჩვენი გასეირნების მიზეზი ბალის დათვალიერება არ ყოფილა.

— სიყვარულის ახსნა უნდოდა?

— ჯერ არა... რაღაც მნიშვნელოვანი მაჩვენა. მოშორებით, კიდისკენ წავიდი, სადაც მავთულის ღობე კუთხეს ქმნიდა, — ეკა გაჩუმდა. გამვლელებს აყოლებდა თვალს.

— ესე იგი, დაგიმართლებს? — დიმილით კითხა ლელამ, — მერე ხელი მოგხვია და...

— არა, ხელი არ მოუხვევია. მკითხა, თუ იცი, უსასრულობა რა არისო.

ლელამ გაიცინა.

— მაგარი ყოფილა. შენნაირ ქალს სწორედ უსასრულობაზე უნდა ელაპარაკოს კაცი. აი, ეგ არის მარად საინტერესო, თორემ სილამაზე – წარმავალია.

ეკამ მეგობრის ირონიას ყურადღება არ მიაქცია, ისე განაგრძო.

— მე, რა თქმა უნდა, დავინყე ბანალური უაზრობების ლაპარაკი სივრცეზე, კოსმოსზე, შეუცნობელზე, მაგრამ გამაწყვეტინა და მითხრა: „ამქვეყნად ყველაფერს აქვს საზღვარი, ყველაფერს. უსასრულობა უბრალოდ ისაა, რომ ხედავ, გრძნობ ამ ზღვარს, მაგრამ ვერ უახლოვდები, ვერ ეხები. აი, დაახლოებით, როგორც ასიმპტოტა უახლოვდება ლერძს, მაგრამ ვერასოდეს ეხება. სიტყვებიც ასეა. მათი რაოდენობა ყოველთვის სასრულია. ზოგი სიტყვა კვდება, ზოგი იბადება. სიტყვების დათვლა ყოველ მოცემულ მომენტში თეორიულად შესაძლებელია, უბრალოდ ჩვენ, ადამიანებს, არ შეგვწევს ამის უნარი. ჩემი პოეზიაც იმის მცდელობაა, რომ ამ უსასრულობას საზღვარი დაუდოს, ფორმაში მოაქციოს, როგორც ეს ლობე აქცევს ფორმაში ბარს. კომპიუტერი ამის საუკეთესო საშუალებაა“.

— კომპიუტერი შეიძლება, მაგრამ, არა მგონია ეს ბალი უსასრულობის სიმბოლოდ გამოდგეს, — შევეპასუხე, — გადახვალ ღობეზე და უკვე ქუჩაში ხარ.

— ასე გგონია? — გაეცინა და ხელი ოდნავ მიბძვავდა, — აბა, მიდი ბალის კუთხესთან.

ნათქვამმა კი არ გამაკვირვა, არამედ ხელის უცერემონიოდ წავლენამ, მაგრამ მაინც წავედი წინ. მალე უნდა მივსულიყავი ღობესთან, მცირე მანძილია მრჩებოდა. მოვიხედე. გიორგი იდგა და მიყურებდა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდი, მანძილი უფრო და უფრო მოკლდებოდა და კუთხის ბოლომდე ვერ ვაღწევდი. თითქოს მოძრავ სარბენ ბილიკზე მივდიოდი და მიწა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უკან იხედა. ძირს დავიხედე. განსაკუთრებული ვერაფერი შევაჩინე. ჩვეულებრივ დაბალ ბალახზე დედექი. კიდევ გადავდი ორი ნაბიჯი, თითქოს წინ წავედი, მაგრამ ღობემდე მაინც იგივე მანძილი იყო. თუ მიწა მიშლიდა ხელს, გადახტომა ხომ შემძლო. ცალ ფეხს დავეყრდენი, ვისკუპე და... იმავე ადგილზე დავხტე. თითქოს დედამინა ჩემი მოძრაობის მიმართულებით ბრუნვდა და ღობეც გამიბრბოდა. კინაღამ გავყვითლი.

— რა არის ეს?

ბიჭმა მხრები აიჩჩა.

— უსასრულობაა. შენ ხედავ ზღვარს, მაგრამ ვერ მიდიხარ მასთან. ის უსასრულოდ შორსაა, — და დაამატა, — მე აღმოვაჩინე და ჯერ არავისთვის არ მიჩვენებია.

— კი მაგრამ, ღობე როგორღა გააკეთეთ?

— როგორ და გარედან, — მითხრა, — ქუჩის მხრიდან ისევე ჩვეულებრივად მიუახლოვდები, როგორც ნებისმიერ ღობეს. სხვა ადგილებშიც ეზოდან იოლად მიხვალ მასთან, მაგრამ კუთხეს აქედან ვერაფრით შეეხები. აქ უსასრულობაა.

— სასწაულია, — ვუთხარი მე.

— შეიძლება სასწაულია, შეიძლება ჩვეულებრივი რამეა, რასაც ჩვენ აღვიქვამთ სასწაულად, იმიტომ რომ იშვიათად ხდება. ადამიანები სასწაულებს გამოიხატის შემთხვევებს უწოდებენ, რომელთაც ვერ ხსნიან. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი აუსხსნილია.

— აჰ კუთხის ამბავს როგორღა ახსნი?

— არ ვიცი, — უბრალოდ მიპასუხა მან, — ეს რომ შემქმნა, აინშტაინი ვიქნებოდი ან სტივენ ჰოკინგი. მე კიდევ ერთი გურული ბიჭი ვარ, კომპიუტერის დახმარებით პოეტობას რომ ცდილობს.

სახლში დავბრუნდი. მალე მანქანაც მოვიდა და ფოტში წავედი. საღამოს რომ დავბრუნდი, ჭიშკართან დამხვდა. მომჩვენა, თითქოს მელოდა. ოთახში რომ ავედი, მაგიდაზე ნითელი ყაყაჩოების თაიგული იდო.

— სასიყვარულო წერილით? — იხუმრა ლელამ.

— არა, წერილი არა, თუმცა მიხვდი, ვისი მოტანილიც იყო. ჩაიხე რომ ჩავედი, იქ დამხვდა, დედამისთან ერთად. მამა გარდაცვლილი ჰყავდა და ორნი ცხოვრობდნენ. დედა მალევე გადავიდა მეზობელთან, მარტო დავტოვა. გიორგი ჯერ უხმოდ იჯდა, მერე მკითხა:

— ხვალ სად მიდიხარ?



რამდენიმე შორეული სოფელი უნდა მომეყოლო. იქაური გლეხების ყოფაზე უნდა დამეწერა სტატია.

— რომელზე გადიხარ?

— დილის ათი საათისთვის.

— მე წაგიყვან, — შეცრად მითხრა.

— გამგებოდიან მომაკითხავს იგივე მანქანა, დღეს რომ წამიყვანა. შენ რატომ უნდა შეწუხდე.

გიორგიმ გაილიმა.

— რა შეწუხებაა, მით უმეტეს, მანქანა იგივე იქნება, მხოლოდ მძლოლი შეიცვლება.

ძალიან ვუარობდი, ვეუბნებოდი, არ მინდა, საქმეებს მოგწყვიტო-მეთქი, მაგრამ რა გამომივიდოდა? გამგებობაში საქმე უკვე ჩაენყო. შენი მომსახურება ჩემთვის სასიამოვნოაო, — მეუბნებოდა.

— არც ისე უტვივო ყოფილა ეს შენი პროგრამისტი პოეტი, — ჩაუთოო ლელამ, — რა ქნა, მანქანაში მარტო რომ დარჩით?

ეკა დუმდა. გამვლელებს აყოლებდა თვალს. თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა. ისევე იხსენებდა.

— მთელი დღე ისე მატარა, როგორც ნამდვილმა მძლოლმა. სამი მთიანი სოფელი მოვიარეთ. იქ შემორჩენილ მოსახლეობას, ძირითადად მოხუცებს გავესაუბრე, მათი მძიმე ყოფის ამბები მოვისმინე. გზა არა აქვთ, ექიმი არ ჰყავთ, მინის დამუშავება უჭირთ. ათას რამეს შემომჩიოდნენ. თან ადესას, მსხალს და ჯანჯუხას გვთავაზობდნენ. საღამოს გამოვბრუნდით. სოფლის ტალახიან გზაზე მოჯაყ-ჯაყე „მიცუბობის“ ჯიპი უცებ რომ გააჩენა, ცოტა შემეშინდა. სანამ გაცივებს მოვასწრებდი, სიყვარულში გამოიმტყვდა. რატომღაც ძალიან მაღალფარდოვნად ლაპარაკობდა. ალბათ, ეგონა, ასე უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა. მითხრა, დარბაზში რომ დავიხანებ, მაშინვე დაიბყარი ჩემი გულიო.

— „გულის დაპყრობა“ საინტერესო გამოთქვამია, — გაიცინა ლელამ.

— ალბათ, — თქვა ეკამ, — ისე, მაშინ სულ არ მომეწონა და ახლაც პათეტური მეჩვენება. მეუბნებოდა, ჩემს სახლში რომ დარჩი და უფრო ახლოს გაგიცანი, მიხვდი, უშენოდ ვეღარ გავძლებდი. ისიც ვიცი, რომ ერთი პროვინციული ბიჭი ვარ, ჯერ არავისთვის მიმიღწევიდა, შენ კი დედაქალაქელი ცნობილი ჟურნალისტი ხარ, მაგრამ თავს გადავდე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენი სიყვარული დავიმსახუროო. იქნებ შეყვარებულიც კი გყავს თბილისში, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ჩემზე მეტად არ ეყვარებო. გაუთავებლად ლაპარაკობდა, ხომ იცი, გურულებს ენა ნამდვილად უჭირთ. ხმას ვერ ვიღებდი. ვიჯექი და არ ვიცი, რატომ, თვალში ვუყურებდი. ეს, როგორც ჩანს, სასიკეთო ნიშნად ჩათვალა, ხელი მომხვია და საკოცნელად წამოინია.

— მერე, მოახერხა რამე?

— ერთხელ კი მოასწრო. მერე შევაჩერე. ვუთხარი, ეს ამბავი იმდენად მოულოდნელია ჩემთვის, ახლა ვერაფერს გიპასუხებ-თქო. ის, მგონი, სხვას არც არაფერს ელოდა. სულ სამი დღეა მიცნობ და მზად ვარ, რამდენიც საჭიროა, იმდენი მოვითმინო, — მითხრა. იმედიაანად იყო განწყობილი. თბილისში საქმრო თუ გყავსო, ისევ მკითხა.

— მერე, არ გაუკვირდა, რომ უთხარი, არაო? — გაიცინა ლელამ, — შენნაირი ქალი მარტო უნდა იყოს დარჩენილი?

ტარიელ ჭანტურია

ნიგნიდან:
ს ა ი ტ. უ მ ლ ო ბ ა რ ა თ ი — 2

წვეთი ზიოგრაფიისთვის

სისხლს თვითონ ღვრიდნენ ქალები! —
ის — კაცების სისხლს ღვრიდა! —
მთელი ცხოვრება კაცები
ხვრიტა, ხვრიტა და ხვრიტა!

პირველი ლექსი, ცხრა წლისამ,
მახსოვს, ვუძვენი ბელადს...

\*\*\*

ცა — მაშრიყელი, ცა — მალრიბელი,
იქეთ — ღრუბელი, აქეთ — ღრუბელი,
დაუსაბამო დილა-საღამო,
ცა — მხსნელი ჩვენი და დამლუბველი...

ზღაპრული მეტრი სიგრძე-სიგანის...
ეჭვის საგანი! რწმენის საგანი!
ვთქვა? არ ვთქვა? რა ვქნა! ვიცი, გამკილავეთ —
ც ა ს ღ მ ე რ თ ზ ე დ ი დ ი ა ქ ე ს გ ა ს ა ქ ა ნ ი...

გვყავდა პოეტი ჩვენ — მ ი ნ ი შ ვ ი ლ ი...
ო, როგორ მინდა, ვიყო ც ი ს შ ვ ი ლ ი...
ფქვავს პლანეტებს და სად როგორ უნდა —
მარადიული ბრუნავს წისქვილი...

და დედამინა — ჩვენი საკანი...
და ცა — ეჭვის და რწმენის საგანი...
გავიმეორო? რა ვქნა, არ ვიცი —
ც ა ს ღ მ ე რ თ ზ ე დ ი დ ი ა ქ ე ს გ ა ს ა ქ ა ნ ი...

ფიქრში გატარებული ლამა

ფიქრმა ფიქრი დამინუნა,
რწმენა გამინანყენა! —
მე მარჯვენას რომ ვფიქრობდი,
ფიქრს მოუნდა მარცხენა;
პრეზიდენტი შემიცვალა;
მერი დამიტუსალა;
დიდ პოეტად ცნობილ ცნობილს
სულ რეგვენი უძახა...
ფიქრმა ფიქრი შემიცვალა,
ჩამინაცვლა მოყვრები
(ვინ დამიდანაშაულა —
ამას სხვა დროს მოყვებენ...)...
ფიქრმა ფიქრი გამიქარწყლა —
გინდ მეფიქროს, გინდ არა!
თვალზე ცრემლი შემომრო და
ხელში მომცა გიტარა!
უფლებასაც თავად გაძლევს —
გინდ იმღერებ, გინდ არა!

...
არა ძმაო, სანამ ქვეყნად
არსებობენ ფიქრები,
ბრძენიც იყო, სულ ასეთი
დაბნეული იქნები...

ლექსაროგრაფიის ცინამოგრაფიის თანხლებით

გახსოვთ? — ის დრო, ძმა რომ ძმაც
ვერ არჩევდა ძმაში!
სულ ქიშპი და შეჯიბრება! —
უფრო მაინც — სმაში!
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით
უკეთესის თქმაში!
ვის უნახავს იმ დროს თეთრი —
ყმანვილკაცის თმაში!

სულ შეჯიბრი ღვინის სმაში
და ლექსების თქმაში!
იშვიათი იყო თეთრი —
ყმანვილკაცის თმაში...

ახლაც ისევ შეჯიბრია,
ოლონდ — შ ხ ა მ ი ს სმაში!



თეთრი — ჩვეულებრივია
ახალგაზრდის თმაში!
ვისაც გინდათ, გამეჯიბრეთ
უარესის თქმაში!
ვისაც გინდათ, შემეჯიბრეთ
ც ი ა ნ მ ჟ ა ვ ა ს სმაში...

ორგანი ლექსაროგრაფიის

ხვადებაკიდებული
საზიზღარი ძუ ხარ!
მძულხარ! — როგორც მიყვარხარ,
ზუსტად ისე მძულხარ!
მირჩენიხარ სიცოცხლეს!
სიკვდილივით მძულხარ!
მე რა შუაში ვარო —
ვითომ ძლიერ სწუხარ!
შენს დაქალებს, სუყველას,
ჩემზე მეტად სძულხარ!
ვისაც მართლა უყვარხარ,
სწორედ იმათ სძულხარ...

სასიყვარულო

— ხან მილოსელს,
ხან თამარქალს,
ხან თინათინს გადარე!
გვიან მივხვდი — ვისაც გინდა,
როცა გინდა — გადარე!
ხან — პარიზში,
ხან — ლონდონში —
ხელის გულზე გატარე!
უკვე ვიცი — როცა გინდა,
ვისაც გინდა — გადარე!

მადრიდელს თუ
რუანდელს თუ
კვიპროსელს თუ
კატარელს —
საცა გინდა, როცა გინდა,
ვისაც გინდა — გადარე!

სილამაზის ცეცხლის ალო,
სილამაზის ლადარო —
მაინც მზად ვარ,
მაინც მინდა —
სულ ვილაცას გადარო...

\*\*\*

იმდენი ვწერე სიკვდილზე,
მეც ბოლო-ბოლო — მოკვდი!
გავხვედი გაცეცხისგან —
სამოთხეში რომ მოვხვდი!

არც ჯეოსელი, არც მაგთი,
ალარც მესიჯი მოგდის!
აქ არც იციან ეს სიტყვა —
რაა, რას ნიშნავს — „მოკვდი!“

არც „სულს ამოგხდი“ იციან —
სულს ვერვინ ვერ ამოგხდის,
შენ ხომ — მადლობა განგებას —
შენ ხომ იქ, ერთხელ — მოკვდი!

აქ წყარო უკვდავებისა
მოდის, მოღვლავს, მოხტის!
რა კარგად მოხდა, რაც მოხდა —
გაგიმართლა და მოკვდი!

„ლელას ბოზობა დასწამეს —
გეთათხეს და შარი მოგვდეს...“
ნეტავი ლელაც მოვიდეს —
ნეტავი დროზე მოკვდეს...

\*\*\*

ახალ მოდის მკვლელების როცა ვხედავ
მაგ ოინებს —
ან გარდასულ მკვლელების
ჩათლახობას მაგონებს! —
პატიმრებით გაძევილ საციმბირო ვაგონებს
და მათს მგზავრებს — ჩვენს ტანჯულ ნათესავებს
მაგონებს!

როცა ვუმზერ მკვლელების ვირტუალურ
პაგონებს —
ისევ იმ ჩვენს წინაპრებს — ძველ ტანჯულებს
მაგონებს...

როცა ბნელი მედროვე უსაბუთოდ მაგინებს —
მისი ლანძღვა-გინებაც იმ წარსულ შხამს
მაგონებს...

თითქო მამა მეძახის, მაგრამ ხმას ვერ მაგონებს...
დედას ჩემსას მაგონებს...
ხმას ვერც დედა მაგონებს...

\*\*\*

დრო წვეთოვანზეა მიერთებული:
— კაპ! კაპ! კაპ!
კაპიკია სიცოცხლის ფასი:
— კაპ! კაპ! კაპ!
კაპიტანსაც და რიგითსაც ერთი
გაგრძელება აქვთ —

კაპიტულაციაც ერთნაირად ეხერხებათ და
არასასურველი დასასრულიც...
გაფიქრებაც კი გზარავს:
კაპ! კაპ! კაპ!
კაპიტანში ჩათბუნებული შეფიც და
მკლავებდაკაპინებული მუშაც —
ერთნაირად ამთავრებენ...

დრო წვეთოვანზეა მიერთებული —
კაპ...
კაპ...
კაპ...

კაპილარები თანდათან იცლება და
უფერულდება...

სიცოცხლესა და სიკვდილს – ორკაპი ყელში,  
და წვეთავს სისხლი,  
და წვეთავს ცრემლი:  
— კაპ! კაპ! კაპ!

კაპიტულაცია გარდუვალია...

**პ რ ე ტ ი ნ ზ ი უ ლ ი ლ ე ქ ს კ რ ი მ ტ ი**

— თებერვლიდან თებერვლამდე  
ან მარტიდან მარტამდე –  
როგორ მინდა, თუნდ ერთი წლით  
საქართველოს ვმართავდე!  
მთავრობაში მივიწვევდი  
მართალ ძმებს და მართალ დებს...  
რა მოხდება – თუნდ ერთი თვით  
ჩემს სამშობლოს ვმართავდე...  
ჩათლახების ჩათლახობა  
არ თავდება... არ თავდე...  
პრეზიდენტად რომ ივარგებს,  
ჩვენც გვყავს კაცი ათამდე...  
ვინ აფასებს თუმცა იმათ –  
მართლა ლომს და მართლა დევს...

რა მოხდება, თუნდ ერთი დღით  
საქართველოს ვმართავდე...

1993

\*\*\*  
— თუ გინდათ, სულელ კრიტიკოსებში  
გქონდეთ სახელი – ასე ვთქვათ, ბლავტი –  
ხშირად ახსენეთ ცელანი, რილკე,  
თრაკლი, გონგორა, გინზბერგი, პლათი... –  
ასე გვმოძღვრავდა ი. ბაქანიძე –  
იურა ჩვენი! არ გახსოვთ? — ბ რ ა ტ ი !

**შოთა ჩანტლაქი ცუდ გუნებაზე...**

— მივიმწყვდიე კუთხეში  
დრო,  
მივიმწყვდიე კუთხეში  
სივრცე! —  
ჩავანაცვლე – რაც იყო დღემდე! —  
დავიკიდე სამყარო  
სირზე!  
ყველა პლანეტა დავატიე  
ერთ პანია, ვარდისფერ სინზე!  
გალაქტიკები გავაუქმე,  
დავიკიდე სამყარო სირზე!  
შევჯექი ჯორზე — ჯიუტი ვარ! —  
უარი ვთქვი მაცხოვრის ვირზე!  
ბოლოს და ბოლოს მივალწიე! —  
დავიკიდე  
სამყარო  
სირზე...

**უარი ნაშლავს...**

მეზინ-ფორტე... მაგრამ არ ვსვამ –  
ალარ მეფორტ-მეზინება...  
როცა მძინავს, მაშინაც კი  
ის – სხვა ძილი – მეძინება!  
რა უნდა ვქნა! — ვინც ვარ, ის ვარ! —  
ალბათ ღმერთმა ეს ინება!  
ნამდვილ კაცებს გული ტკივათ,  
არაკაცებს ეცინებათ!  
ხალხნო, რა დროს ბიზნესია –  
რა გეპროცენტ-გენილებათ!  
უკეთესი საქართველო  
დღეს უარესს ეწირება!  
ნასულია ქვეყნის საქმე,  
ამ შტერს კიდეც – ეცინება...  
რა უნდა ვქნათ! — რაც ვართ, ის ვართ! -  
ღმერთმა ალბათ ეს ინება...

1993

\*\*\*  
ვალმოხდილი მოხუცების  
გადასარჩენი –  
მინდა, ვფიქრობ შევიტანო  
ღმერთთან სარჩელი...  
რა არ ვცადე – გამოვკითხე  
ბრძენი ათასი –  
ვერაფრით ვერ დავადგინეთ,  
სად დგას, სადა ზის...  
შეღვათი – დაღვრილ სისხლის,  
ცრემლის, ოფლის წილ...

ღმერთო, იქნებ გაგვიმხილო,  
სად გაქვს ოფისი...

(ნურვინ ჩათვლის ამ სტრიქონებს  
მდარე ხუმრობად –  
მოხუცს სხვებზე მეტად უნდა  
ღმერთთან სტუმრობა...).

\*\*\*

კიდეც კარგი, არ არსებობს  
ფიქრში შენი ტარების  
რალაც ბრიყვი კანონებით  
დადგენილი ტარიფი –  
სულ ჩემთან ხარ,  
სულ შენთან ვარ –  
ვერვინ ვერ აკონტროლებს  
ჩვენს სასახლეს,  
ჩვენს საწოლებს,  
მანქანებს და გონდოლებს...

თუმც თბილისში ახლა თოვს და  
ყინვაა და ქარი ქრის –  
შენს თბილისში ძველებურად  
არის კარგი დარები –  
სულ ღია გაქვს ფანჯრები და  
კარები და დარაბა –  
არ არსებობს შენს ფიქრებში  
შეზღუდვა და ტარიფი.

ვინ ხარ მაინც – ამნაირი  
გულუბრყვილო არიფი...  
ძველმოღური სიყვარულის  
ტყვე ნამდვილი... არიფი...

**გ ლ ო ზ ა ლ უ რ ი ლ ე ქ ს კ რ ი მ ტ ი**

ნეტა მთელი დედამინა  
ასე სისხლით არ გვეღება!  
(ეს ბრალდება, რა თქმა უნდა,  
ზოგიერთებს არ გვეხება...).  
ამოვიდა უკვე ყელში  
სახელოვან მკვლელთა ქება!  
(რა თქმა უნდა, ზოგიერთებს  
ეს ბრალდებაც არ გვეხება).  
ამოვიდა ყელში მდარე  
პოლიტიკოსების ქება!  
(ზოგიერთებს ეს ბრალდება,  
რა თქმა უნდა, არ გვეხება)...  
ქურდებად და მეფეებად  
ზის ხალხი ამჩემფხება!  
(დიახ! დიახ! ზოგიერთებს  
ეს ბრალდებაც არ გვეხება)...  
დედამინის მოლაღატეს  
უნდა გაეხვრიტოს კეფა!  
(მადლობა ღმერთს, ზოგიერთებს  
ეს ბრალდებაც არ გვეხება).

მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს,  
ეს სუყველას არ გვეხება!

მადლობა ღმერთს – ეს მე, შენ, მას –  
ზოგიერთებს – არ გვეხება...

**პოზიცია**

არ მჭირდება თუმცა მეფე და არც მისი  
ბენკენდორფი –  
ამ არეულ ქვეყანაში, რა ვქნა, მაინც შენ გენდობი!

ჩვენც დალუპვით გვემუქრება მოშვერილი  
შენკენ თოფი!  
ვინც რა უნდა, ის დამნამოს — ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ  
შენ გენდობი!

რაც თქვი, ოღონდ შეასრულე, და ყველაფერს  
შეგიწოდებენ!

სხვაც ჩემსავით იტყვის ამას:  
— გაგვიძეხი! შენ გენდობით!

თმენის თოკში ჩაბმულებმა უნდა ვძლიოთ  
ეს ფერდობი,  
ეს მწვერვალი, ეს სიმაღლე! — მე პირადად  
შენ გენდობი!

დრო დასრულდა ძებნა-რჩევის, შეცდომების,  
შეგირდობის!  
თუნდ შეგირდი იყო ჩვენი – მე, პირადად,  
შენ გენდობი!

**ოლიგარქი**

— ფული? – თავდაპირველად გამომანყო! შემფუთა!  
თავის დროზე თავს კარგად მიტომ ვგრძნობდი  
ჩემ ფულთან!  
ახლა? ერთი კი არა – ახლა მთელი ურდო ვარ!  
დამარღვია, დამშალა, დამყო, დამახურდავა!  
ჩემი ავადმყოფობა ანუ ჩემი ნევროზი  
ფაქტიურად ჯამია დოლარის და ევროსი!  
ოქროსი და ვერცხლის და ოქროსი და პლატინის! —  
არც სოკრატე ახსოვს ტვინს,  
არც ზღაპრული პლატონი...

შიში მძევლად აყვანის, გაბახების, დანვის –  
მაიძულებს, იმედი მქონდეს მხოლოდ დაცვის,  
მაგრამ ჩემი რომ გახდეს მთელი ეს დედამინა,  
ვინ, რომელი, როგორი რანაირად დამიცავს...

საქმიანიც, მოცილილიც — ყველა ჩემ ფულს ითვლის!  
სამიზნე ვარ შავის და თეთრისა და ყვითლის!  
ყველა ოკეანის და ყველა კონტინენტის,  
მადრიდის და რომის და ლონდონის და ნანტის...  
ფული – შხამი. ნექტარი. უძილობა. ბანგი.  
მოლოდინი მუდმივი. კრედიტკარტა. ბანკი.  
მიღებული პულსი და ავარდნილი პულსი.  
ფიქრიც – ავტომატური! — დაცვასა და ფულზე...  
თითქო ვფლობდე განა ერთს –

ვფლობდე ო ქ რ ო ს ვ ე რ ძ ე ბ ს –  
ყველა ჩემს ტელეფონს და ჩემს მისამართს ეძებს...  
ვისიც ადრე ნამდვილად, სულით, გულით მშურდა –  
დღეს ვინაა ის ხალხი ჩემთვის – მხოლოდ ხურდა...  
ფული სულ მემატება, მუდამ მემატება,  
და რაც უფრო მეტი მაქვს, ნაკლებ მემეტება! —  
მე ცუდი ვარ, ვერა ვარ კარგი ოლიგარქი!  
ნადით, სხვაგან ეძებთ კარგი ოლიგარქი!  
მოდის ფულის მდინარე – მტკვარი, ტემზა, განგი...  
მე შემეშვით! — ეძებთ კარგი ოლიგარქი...



დაიუჭი

ძილში ვილაჯის განწირული ხმა ჩამ-  
ესმის... თითქოს მეძახის, შველას მთხოვს...  
ნელ-ნელა ვფხიზლდები და სმენაც  
მიმძაფრდება. ოდნავ გახელილ თვალს  
მოვაველებ ოთახს. ქუჩის ღამპიონების  
მკრთალი შუქი ამსუბუქებს ღამის წყვილ-  
აღს. სინყნარება, ვერაფერს ვამჩნევ საეჭ-  
ვოს. ვფიქრობ, ალბათ დამესიზმრა. როცა  
საბოლოოდ ვუბრუნდები რეალობას, კვ-  
ლავ მესმის იგივე ხმა. ხომ არ მელანდე-  
ბა?! ვინ შეიძლება მეძახდეს ამ შუალამის-  
ას... ხმა მეორდება კვლავ და კვლავ...  
ოდნავ გასაგონად, შორიდან. ბოლოს  
კიდევ უფრო ვძაბავ სმენას და ერნესტას  
ხმას ვცნობ.

— ნადიაა, ნადიაა, — ამას ისეთი სუს-  
ტი ხმით გამოთქვამს, შეუძლებელია ვინ-  
მემ გაიგონოს, მით უმეტეს მძინარემ, თუ  
არა რალაც სასწაულით. რამდენადაც შემ-  
იძლია სწრაფად წამოვწევ დამძიმებულ  
თავს და გამოვივივარ ოთახიდან აღელვე-  
ბული. ერნესტა სააბაზანოს წინ, იატაკზე  
გდია გულაღმა. შეშინებული და სა-  
სონარკვეთილი სახე აქვს. საოცარია, რა  
ძალამ მიბიძგა მის დასახმარებლად. ტყუი-  
ლად როდი შემარქვა „ანჯელო კუსტოდე“,  
ანუ „მფარველი ანჯელოზი“.

მიუხედავად იმისა, რომ პატარა ტანის  
ქალია, გაღებული, დაგდებულს ადგილ-  
იდან ვერ ვძრავ. ქვედა სართულზე ჩავერ-  
ბივარ და როზანას ვეძახი დასახმარებ-  
ლად. დიდი წვალებით ვანუნთ ერნესტას  
თავის სანოლში და ძილი ნებისას ვუსურ-  
ვებთ. ვაფრთხილებ, სანამ მე არ მოვალ,  
აღარ ადგე, თორემ წაიქცევი-მეთქი. თუმ-  
ცა დარწმუნებული ვარ, ვერ დაიმახს-  
ოვრებს. არც კი ვიცო, რამდენად გააცნო-  
ბიერა ჩემი ნათქვამი. ცოტა არ იყოს, ჭკუა-  
ნაკლულია.

როგორც იქნა, ეს ღამეც მიილია... და,  
აი, მე და ერნესტა კვლავ სამზარეულოში  
ვსხედვართ, საუზმის მოლოდინში. სი-  
ჩუმება. ჩვეულებრივი დილაა, არაფრით  
გამორჩეული. ამინდი კი მართლაც  
არაჩვეულებრივია. გაზაფხულის დამა-  
თრობელი სურნელი ირგვლივ. როგორც  
ერნესტამ თქვა, გამჭვირვალე დღეა. ასეთ  
პოეტურ გამოთქმებს მხოლოდ მისგან თუ  
გაიგებ. საოცრად რომანტიკულია და  
მგრძნობიარე.

ორივე მოკამკამე ლურჯ სივრცეს  
სარკმელში გავცქერით. შორს დაჰქრის  
ჩვენი ფიქრები. ერნესტას საფიქრალი  
ერთი აქვს მუდამ. შიშო, რომ მალე ვეღარ  
გავივლი, რომ მალე ამ ქვეყანას დატოვებს.  
ამიტომ ზედმეტ შეკითხვებს აღარ ვუსვამ.  
კარგა ხანია ოთხმოცდაათს გადასცდა.  
კიდევ კარგად არის, თავის ასაკთან შედარ-  
ებით. ამ ხნის ქალები ხშირად სანოლიდან  
ვეღარ დგებიან.

მე კი ვფიქრობ, რა იქნება ხვალ... მოუთ-  
მენლად ველოდები ახალ-ახალ ცვლილე-  
ბებს. იმედს არ ვკარგავ...

გამუდმებით ვფიქრობ საქართველოზე,  
ისე როგორც არასდროს, განვილი ცხ-  
ოვრებაზე, სახლზე, ახლობლებზე... შორი-  
დან მართლაც უკეთესად მოჩანს ყოვე-  
ლივე (უფრო საღად და გონივრულად  
აფასებ დაშვებულ შეცდომებს), მსგავსად  
ხელოვნების ნიმუშისა, რომელსაც შორი-  
დან უფრო სრულყოფილად აღიქვამ. მხ-  
ოლოდ მანძილის სიშორეს როდი  
ვგულისხმობ, არამედ დროის სიშორესაც.  
რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდე-  
ბა მოვლენები...

სამწუხაროდ, ცხოვრებას, დიდ სიხ-  
არულთან ერთად, დიდი ტკივილიც ახ-  
ლავს თან. მაგრამ სწორედ ეს ტკივილი  
ზრდის და აძლიერებს სულიერად ადამი-  
ანს. მსხვერპლის გარეშე ხომ ვერაფერს  
ფასეულს ვერ შექმნი. ეჰ, რას იზამ, ძნე-  
ლია ცხოვრება...

განსაკუთრებით დედაზე ვფიქრობ  
ბევრს, ვიცო, როგორ განიცდის უჩვენობას,  
მაგრამ არ იმჩნევს. ცდილობს, აქეთ გაგ-  
ვამხნივოს. ნეტავ ეხლა სახლში რა ხდება,  
დედა რას აკეთებს. ალბათ, როგორც  
ყოველთვის დაფუსფუსებს, ან წერს რაიმე  
სტატიას, წლიურ თემას... ვინ იცის, რას...  
ის კი ვიცო, რომ უსაქმოდ არ იქნება. ათა-  
სი ფიქრი მიტრიალებს თავში და ასე აღმა-  
დაღმა დამაქროლებს...

მაინც როგორ გადმოვიხროლა ბედმა  
ასე შორს, ჩრდილოეთ იტალიაში. ეს ქვეყ-  
ანა ყოველთვის მიზიდავდა, მაგრამ ასე-  
თი დიდი დოზით მიღება, ცოტა არ იყოს

გამიჭირდა. დიდი რაოდენობით მიღებუ-  
ლი — ნამალიც სანამლაგია.

ემიგრანტობა მართლაც საკმაოდ ძნე-  
ლია. ბუნებრივია, რომ განვიცდი სამშობ-  
ლოდან შორს ყოფნას. ღმერთმა დამი-  
ფაროს, რომ არ განვიცდიდე. მიზნის მის-  
აღწევად ბევრი რამ უნდა დათმო. ეს კი  
არც ისე ადვილია, განსაკუთრებით თუ  
ზედმეტად სენტიმენტალური ხარ. ამის  
გამოა, რომ ზოგჯერ სევდა შემომანვება  
და გულს მიმიძიმებს. ტყუილად როდი თქვა  
ესენინმა: „А́дма́и! а́ааааа! в́аааа! в́ооо! в́  
а́аааа! в́а́ааа! в́а́а́аа!“.

ახლა კი დაგუბრუნდეთ ისევე თხრობას.  
სად ვიყავი? ჰო, სამზარეულოში. აი,  
შევყურებ ჩემ წინ, კედელზე ჩამოკიდებულ  
„ჩემს სიგრძე“ კალენდარს, რომელზეც  
თვეც უფრო გრძელი ჩანს, გულის შემა-  
ღონებლად გრძელი და უსასრულო.  
ჩემთვის ვინცებ ქართულად მოთქმას, ღმ-  
ერთო, რა გაღვებს ამ დღეებს, ღმერთო, შენ  
გადმოიხედე და გამაძლებინე...

ამ დროს მარიას ხმა მესმის სააბაზან-

ცა, ყველა ჭკუანაკლულად თვლის და საკ-  
მაოდ ადებულადაც ექცევინა. ყველაზე  
თბილად მე ვექცევი. ამის გამოა, ალბათ,  
ასე ძალიან რომ ვუყვარვარ. ჩემს დანახ-  
ვაზე სიხარულით თვალები უბრწყინავს.

მარიასთან ერთად ნელ-ნელა მივუყვე-  
ბი ბნელ დერეფანს. საკმაოდ ხანგრძლივი  
და არცთუ სასიამოვნო პროცესის შემდეგ  
უკან ვბრუნდებით, სამზარეულოში.

ერნესტას დანახვა ძალიან მახალისებს.  
პატარა ბავშვივით არის. ყოველთვის  
გაკვირვებულს სახე აქვს და გაუთავებლად  
შეკითხვებს მადლევს, ძირითადად ერთსა  
და იმავეს.

ვეუბნები: აი, გენერალი მოდის-მეთქი.  
იციის. ასე ვეძახი მის დას. თუმცა არაფ-  
რის თავი აღარ აქვს, მაგრამ მაინც შემორ-  
ჩა მბრძანებლური ტონი. სწორედ ამ უხია-  
გი ხასიათის გამო დასაჯა ღმერთმა და  
შეახვედრა ასეთი ურჩი მომვლელი ჩემი  
სახით. იშვიათად ვემორჩილები მის უს-  
აფუძვლო ბრძანებებს, უფრო სწორად,  
ჭირვეულობებს. ეს, ალბათ, მისი ცოდვებ-

ნათია ხორნაული

ჩემი მოსუცი ერნესტა



ოდან. უკვე დაამთავრა დილის ტუალეტი  
და მეძახის, რომ ჩაცმაში მივეხმარო.  
ერნესტას უფროსი დაა, ერნესტაზე სამი  
წლით უფროსი, ოთხმოცდათერთამეტი  
წლის. თქმაც კი შეგეშინდება, ხუმრობა ხომ  
არ არის, თითქმის ერთი საუკუნის ქალებ-  
ის მოვლა.

ჩემსავით ჩამოსული უცხოელისათვის  
სხვა სახის სამუშაო გამოირიცხულია. ასე  
მუშაობენ ოჯახებში რუსეთიდან, რუ-  
მინეთიდან და სხვა გასაცოდავებული  
ქვეყნიდან ჩამოსული ქალები. სხვები  
ჩემზე გაცილებით უარეს პირობებში არი-  
ან. ისეთ ამბებს ყვებიან, გაკვირვებისაგან  
თმები ყალყზე დაგიდგება.

მარიას ხმაზე ვდგები და სამზარეუ-  
ლოდან გამოვივივარ, რომ დამინახოს და  
შენწყვიტოს ყვირილი. ზედმეტი სიბერისა-  
გან სიტყვებს გარკვევით ვეღარ გამოთქ-  
ვამს და საშილად დმუის. ნადიას როცა  
იძახის (თუმცა ნათია მქვია, აქ ასე მეძახ-  
იან), ისე აგრძელებს ბოლო ა-ს, დიდად  
დაღებული პირით, გული შეგიღონდება.  
ერნესტას ისედაც დიდი თვალები კიდევ  
უფრო უფართოვდება და საოცრად  
გაკვირვებული, რატომღაც ჩურჩულით  
მეკითხება — ვინ არისო?

— შენი და არის, მეძახის, რომ მივეხმა-  
რო-მეთქი — ვეუბნები — დაგველოდე და  
მალე მოვალთ. თავს მიქნევს მორჩილად  
და სუსტი, მიმქრალი ხმით მპასუხობს:

— როგორც შენ იტყვი, უძვირფასესო,  
როგორც შენ იტყვი.

ასეთი თავაზიანია ჩვენი ერნესტა, თუმ-

ის მოსანანიებლად ხდება. თუმცა ცოდვე-  
ბი არც მე მაკლია. ასე რომ, ერთმანეთს  
სულიერ განწმენდაში ვეხმარებით...

ინება დილის საუზმე. მარიასთვის  
ჭამა-სმა საკრალური მოვლენაა. ეს არის  
მისი ცხოვრების მთავარი არსი. უმეტეს  
დროს სწორედ სამზარეულოში ატარებს.  
სადილზე უკვე იმაზე ფიქრობს, ვახ-  
შმისთვის რა უნდა მოამზადოს. ერნესტა  
მას შესცქერის და მის მოძრაობებს იმეო-  
რებს. უფროსი და მისთვის სამაგალითოა.  
თუმცა შენიშვნებს მისგან არასოდეს  
იღებს და გამწარებული იცავს თავს. თავ-  
დაცვის უნარი საკმაოდ აქვს განვითარე-  
ბული. ერთმანეთში თითქმის არასოდეს  
საუბრობენ: ან ჩხუბობენ, ან ჩუმად არიან.  
მე და ერნესტა დოსტოვი ვართ. თვალით  
მანიშნებს ხოლმე თავის დაზე, რა აუტანე-  
ლიაო და ვიცინით ისე, რომ მარიამ არ შეგ-  
ვნიშნოს.

ერნესტა საუზმის შემდეგ, როგორც  
წესი, მეუბნება, რომ ფეხზე ადგომა აღარ  
შეუძლია, რომ შვიდი წლის ასაკში ისწავ-  
ლა სიარული. ვინ იცის, დღეში რამდენჯერ  
მიმეორებს ამას. როცა დაინყებს, ზოგჯერ  
მოთმინება აღარ მყოფნის და მე  
ვამთავრებ ხოლმე. მაშინ გაკვირვებული  
მეკითხება, შენ რა იციო?! ძლივს ვიკავებ  
სიცხელს და ვპასუხობ სერიოზული სახით:

— აღარ გახსოვს? ერთხელ მითხარი.  
— მართლა?  
ნამოდგომაში ვეხმარები. პატარაა  
ერნესტა. დამჯდარიც კი იმაზე მაღალი  
ვარ. რალაც საგორავებლით დადის,

რომელიც ყავარჯნის მაგივრობას უწევს.  
როცა რაიმეს ამბობს, ისეთი სუსტი ხმა  
ამოსდის, თითქოს სულიც უნდა ამოაყო-  
ლოს.

ზოგჯერ თავის ასანთის ღერივით  
წერილ, მოკაკულ ფეხებს ავარჯიშებს ჩვე-  
ნი დიდი დაჟინებით. დგას დაყრდნობილი  
თავის საგორავებელზე და ხან ერთ ფეხს  
აიქნევს ოდნავ უკან, ხან — მეორეს. ეს  
არის მისი ვარჯიში. ძალიან სასაცილო  
სანახავია. ამ დროს ვეღარ ვიკავებ ხოლმე  
თავს და ხმამაღლა ვიცინი. საოცარია, ეს  
ერთი ბნელ ქალი როგორ ეჭიდება სიც-  
ოცხლეს. მე კარგად ვუვლი, სიყვარულით  
და ამას გრძობს. ძალიან ბევრ მადლობას  
მიხდის და ბევრსაც მლოცავს. განიცდის,  
რომ ვერაფერს აკეთებს ჩემთვის. თანაც  
ძალიან ვენანები ამ საქმისთვის. მე კი ვუხ-  
სნი, რომ ეს ჩემი სამსახურია და ვალდე-  
ბული ვარ კეთილსინდისიერად შევასრუ-  
ლო. იმ დღეს ერნესტას ცოტა ქვეშ გაეპარა  
და ყველაფერის გამოცვლა დასჭირდა.  
მერე შევიდა ოთახში და ბევრი იტირა.

მითხრა — როგორ განუხეობ. მოვეფერე  
და ვაკოცე. ამაზე კიდევ უფრო აუჩუყდა  
გული. ასეთი თბილი და სათუთი დამოკ-  
იდებულება გვაქვს, სხვაგვარად ვერც შევ-  
ძლებდი აქ ყოფნას.

ერნესტა მოთმინებით მიცდის ვიდრე  
სამზარეულოს მოვანსრიგებ, შემდეგ კი  
თავის ოთახში მიმყავს და სავარძელში ვს-  
ვამ ფანჯარასთან. ვეუბნები, აქ ახლოს  
ვიქნები-მეთქი. ძირითადად, სწორედ მას  
ვუვლი, მეორე დას არ სჭირდება დახმარე-  
ბა. აღიზიანებს კიდევ ზედმეტი ყურადღე-  
ბა. მიუხედავად იმისა, რომ უფრო ხან-  
დაზმულია, ყველაფერს დამოუკიდებლად  
აკეთებს. მთელი დღე რალაცას საქმი-  
ანობს, კარგავს, კერავს... ამბობს, რომ უს-  
აქმოდ გაჩერება არ შეუძლია, მიუხედავად  
იმისა, რომ ყოველთვის მდიდარი იყო და  
მოსამსახურები ჰყავდა. მოთხოვნილება  
აქვს, ყველაფერი თავად აკეთოს. ალბათ,  
ამიტომაც მიაღწია ამ ასაკს. ამბობენ აქ-  
ტიური და შრომისმოყვარე ადამიანები  
დიდხანს ცოცხლობენო, თუ სიცოცხლე  
ჰქვია ამას. ჩემთვის ნამდვილად არ ვისურ-  
ვებდი; სხვებისა კი რა ვთქვა, ღმერთმა  
დიდხანს აცოცხლოთ.

მარიას, ამ „რკინის ლედის“, ერთადერ-  
თი ქალიშვილი ჰყავს — როზანა. ორ-  
მოცდაათი წლის ქალია (პროფესიით  
ფსიქოლოგი), დედის სრული ანტიპოდი —  
მეტად ჰუმანური და გულუხვი. ამავე დროს  
ახალგაზრდული და თანამედროვე.  
ჩემთან საკმაოდ მეგობრული დამოკიდე-  
ბულება აქვს. არც მზრუნველობას მაკ-

ლებს... სწორედ მის ოჯახში ვიმყოფებით ამჟამად.

პადოვის ცენტრში ვცხოვრობ, მდინარის პირას, ლამაზ და მდიდრულ სახლში. პირველ სართულზე რომანაა თავის ახალგაზრდა ქმართან ერთად. ზედა სართულზე კი მე ვარ და ორი მოხუცი. პო, კიდევ ერთი კორეელი გოგოა, სახელად სოიანგი. ოპერის მომღერალია. ულამაზესი ხმა აქვს, ლირიკული სოპრანო. ზოგჯერ ისეთი ხმები ისმის მისი ოთახიდან, თავი ოპერის კულისებში მგონია. ისიც მოხუცებს უვლის (პარალელურად ოპერაშიც მღერის). სულ სამნი ვართ. ერთი ზანგია, ივონი ჰქვია. ის აქ არ ცხოვრობს. სალამობით მოდის ხოლმე. განაწილებული გვაქვს სამივეს საათები. ამის გამოა, რომ ბევრი თავისუფალი დრო მაქვს. კვირის განმავლობაში მხოლოდ დღის პირველ ნახევარში ვმუშაობ. შაბათ-კვირაც თავისუფალი მაქვს. ამავ დროს ხელფასი მაღალია — ისეთივე, როგორც სხვა ქალების, რომლებიც ერთი კვირა სახლიდან ვერ გადაიან. ნამდვილად გამომართლა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე დიდი და კარგი ოთახი მე მერგო მთელ სახლში. უშველებელი დარბაზია, საწოლიც ზომაზე დიდია, „აეროდრომს“ ვეძახი. შუა ოთახში, შუშის შავი, მრგვალი მაგიდა დგას. ზედ ფერად-ფერადი ყურნალეხია მიმოფანტული და წითელი, სურნელოვანი სათელი დგას. კედლებზე დიდი სურათები ჰქვია. რამდენიმე ჩემი ნამუშევარიც გამოფენილი, რამაც ოთახს მეტი ფერი შესძინა. ყოველივე ეს მყუდრო გარემოს ქმნის. ერთი სული მაქვს ხოლმე, სანამ აქ შემოვალ და განმარტოვდები. ხშირად ვზივარ სავარძელში ფანჯარასთან, რომელიც მდინარე ბაკილიონეს გადაჭყურებს და ფერადი იხვების ცქერით ვტყებები. საოცრად რომანტიკული ხედაია. ლექსის წერა მოგიწევს. ყოველივე ამით გაბრუნებული მაშინვე ფიქრთა მორევში ვიძირები...

სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, პადოვის ცენტრი არ არის დამდგელი და ხმაურიანი. ამასთანავე, აქ ცხოვრება მეტად ხელსაყრელია, ყველგან ფეხით დაგვივარ.

რაც შეეხება ამინდებს, აპრილი საკმაოდ გრილი და წვიმიანი გამოდგა, რომ აღარაფერი ვთქვათ მარტზე. ვნახოთ, როგორი გვექნება მაისი. გაზაფხული ლამაზი ქალივით არის — მშვენიერი, ვნებ-ისამშლელი, მაგრამ საკმაოდ ჭირვეული და არასანდო. რას იზამ, როგორც ჩემი მოხუცი ამბობს „პაციენცა“, ანუ მოთმინება, მოთმინება და კიდევ ერთხელ მოთმინება.

მხოლოდ მაშინ გამოვდივარ ოთახიდან, როცა სადილის დრო მოახლოვდება. მარია სამზარეულოში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მთელი თავისი არსებით ამზადებს საჭმელს, როგორც წინააღმდეგობა. თუ რაიმე შეეშალა და ისე არ გამოუვიდა, ტირილს იწყებს, სუსტი სქესის წარმომადგენლისათვის საკმაოდ შეუფერებელი ბოხი ხმით. მაგრამ თუ ეს შეცდომა მე დაევსევი, ვაი ჩემი ბრალი. თუმცა იცის, რომ თავდაცვის უნარი საკმაოდ მაქვს განვითარებული.

ამ დროს ვეძახი ერნესტასაც, რომ მონანილობა მიიღოს საერთო სამზადისში. როგორც ყოველთვის, სავარძელში ზის და თვლებს ვაფხიზლებ. ძლივს მცნობს. დიდი ნვალებით ვაყენებ ფეხზე და მიმავს სამზარეულოში, საკმაოდ უკმაყოფილო, იდლია რომ დაურღვიეს.

ერნესტას საქმიანობა სულ იმით გამოიხატება, რომ გარეცხილი სალათის ფოთლებს ამშრალებს და შემდეგ წვრილად აქუცმაცებს. კურდღელივით იკვებება.

აი, სადილიც მზად არის, დიდი ნერვიულობის და ვნებათაღელვის შემდეგ. ვანყობ მაგიდას. ერნესტა თვალს მაღევნებს და განუწყვეტილად მაქვს და მადიდებს, რა ყოჩაღი ხარო.

უცბად სუსტი ხმით ავიღვარდება: — *Vino! Vino!* ვინო ველიტას! ვინო ველიტას! (ენას იჩლექავს).

ღვინის გამოლეხა დამავიწყდა და ამან გამოიწვია მისი ასეთი აღშფოთება. ცოტას ვუსხამ ჭიქაში, მაგრამ ხელის მოძრაობით მანიშნებს, კიდევ დაასხი ნუ გენანებაო. ორ-სამ ჭიქას ყოველთვის ყლურწავენ სადილსა და ვახშამზე. შემდეგ ცოტას ვისვენებ. და აი, ივონის



როხროხა ხმაც მოისმის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი სამუშაო დრო ამოიწურა და დამამდე თავისუფალი ვარ. ყველას ვემშვიდობები და სახლიდან გამოვდივარ. საოცარი გრძნობა მეუფლება. თავს ისე ვგრძნობ, როგორც გალიიდან გამოფრენილი ჩიტი. ფეხით მივუყვები ქუჩებს, რომელთა გავლაც არასოდეს მომწყინდება. გზადაგზა მალაზიის ვიტრინებს შევცქერი. გულგრილად ნამდვილად ვერ ჩაუვლი. დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ვიღებ, თანაც ნებისყოფას ვიმუშავებ (გასაგებ მიზეზთა გამო), ეს კი ყოველგვარ ნივთიერ შენაქნებზე მეტია. საკმაოდ დიდ მანძილს გავდივარ, ზოგჯერ მომძახებენ ხოლმე:

— ჩაო, ბელა!<sup>1</sup>  
და მაშინ მეტი ხალისით ვაგრძელებ გზას.

ბოლოს, როგორც იქნება, მივალნე ჩემი სულიერი განცხრომის ადგილს — „პრატო დელა ვალეს“. ეს არის ყველაზე დიდი მოედანი მთელს ვეროპაში. უზარმაზარი სივრცე. შუაში მწვანე მინდორი, ულამაზესი, აქაფებული მადრევენი. გარშემო წრიულად შემორტყმული აქვს მდინარე ბაკილიონე. უამრავი თეთრი ქანდაკება დგას ირგვლივ. ძალიან რომანტიკული და პოეტური ადგილია — განსაკუთრებით სალამოჟამს, როცა ლამპიონები იწებება. ამ დროს თეთრი ქანდაკებების სილუეტები აირეკლება შავად მოლივლივ წყალში.

დღისით, სიცხეში, უამრავი ხალხი მოდის აქ. ნამონოლილები ისვენებენ ხის ჩრდილში. მეც ვუერთდები მათ, ზოგჯერ ჩემს დასა და მის ოჯახთან ერთად ან სულაც მარტო. ვისვენებ და ვტკბები მოედნის გარშემო ჩამსკრივებული შენობების განსაკუთრებული არქიტექტურით. მაინც რა მაგიური ძალა აქვს ამ ქალაქს, ასე რომ მომაჯადოვა.

და ამ დროს კვლავ მახსენდება თბილისი, ჩემი მშობლიური ქალაქი, მთანმდის უბანი, სადაც გავიზარდე, რუსთაველის გამზირი... ვგრძნობ, თანდათან როგორ მიმძიმდება გული და ვცდილობ როსტალოვის ეს მორიგი შემოტევა იუმორით გავიქარწყლო. ნარმოვიდგენ, რა მოხდება, ასე რომ ნამოწვე თავისუფლების მოედანზე, მინდორზე და მეციენება... აქ კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

უცბად ისევ ერნესტაზე ვიწყებ ფიქრს. მისი ხმა თითქოს ისევ ჩამესმის შორიდან. როცა სახლიდან გამოვდივარ, ბავშვივით მეტირება. გულაჩუყებული მეკითხება, ხომ დაბრუნდებიო, ხომ ნამდვილად დაბრუნდებიო. ხომ იცი, უშენოდ ძალიან ცუდად ვიქცებიო!

ერნესტას ფაქიზი და რომანტიკული სული საოცარ გრძნობას იწვევს ჩემში. ისეთი სუსტია, ისეთი დაუცველი. დაუჯერებელია, მაგრამ ყველაზე ნაზი დამოკიდებულება მე მაქვს მასთან. მესმის მისი და ვუთანაგრძნობ. ეს სხვების გაკვირვებას იწვევს. მარია ეჭვიანობს კიდევ.

ერნესტას მუდამ ღიმილით და სიყვარულით მივმართავ. თვითონაც ყოველთვის თავაზიანია ჩემს მიმართ. ვიცი, როგორ გაუხარდება, როცა უკან დავბრუნდები. მხოლოდ ეს მმატებს ძალას. გვიანობამდე ვრჩები „პრატოზე“. ზოგჯერ გზად მუსიკალურ მაღაზიაში შევდივარ, სადაც უკვე კარგად მცნობენ.

ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. ვხვდები ახლობლებსაც, რომლებიც უკვე შევიძინე აქ. ბოლოს კი ვბრუნდები შინ, შთაბეჭდილებებით სავსე და ნასიამოვნები — განსაკუთრებით, შემთხვევით, ქუჩაში გამართულ კონცერტსაც თუ შევევსნრები, ბლუზის, ჯაზის...

სახლში როცა შევდივარ, პირველად კატები მომეგებებიან. ისინიც ოჯახის წევრებად ითვლებიან და დიდ პატივშიც არიან. ერთს როსელა ჰქვია, მეორეს — „ფიორე“ ანუ ყვავილი. მე საკმაოდ მკაცრად ვექცევი, ზედა სართულზე არ ვუშვებ, ბენვები რომ არ დაყარონ. ცხვირწინ მივუხურავ ხოლმე კარს გაკვირვებულ ოთხფეხა მეგობრებს. ასე რომ, სახლის ზედა ნაწილში მეტი წესრიგია და სისუფთავე. ჩემს ოთახში ხომ სულ ია-ვარდის სურნელი დგას.

ერნესტას ისე უხარია ჩემი დანახვა, როგორც პატარა ბავშვს დედის დაბრუნება.

— უძვირფასესო, დაბრუნდი ხომ? როგორ მიხარია.

მადლიერებას გამოვთქვამ მისი ასეთი გულისხმიერებისათვის და ღამე მშვიდობისას ვუსურვებ. დილაობით ერნესტა განსაკუთრებით სასაცილო სანახავია, როცა ღამით თავზე ჩამოცმული ჩაჩი გვერდზე აქვს მოქცეული. ოთახში რომ შევდივარ, პირველად ამას მეკითხება:

— უნდა ჩამაცვა?

შემდეგ კი ამ სიტყვებით იწყებს მოთქმას:

— ო, სანტ-ანტონიო,<sup>2</sup> ბენდეტო<sup>3</sup>... და მოაყოლებს ვრცელ მონოლოგს. რა დიდი მსხვერპლია მისი მხრიდან ჩაცმა, საწოლიდან ნამოდგომა და ასე შემდეგ.

ამას ისეთი სუსტი ხმით ამბობს და საერთოდ ისეთია, რომ გაგეცინება. სხვები ამ დროს, როგორც წესი, ტუქსავენ ხოლმე. მე კი ვცდილობ, რამენაირად ვანუგეგმო.

აი, ფიქრით კი ისევ საქართველოში ვარ...

მახსენდება, დედა მამობობდა, მამამისი, ექიმი-ნევროპათოლოგი — ლადო კოტეტიშვილი — როგორ კურნავდა ისეთი სახის პაციენტებს, რომელთაც შიში აქვთ, რომ სერიოზულად არიან დაავადებულნი და არაფერი აღარ ეშველებათ. როგორ და სრულიად მარტივად, გულისყურით უშმენდა და უთანაგრძნობდა.

ერთხელ ერთ ქალთან მიუყვანიათ, რომელიც რამდენიმე წელი საწოლში იწვა. დაჟინებული ჰქონია, რომ მძიმე დაავადება სჭირდა და ვერასოდეს ფეხზე ვეღარ გაივლიდა. უმტიცებდნენ, რომ არაფერი სერიოზული არა აქვს, მაგრამ ამაოდ. მისულა ლადო, გაუსინჯავს და უთქვამს — ქალბატონო, სრულიად მართალი ხართო. მართლაც, სერიოზულად ხართ ავად, მაგრამ მე ვიცი მაგის ნამალიო. ძალიან ესიამოვნა თურმე ქალს ეს სიტყვები, ძლივს ვილაცამ გაიგო მისი გულისტკივილი. სულ უბრალო ნვეთები გამოუწერა-თურმე. არცთუ დიდი ხნის შემდეგ კი გაუფრია, რომ ქალი ნამომდგარა და სიარული დაუწყია.

ლადოსეულმა მეთოდმა ერნესტაზეც გაჭრა. ყოველთვის ვეთანხმები და ვეუბნები, რომ მესმის მისი, ვიცი რომ იტანჯება და მიკვირს კიდევ, როგორ უმკლავდება ყოველივეს. ძალიან სიამოვნებს ეს სიტყვები, მშვიდდება. როგორც ჩანს, ყველაზე მთავარი მართლაც ეს არის ადამი-

ანისათვის, ვინმემ მოგისმინოს და ერთი სანუგეგმო სიტყვა მაინც გითხრას. მაშინვე გულზე მოგეშვება... ამის უნარი კი ბევრს როდი აქვს.

ისე ვილღები, რომ დღისით თითქმის ყოველთვის ვიძინებ. ორი მოხუცის მოვლა არც თუ იოლი საქმეა. ერთხელაც ასე შევდივარ ოთახში. ერთი სული მაქვს, თავს როდის დავებ ბალიშზე. ამ დროს კაკუნი მესმის. საკმაოდ ნერვიულად ვაღებ კარს. ერნესტა საცოდავი ხმით მეუბნება:

— შეიძლება შენთან შემოვიდე?  
— რამე მოხდა, ერნესტა?  
— არაფერი, შენთან მინდა ყოფნა, თუ არ შეგაწუხებ.

ეს სიტყვები, ალბათ, ქვასაც გააღობდა. თუმცა ჩემი დრო გავიდა, ოთახში შემომყავს. ვპირდები, როცა მომაგრდება, ეკლესიაში წაგიყვან-მეთქი. ძალიან უხარია. ერთხელ თვალი მოვკარი, როგორ უსმენდა ტელევიზიით გადმოცემულ წირვას. ფეხზე იდგა და უზარმაზარი თვლებით შესცქეროდა დიდი მონინებით. გამუდმებით მლოცავს და ბედნიერ მომავალს მისურვებს, თვითონ კი ღმერთს სთხოვს, რომ მალე წაიყვანოს და გაათავისუფლოს ამ ქვეყნიური ტანჯვისაგან.

მაგრამ მუდმივი არაფერი არ არის. როზანა, ჩემი დიასახლისი, ბრაზილიაში მიდის საცხოვრებლად. დედა თავის შვილთან გადაჰყავს. ერნესტა კი მოხუცების სახლში უნდა მოათავსონ. მგონი, ყველაზე მეტად მე განვიცდი ამ ამბავს. ვიცი, ვერ გასძლებს იქ, უცხო გარემოში და დარდისგან მოკვდება.

თვითონ ვერ ხვდება, რას უპირებენ, მაგრამ საშინლად ნერვიულობს, როდესაც ხედავს, მთელი ტანსაცმელი როგორ ამოაწყვს უჯრებიდან. აღშფოთებულია, ეს რა ხდებაო. რევოლუცია მოახდინეს ჩემს ოთახში. ტანსაცმელს ხელით ეჭივება და ცდილობს, ძველ ადგილას დააბრუნოს, მაგრამ ამაოდ. მართლაც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. ეს მლელვარება რამდენიმე დღეს გრძელდება.

აი, ერნესტა მზად არის წასასვლელად. უკვე კარში დგას. გულში ვიხუტებ და ვემშვიდობები.

— ძალიან მიყვარხარ — მეუბნება.

უცბად ვმორდები და შევდივარ ჩემს ოთახში. არ მინდა, ვინმემ თვალცრემლიანი დამინახოს.

მხოლოდ ორი-სამი თვის შემდეგ ვნახულვ კვლავ ერნესტას, ცოტა ხნით მოიყვანეს. გამხდარი მომეჩვენა. ისე იყო დასუსტებული, ინვალიდის სავარძელში იჯდა. ვეღარ დადიოდა. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა. მომიკითხა ძალიან სუსტი, არამჭევნიური ხმით.

უკვე კარგა ხანია, რაც ამ ოჯახიდან ნამოვდი. გავიგე, თურმე იმ სახლში, სადაც მე ვცხოვრობდი ჩემი მოხუცი, ამჟამად ბელგის ელჩი ცხოვრობს. სახლიც ისეთი ლამაზია თურმე, ავ თვალს არ დაეჩხვება.

ხშირად მახსენდება ერნესტა. ჩემს მეზობლებში არასოდეს ნაიშლება მისი ბავშვივით გულუბნელო სახე. ნეტავ სად არის ეხლა, ან როგორ უვლიან. ერთ დროს ცივ ნიავს არ ვაკარბდ.

საოცარი სინაზე დამიტოვა სულში მასთან ურთიერთობამ. ვიცი, ვერასოდეს ვნახავ, ვეღარც ვანუგეგმებ; მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში თუ გაივლებს ზოგჯერ ჩემი მოხუცი ერნესტას სახე.



<sup>1</sup> ბელა — ლამაზ ნიშნავს.  
<sup>2</sup> მძინდო ანტონიო.  
<sup>3</sup> დალოცვილო, კურიხეულო.

კატო ჯავახიშვილი

ნაცვალსახალი

„სარკვე, თვალები გადამალე, სულ აღარ მგავხარ“ ...

დღის შუალედში, წუთის თუნდაც მეათასედში, საკუთარ თავებს პატივებს თუ შევპირდებით, დრო — უმიზეზო სტუმარივით დაგვათენდება, უკანასკნელად შევიყვარებთ, თითქოს პირველად რაც იყო, უკვე აღარ გვახსოვს და თვალებიდან სარკეები — გვპარავენ დუმობას.

პირი. პირველი:

ჩვენ დაბადება დაგვაბრალეს. ჩვენ გაგვანინეს. ჟანგიანი ონკანებიდან გამოგვიშვეს და მდინარეები ჩარეცხეს ჩვენით. ჩვენ რახანია ფერად სიზმრებს აღარ ვნახულობთ და ცხადშიც, ჩვენს ნილ გადარჩენას საფლავში ვმღერით. ჩვენ არ ვარსებობთ. ჩვენ საღათას ძილში ვიზრდებით. ტანზე შემოკრულ ბედისწერას ხელისკანკალით ვუმზადებთ აკვანს. და არაფერი გაგვანინია, გარდა ხმელეთის, მოშიებული, წყალნაკლები ხმელეთის გარდა. იქ, სადაც ვცოცხლობთ. სადაც ვკვდებით. სადაც ყოველდღე, გვცვივა ეს ჩვენი დაბადება და საბანს ვიხდით, და როცა თვალში მთვარის შუქი შემოგვაკლდება, თითქოს ქუთუთო გადმოკეცეს სამპირად, მაშინ ჩვენ დავიძინებთ. ჩვენ სიზმარში გაგვეღვიძება. წამოწეული მდევარივით ჩვენსავ გვამებს შევჭამთ და დავხრავთ. ჩვენ აღარაფრის გვეშინია, როცა ვმარცხდებით, და არ ვმარცხდებით, როცა შიში საფლავში გვახლავს.

და მაშინ ჩვენ ვთქვით:

რომელმან შექმენ სამყარო, და რომელმან შეგვქმენ ჩვენ, და რომელმან მთელი კაცობრიობა მოაქციე მზეებით სავსე ვარცლში, და დაარქვი ყანა. რომელმან თესე დედაკაცი, მამაკაცს თივა გაუხადე ზურგივით სათრევი და თავთავები მოგვინიე, და ხან მნიფე, და ხან მკვახეა ჩვენი ქვეყანა, რომელშიც ჩვენი გასაჭირი, გასაჭირი რომელშიც, რძესავით დულდა. ობლის კვერი კი ხან ცხვებოდა, ხან პირიქით — გამოუმცხვარს ველაპავდით დღეებს. რად არ ჩანდით, უნდა გითხრა, რამდენჯერ „ქალაქს“ — სავაჭროდ მოველ, ნავაჭრი კი ისევ ვერ გამაქვს. უკან და გზაზე ამოუსვლელ ჩემსავე მზეებს ვილაშქვ, გარეთ ქარია და სიჩუმეს ზვერავეს, სასაფლაოდან ამოთხრილი ჩემივე გვამი ჩემსავე სიკვდილს გახლეჩილი ვაშლივით ჰგავდეს, ერთხელ ხომ მაინც მიყვარდი და ერთხელ ხომ მწამდი. რად არ ჩანდით, ჯერ არ მიტყვამს, ბოლოს რომ მწახე, რა ფერის იყო გაზაფხული, დაჭორფლილ სახის ასარიდებლად, განაპირა უბნებში, სახლებს გამოეტანათ თვალები და ლოცვისთვის დათხრილს ძლივს მოვათრევი საუკუნის წინ ჩაყრილ ვენახს და ჩუმად ჩემთვის ვლოცულობდი... შენ კი, დროს ისე მიუძღოდი წინ, როგორც ნახირს.

— ყურთასმენა წაიღეს. როგორ კვიანი სველ ქალებში მიკოტები. წყალმა თქვა: მოსვლა არ მაცადო, თავად მოდი და წყალმა თქვა: მოსვლა არ მაცადო, თავად მოდი და შენ ისევ ზიხარ. ცხოვრებიდან გცვივა კოლტები — ლოღინის.

ლამის მიწურულს, რომელიმე დღის გასაყართან, როცა მაჟორულ ნოტზე დილა ფოქსტროტს ასრულებს, გაგვახსენდება, რომ ოდესღაც ვილაც გვიყვარდა, გაგვახსენდება, რომ ოდესღაც, მასაც... და სადაც შიგნით, უმომავლო სულის საყდარში — სარკეები — ჩვენს სახელებს იმეორებენ.

პირი. მეორე:

ჩვენ სიყვარული დაგვაბრალეს. ჩვენ არ გვიყვარდა. ერთმანეთის ხელები შემოგვხვიეს და ხელოვნურად ვსუნთქავდით ჟანგბადს. დაბადებიდან შეგვიძლია ვიყოთ დიდები, ჩვენი ბავშვობა ბაჯალლოს სქელ რგოლებში ვჟანგოთ. ჩვენ ვერ ვისწავლეთ.

ვერაფერი ჩვენ ვერ ვისწავლეთ. და იყო „როდის“, და იყო „მაგრამ“, და იყო „თუმცა“, გვინდოდა — „მუდამ“. ჩვენ ვერასოდეს გვეყვარება, როგორც ვუნდოდით, და ვერასოდეს ვეყვარებით, როგორც ჩვენ გვსურდა. და როცა გვიყვარს. მერე ვხედავთ. მერე შეხება იგრძელებს ხელებს და საბანქევე სიძულვილს მალავს, და უჟანგბადოდ აგვიტყდება როცა ხველება, და ერთმანეთის სიძულვილით ვიღვებით, როცა ჩვენ დროს ვიცვლივით. სხულიდან ვშლით ჩვენს საათებს. როგორც ქვიშაში თამაშისას, ისე გვრჩება ფრჩხილებში ჭუჭყი, და ჩვენ ვერავინ გვეშველება, როცა გვჭირდება. და ვერც ვერავის ვეშველებით, როცა მათ უჭირთ.

და ახლა ჩვენ ვთქვით:

რომელმან კაცთა, ყოველთა კაცთა და მთელ მის ნაშიერთ მოგვაგე პური, და პური, და წყალი, და ღვინო, და ჩვენ კი მაინც, მოუხნავს ველაპავდით ბელტებს იმ ცისას, იმ ზღვისას, იმ მთისას, და ქალაქში ვეძებდით დამჭკნარ სამყურებს, იმ ცაში, იმ ზღვაში, იმ მთაში რომ ვძირკვეთ და მაინც ზევიდან დავყურებთ — სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცოცხლობთ და ვკვდებით, და რომელშიც ვიცვებით ცოდვით, სამყაროს — რომელშიც ვსუნთქავთ, და გვიჭირს, და უჰაერო სივრცეებს ვგავართ. რად არ ჩანდით, ხომ გითხარი, ბოლოს რომ ავხდი, კუბოში მენვა დედამინა. ტიროდა სახლი და უარყოფას, ან არყოფნას ვითხოვდი. გთხოვდი და უარყოფდა, ან არყოფნად ქალაქში ვთოვდი, და მოვდიოდი ისევ ისე მოხრილი წელში, დასასრულიდან ვინცებდი და სანყისად გწერდი.



რად არ ჩანდით, ჩამომხედე, ნითელი ზონა დროს იფართოვებს, მე გადაღმა კაბას ვიზომავ, იქ, სადაც ვინმე გაამართლებს სიშორის მიზეზს, სადაც მინიდან უცნაური თვალებით მიმზერ — მე გეუბნები: გადავშენდი, აქ ველარ მოვალ.

— ყველაფერი გაიღეს. აღარაფერი დარჩათ უკვე ჩემთვის სათქმელი. წყალმა თქვა: მოსვლა დამაცადე, თავად მოვალ და წყალმა თქვა: მოსვლა დამაცადე, თავად მოვალ და შენ უკვე ტანით დიდ მდინარეს მიადგაფუნებ — ცხოვრების.

დღის დასასრულში, რომელიმე ღამის არყოფნას საკუთარ თავში, სინანულით რომ დავიძინებთ, და როცა ციფრი ცხოვრებაზე არ გაიყოფა და როცა აბი არ გვჭირდება მისთვის საძილედ. ჩამოხნულდება იმ ზღაპარში, სადაც ნაყოფი ვკრიფთ სიზმრების. სარკეებიც — დაგვივინყებენ.

პირი. მესამე:

ჩვენ სიძულვილი დაგვაბრალეს. არავინ გვძულდა. ბრძოლის ველზე ხბორებივით გაგვრეკეს და ერთმანეთის გაგვადღეს ხორცი. ჩვენ ერთმანეთი შევითავსეთ, ისიც ხანდახან, და როცა გვიყვარს, მაშინაც კი ერთმანეთს ვხოცავთ. ჩვენ მარტოობა დაგვაბრალეს. ჩვენ მარტო არ ვართ. უსინათლო თვალები აგვიხვიეს, რომ გადარჩენა გვეპოვა კენტად. ჩვენ ვერასოდეს გამოვალწვეთ შენი მუცლიდან, ვერც ვერასოდეს შევსახლდებით ამაზე მეტად. სიჩუმე მოდის. ჩვენ არ ვფხიზლობთ. და გვეჩვენება, რომ ეს სამყარო — მზის გადმოსწვრივ ჩავარდა ჭაში და როცა ფიქრებს სამშვიდობოს ჩუმად გავხიზნავთ, როცა თვალბში გუბები დაშრება, მაშინ — ჩვენ გავიღვიძებთ. ცხოვრებაში გაგვეღვიძება. და ისევ ისე გავაგრძელებთ დარდსა და გმინვას. ადამიანებს არ ელიან, როცა მიდიან. ადამიანებს იქ ხვდებიან, სადაც ჩვენ მივალთ.

და ვთქვით:

რომელმან შექმენ სამყარო და რომელმან შეგვქმენ ჩვენ და რომელსაც გკლავდით, ყოველდღე გკლავდით და გძირკვავდით და სტომაქებს ვიცვებდით სისხლით, რომელსაც შიშველ, ხან გასანთლულ, ხან დაღუნილს, გიშვერდით მკლავებს და მერე სუფთას, ხან გასანთლულს, ხან სისხლიან სუდარებს ვხევედით და შენ, რომელმან შეგვქმენ ჩვენ და შენად და ჩვენად და მსგავსად და ხატად

და ჩვენ, რომლებსაც გვასწავლეს სისხლი და ომი და ზიზლი და კარგვა — პირისპირ ვდგავართ.

ჩვენ ყველაფერი დაგვაბრალეს. ჩვენ უბრალოდ გამოგვიგონეს. ჩვენ ყოველდღე ერთმანეთს ვკარგავთ. ჩვენ არაფერი გაგვანინია, გარდა ხმელეთის, მოშიებული, წყალნაკლები ხმელეთის გარდა.

— სამშვიდობოს იძინეთ. გაღვიძებამდე ზამთარია გადასავლელი. წყალმა თქვა: წყალზე თუ ჩამოხვალ, ფეხებს დაგბან და წყალმა თქვა: წყალზე თუ ჩამოხვალ, ფეხებს დაგბან და შენ უკვე ნეხხარ. გაღვიძებას უკვე არც ელი — იწყები.

გამიმეორე — უნდა ავიხდე, თვალი დავხუჭო, სიზმარივით გამოვეცხადო, იქ, სადაც უკვე სიზმარია ეს ყველაფერი და სადაც იქნებ, არასოდეს დავბადებულვართ.



დასასრული

— ხომ იცი, რატომაცაა ასე.  
 — აბა რა, „თრუ ლავს“ ეძებ.  
 — ჰო, ნამდვილ სიყვარულს.  
 — თეთრ რაშზე ამხედრებულ რაინდს?  
 — არა, რა რაინდი, — თავი გააქნია ეკამ.  
 — ის მაინც თუ იცი, რას გულისხმობ ამ ნამდვილ სიყვარულში?  
 ეკა ჩაფიქრდა.  
 — იცი, სიტყვებით ამის გადმოცემა ძნელია, მაგრამ ასე მგონია, როგორც კი ეს მოხდება, მაშინვე მივხვდები, — ეკა ისევ გაჩუმდა, — შენ რა, იცი, რა არის ნამდვილი სიყვარული?  
 — მე არც ვეძებ, — თქვა ლელამ, — მცირედითაც დავკმაყოფილდები. ჩემთვის საკმარისია, თუ ნორმალურ კაცს შევხვდები, რომელიც გამიგებს და თან ღარიბიც არ იქნება.  
 ლელა ილიმბოდა. ოდნავ მსუქანი იყო, გრძელი, მხრებზე დაყრილი ცეცხლის-

ხომ იცი, როგორც ყველა ქალს, მეც მსიამოვნება გვერდით თუნდაც უიმედოდ შეყვარებული კაცის ყოფნა, ვიდრე უბრალო მძღოლის, რომელსაც ერთი სული ექნებოდა, თავიდან როდის მომიშორებდა. ასე იყო თუ ისე, ორი დღე მშვიდად გავატარეთ, დილით ყვავილები მხვდებოდა მანქანაში, დღის განმავლობაში ინტერვიუს ვიღებდი და საღამოს გიორგის ლექსებს ვუსმენდი.  
 — ლობესთან არ მიდიოდი?  
 — კი, ერთი-ორჯერ მარტო მივიპარე იმ მოჯადოებულ ადგილთან, მაგრამ შედეგი იგივე იყო. ლობე თითქოს გამირბოდა. მერე თავი დავანებე. მით უმეტეს, ბოლო დღე რომ დადგა, უკვე საკმაო თავსატეხი გამიჩნდა, როგორ დავმშვიდობებოდი გიორგის. ამასობაში ნელ-ნელა კიდევ შევეჩვიე. სანამ ფოთისკენ მიმავლოდ, სულ იმაზე ვფიქრობდი, საღამოს, წასვლისას, აუცილებლად ჩემს გაცილებას მოინდომებს და რაიმე გულის

და. იჯდა სუფრის კუთხეში და ხმას არ იღებდა. პარადი მერიის პიარის უფროსს მიყავდა. დაგვყავარა საჭმელ-სასმელი, თუმცა ძირითადად თვითონ და მისი თანამშრომლები სვამდნენ. ღვინოს არც მივკარებოვარ, ხომ იცი, თავს მატკივებს, გიორგი კი მძლოლი იყო და ლანჩხუთში უნდა წავეყვანე.  
 ჩვენი მასპინძელი გვერდით მომიჯდა. ჯერ ნესიერად იქცეოდა, მერე, რომ შეთვრა, გადაამეკიდა, მძლოლი გაუშვი, მე თვითონ წავიყვანე მოგვიანებით, სადაც გინდაო. ჯერ ხუმრობაში გავატარე ნათქვამი, იმან კი რასაკვირველია, ჩათვალა, რომ თუ ქალი უარს გეუბნება, ეს, პირიქით, თანხმობის ნიშანია და აღარ მომეშვა, გინდა თუ არა, დარჩი და მერე წავიყვანო. სად უნდა წავეყვანე, ისე დათვრა, ფეხზე ძლივს იდგა.  
 — მოკლედ, თავგამოდებული გეპაადხობოდა?  
 — ჰო, და გიორგი ამას გამწარებული

ში. იქნებ, ნანობდა კიდევ, რაც გააკეთა.  
 — კაცმა შენთვის თავი გადადო და ამის მერეც არ მოგიბრუნდა გული?  
 — კი, — თქვა ეკამ, — ხომ იცი, ყოველთვის მომწონდა ვაჟკაცური ტიპები. გიორგი ასეთი არ მეგონა. პროგრამისტი, რომელიც ლექსებითაა გატაცებული, თან ეს უცნაური ლობე... მაგრამ იმ ღამით რაღაც შეიცვალა. არა, ნამდვილად არ შემეყვარებია, მაგრამ სხვანაირად კი შევხედე.  
 — ესე იგი, პროცესი დაიწყო? ამიტომაც დაგვიანებ დაბრუნება ორი დღით?  
 — არა, ეგ არაფერ შუაშია, — თავი გააქნია ეკამ, — უბრალოდ, დილით, პოლიცია მოვიდა და გიორგი წაიყვანეს. ის კაცი, მაღლობა დღემთს, არ მომკვდარა, მაგრამ თურმე ტვინის შერყევა დაემართა. ეგეთი ტიპები მაშინ არიან მაგრები, ხუთნი რომ მოდიან ერთზე, თორემ, ხურდა თუ დაუბრუნეს, ხელადა პოლიციაში რეკავენ, მიშველეთო. თან მერის ნათ-

ირაკლი ქასრაშვილი

პოეზია, როგორც მათემატიკის ერთ-ერთი დარგი

ფერი თმები, მწვანე თვალები და მრგვალი, ლამაზი სახე ჰქონდა. როცა იცინოდა, ლოყა ეჩუტებოდა. ადრე თუ გვიან იპოვის თავის შესაფერ კაცს. სადმე ბანკის თანამშრომლებსა და სახელმწიფო მოხელეებს შორის და იქნება სრულიად კმაყოფილი თავისი ბედით. ეკა კი ამაზე უფრო მეტს ეძებს. ეძებს და ვერ პოულობს. არც უნდა თავისი უიღბლო რომანების გახსენება.

— თუ უთხარი იმ ბიჭს „თრუ ლავის“ ამბავი? — გამოაფხიზლა ლელას ხმამ.  
 — არა, მაშინ ამაზე სულ არ მინდოდა ლაპარაკი. მარტო ის ვუპასუხე, რომ არავინ მყავდა.

— გაუხარდებოდა.  
 — კი. მე კიდევ მინდოდა, რამენაირად დამეღწია მისგან თავი და მთელი გზა ვუჩინებდი, უკეთესი იქნება, ხვალდინ თუ ძველი მძლოლი მომემსახურება-მეთქი, მაგრამ მიპასუხა, უშენოდ ერთი ნუთიც ვეღარ გავძლებო. რომ შევლოდინება, სხვა მამაკაცთან ხარ მანქანაში, ვერ ავიტან, ეჭვიანობა გამაგიჟებს, ვინმეს მანქანას გამოვართმევ და მაინც უკან გამოგედევნებო. მპირდებოდა, შენ როგორც მეტყვი, ისე მოვიტყვი, არც კი შეგეხები, თუ ნებას არ მომცემო. იმდენი მელაპარაკა, ბოლოს დავეთანხმე, ჯანდაბას, ისევ შენ მატარე-მეთქი. თან დავემუქრე, თუკი რაიმე ზედმეტს გახვდები, შენ მანქანაში არ ჩავჯდები და არც სახლში შემოვდგამ ფეხს-მეთქი.  
 — სერიოზული თავდაცვითი ღონისძიებები ჩავატარებია, — გაიღიმა ლელამ, — გაჭრა?

— იცი რა, სხვა გზა არც მქონდა. სულ სამჯერ დაველაპარაკე კაცს და უკვე სიყვარული ამიხსნა. მაგრად ავირიე. არ ვიცოდი, რა მექნა. თან მის სახლში ვცხვოვრობდი, თან ამდენი საქმე მქონდა... იმ ღამეს კინალამ თბილისში წამოვედი, მაგრამ ჩემი რედაქტორის დამუყავებელი სახე რომ წარმოვიდგინე, გადავწყვიტე, სამი დღეც გამეძლო. არადა, ახალგაზრდობით მიჯნური რას ჩაიდენდა, როცა ისევ მარტო დავრჩებოდი, არ ვიცოდი. თუ მხოლოდ კომპიუტერულ ლექსებს წამიკითხავდა, კიდევ არა უშავდა, მაგრამ სხვა რამეც რომ მოეწოდებინა?  
 — სულ არ მოგწონდა?  
 — შენ წარმოიდგინე, არა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ბავშვი იყო და არა ჩამოყალიბებული მამაკაცი. არ ვიცი, ეს მისი ლექსების გამო ხდებოდა, თუ იმიტომ, ორი წლით უმცროსი რომ იყო ჩემზე, მაგრამ ფაქტია, სერიოზულად ვერ აღვიქვამდი მის სიყვარულს. ბავშვური თამაში მეგონა. აი, ისეთი, პირველმეორე კლასში რომა.

— მერე როგორ იქცეოდა?  
 — მშვენივრად. პირობა შეასრულა. მორჩილად დამატარებდა ზემო იმერეთის სოფლებში. მანქანაში მელოდა, სანამ გლეხებს ველაპარაკებოდი. მარტო რომ ვრჩებოდი, თვალებში შემომციცინებდა და სიყვარულზე მელაპარაკებოდა. კოცნა აღარ უცდია, — ეკამ გაიღიმა.  
 — გული ხომ არ დაგწყვიტა? — გაეხუმრა ლელა.  
 — არა, — ეკა ჩაფიქრდა, — არ ვიცი... ცოტა დაძაბული მაინც ვიყავი და იმ დროს სულ არ მინდოდა, მომხვეოდა.  
 — თუ არ გინდოდა, საერთოდ ნუ წაიყვანდი და ეგ იქნებოდა.  
 — შეიძლება, მართალი ხარ, მაგრამ



განგმირავი სცენა არ მოაწყოს-მეთქი. მაგრამ იმ დღეს ისეთი რამე მოხდა, რომ ჩემი გაცილება ვეღარ მოახერხა.

— რა იყო, სხვა შეუყვარდა?  
 — არა, რას ამბობ.

ეკა გაჩუმდა. თითქოს ძალებს იკრებდა. საღამო მუქ ფარდასავით ეშვებოდა ქუჩაზე, ფარნები ინთებოდა. ლელამ გაიფიქრა, რომ შესაფერისი დრო დამდგარიყო ამ ამბის კვანძის გახსნის მოსასმენად.

— იმ დღეს ფოთში წავიდით, — თქვა ეკამ, — გლეხებთან კი არა, მთავრობასთან მქონდა შეხვედრები. ინტერვიუ ავიღე ქალაქის მერიისგან, მისი მოადგილისგან, პორტის დირექტორისგან. მოკლედ, ვი-აი-პი ხალხთან მქონდა საქმე. ჰოდა, ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე, მერმა თავისი პიარის უფროსი მომამეგრა დასახმარებლად და თან ალბათ იმის გასაკონტროლებლადაც, რას ვაკეთებდი და ვის ვხვდებოდი. ასე, ოცდაათი წლის იქნებოდა, ოთხუთხედი თავით და მოკლედ შეჭრილი თმებით, ახალი დანიშნული იყო თანამდებობაზე და თავი ისე მოჰქონდა, გეგონებდა, თვითონ იყო იქაურობის ბატონ-პატრონი. თან, როგორც მითხრეს მერის ნათლული იყო და ეს მგონი, უფრო უმძაფრებდა საკუთარი ღირსების შეგრძნებას. სულ არ ჰგავდა ჟურნალისტს. აი, ისეთი ტიპი იყო, მიხრა-მოხრა, თავის გამოჩენა და ხელების შლა რომ უყვართ — რაღაც შუალედური ძველ ბიჭსა და ჩინოვნიკს შორის. ინტერვიუები რომ დავამთავრე, არაფრით არ მომეშვა, რესტორანში დამპატიჟა. ვეხვეწე, ხვალ დილის მატარებელს უნდა გავყვე თბილისში და მანამდე, რეპორტაჟი მაქვს მოსამზადებელი-მეთქი, მაგრამ ვერ მოვიშორე. ორი თანამშრომელი წამოიყვანა. ერთი — ორმოც წელს გადაცილებული კაცი და მეორე — მთლად პატარა, თვრამეტი წლის ბიჭი. ისინიც მერიაში მუშაობდნენ, არც მახსოვს, რა თანამდებობებზე. შესაძლოა, მერმა დაავალა, უყურადღებოდ არ დამიტოვოთ თბილისელი ჟურნალისტიო, შეიძლება, სტუმართმოყვარეობის გამოჩენა მოინდომეს. მოკლედ, საღამოს ხუთ საათზე მათთან და გიორგისთან ერთად რესტორან „ზღვის ნაპირში“ გამოვიჭმიე. გიორგის არ ეხანა-ლისებოდა იქ წასვლა, მაგრამ რას იზამ-

უყურებდა. ვიფიქრე, სანამ რაიმე აუტყვავს, დროა წავიდე-მეთქი, მაგრამ ეს მთვრალი პიარშიკი არ გვიშვებდა, თქვენი სადღეგრძელო უნდა დავლიოო. როგორც იქნა, ფეხზე ავდექით, რომ ეგრევე დაგვეტოვებინა იქაურობა, როგორც კი ბუფეტის მორჩებოდა.. თვითონაც მძიმედ წამოდგა. ალბათ, იფიქრა კიდევ ერთხელ ვცდიო და ისევ გაიბზა — მძლოლი გუშვი და ცოტა ხანს დარჩიო, საბოლოოდ უარი რომ ვუთხარი და დავაპირე, მაგიდას მოვშორებოდი, უცებ წამოიძახა:

— რა რო, არ გეკადრულობ? მაინცდამაინც ამ მოფერმა უნდა გადაგიყვანოს ბუჩქებში?

იმდენად მოულოდნელი იყო ამის გაგონება კაცისგან, რომელიც ხუთი წუთის წინ მანდილოსანს მიწოდებდა და ჩემს დღეგრძელობას ფეხზე წამომდგარი აპირებდა, რომ გავეშვებდი.

— რაო, ბიჭო, რა თქვი? — გავიგონე უცებ გიორგის ხმა. ისე უცხოდ მეჩვენა, რომ შევხვდე, სხვა ხომ არ არის-თქო.

— ეი, შენ, შოფერ, შათ აფ, რა, — ხელი აუქნია პიარშიკმა, — ეგლა მაკლია, შენ-ნაირმა მახუთიანმა გოიმმა ქალი დამანეროს.

ამის თქმა იყო და მის შუბლზე ჭიქა გასკდა. თვალი ვერ მოვკარი, როდის მოასწრო გიორგიმ მისი სროლა. მასპინძელს თავიდან სისხლი წასკდა, დაბარბაცდა და ამ დროს მეორე ჭიქაც მოხვდა, უკვე ყურთან, რომელმაც ეგრევე ძირს დააგდო. კარგა მოზრდილი სუფრის ჭიქები იყო, სქელი და ნახნაგებიანი. საბედნიეროდ, ორივე თანამშრომელი მას ეცა წამოსაყენებლად. გიორგიმ დრო იხელთა, მანქანისკენ გამაქანა და ორ წუთში უკვე გზაზე ვიყავით. ბევრი არ გვილაპარაკია. ან კი რა უნდა მეთქვა, კაცმა ჩემი ღირსება დაიცვა და ხომ არ გავლანძღავდი. არადა, მაღლობის გადახდაც მეუხერხულებოდა. გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს, ვფიქრობდი, რა დაემართა იმ მთვრალ პიარშიკს, ისიც არ ვიცოდი, ცოცხალი თუ გადაჩრა. არც გიორგი დაიძინებდა. ის უფრო შავ დღეში იყო. ჯერ ერთი, რომ სიყვარული ცალმხრივი გამოუვიდა, მეორეც, ამ სიყვარულმა, მგონი, უბედურება მოუტანა. იმ საწყალს, ალბათ, რამდენი რამ უტრიალებდა თავ-

ლული იყო, ხო იცი და ატყდა ისტერიკები. გიორგის კიდევ გაუმართლა, ფოთში რომ არ ჩასვეს. თავის ქალაქში მოსამართლევ ახლობელია და პროკურორი ხომ საერთოდ ნათესავი. სულ ორ დღეს იჯდა და მერე სამი ათასი ლარის გირაოთი რაიონიდან გაუსვლელობის პირობით გაათავისუფლეს. მეც, სანამ არ გამოუშვეს, ვეღარ წამოვედი. ჩემი გულისთვის ჩავარდა ასეთ დღეში და ხომ არ მივატოვებდი. თან, როგორც მონმეს, ჩვენებაც ჩამომართვეს. მოკლედ, იმანაც შარში გაყო თავი და მეც. ძალიან გაუხარდა, სახლში რომ დაბრუნდა და იქ დავხვდი. მეხვეწებოდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩიო, მაგრამ იმავე დღეს წამოვედი. საკმაოდ დაღლილი ვიყავი თავგადასავლებიდან, მარტო დარჩენა მინდოდა. სამარშრუტო ტაქსს გამოვეყვი. გიორგიმ ავტოსადგომში გამაცილა და დამპირდა, როგორც კი რაიონიდან გასვლა შემეძლება, თბილისში ჩამოგაკითხავო.

— შენც გაიხარე ამის გაგონებაზე? — გაიღიმა ლელამ.

— არა, რას ამბობ. ახლა იმას ვფიქრობ, როგორ ჩავამთავრო ეს ამბავი მშვიდობიანად. არადა, სასამართლოზე მაინც მომიწევს ჩასვლა, თან გიორგიც ადრე თუ გვიან შეძლებს აქ ჩამოსვლას და მერე რა მოხდება, არ ვიცი...

— გირჩევნია, ჩასვან, რომ თავი დააღწიო? — ჰკითხა ლელამ, — მაგაზე იოლი რაა. მგონი, შენს ჩვენებაზეა დამოკიდებული მისი ბედი.

— რას ამბობ, გადაირიე? — ხელები გაასავსავა ეკამ, — სულ არ მინდა, დაიჭირონ. მით უმეტეს, მისი ბრალი არ იყო.

— აბა, რას უპირებ, რომ ჩამოგაკითხავს?

— იცი რა, — თქვა ეკამ, — როცა ვემშვიდობებოდი, ლოყაზე მაკოცა. იმ დროს პატარა ბავშვს ჰგავდა. შემეცოდა. ხომ არ დამივიწყებო, — მკითხა. ძალიან მარტოსული მეჩვენა. თითქოს სხვა სამყაროდანა მოსული იმ გადაკარგულ ქალაქში. შეიძლება, პირველი ადამიანი ვიყავი, ვისაც გულახდილად დაელაპარაკა, პირველი, ვინც შეუყვარდა. ჰოდა, ასე იოლად ვერ ვკარავ ხელს. არადა, მშვენივრად ვიცი, იმდენად განსხვავებული ცხოვრება გვაქვს, ვერასოდეს გავუგებთ ერთმანეთს და ისე ახლოსაც ვერ მივალ მასთან, როგორც ნამდვილი სიყვარულისთვისაა საჭირო, — ეკა ჩაფიქრდა, — ახლა, აქ რომ ვარ, ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს ამბავი სინამდვილეში კი არ მოხდა, დამესიზმრა.

— იმ ღობის შესახებ თუ აპირებ სტატიის დაწერას? — ჰკითხა ლელამ.

— არა მგონია, — თქვა ეკამ — არ მინდა, პარანორმალური მოვლენების კიდევ ერთ აღმწერად ვიქცე. თან, ზედმეტი ყურადღება გიორგის შეანუხებს. თუკი მოუნდება, თვითონვე დაწერს ამაზე, კომპიუტერი ხომ აქვს.

ეკას მონაცემლმა თითქოს შეცვალა ქუჩაც, გამვლელიც, საღამოს ბინდებუნიც კი. რაღაც საიდუმლო იმალებოდა ამ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ნამდვილი სიყვარულის, ვაჟკაცობის, უსასრულობის, პოეზიისა და მათემატიკის საიდუმლო, უცნაურად გაერთიანებული ერთი კაცის ამბავში. ორივეს მოეჩვენა, რომ ყოველდღიურობა თავისი უთილაკი მხრით მობრუნდა მათკენ და თითქოს წამით მოკრეს თვალი მის შეუცნობელ არსს.

ლიტერატურული კონკურსი — „კუბლიცისტიკა, კრიტიკა, ესეისტიკა“ — გამარჯვებული. I კრებია

საქართველო აღარ არის მგოსანთა მხარე. საქართველო არის იმედების ფაბრიკა, რომელიც უწყვეტ წარმოებაზე მუშაობს ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში. ვირტუალური ოპტიმიზმის ატმოსფეროში ქრება რეალობის შეგრძნება როგორც ასეთი. ილუზიების წვრილწვრილ ნამსხვრევებშიც კი იმედის მკრთალი სხივები ბზინავს.

უპასუხისმგებლობის ესთეტიკას აქვს გამოკვეთილი ფორმა და ეს არის იმედი. გადაუჭრელი პრობლემების გასაუქმებლად უკეთესი საშუალება არ არსებობს — ელოდო და იმედი იქონიო.

იმედის ფსიქოზი ბირთვული სოკოსავით წამომართულა ჩვენს თავზე და, გალაკტიონისა არ იყოს, „ღრუბლები ჰგვანან ამღვრულ ტვინებს“.

ეროვნული ინტერესების შელახვაზე მოსთქვამს ერი და ბერი, ამ დროს კი მიმდინარეობს პიროვნების გამაღებელი ფალსიფიკაცია. საზოგადოების იდეალად იქცა ჰომო სექსუალის, რომელიც მღერის, ცეკვავს, ლაპარაკობს, ჭამს, კვნისის, იციონის, ოლონდ არ აზროვნებს. აზროვნება ჩვენში არამოდურ მდგომარეობად ითვლება, ცუდ ტონად აღიქმება, რადგან პირდაპირ მიანიშნებს პასუხისმგებლობაზე, რომელსაც არ ვაღიარებთ, ვერ ვგუბობთ, ვერ ვეთვისებთ.

რაც არის პიროვნება, ის არის ერი. აუცილებელი არ არის, პერსონალისტი იყო, რომ ეს აღიარო. შენი ფსიქიკა, ზნე, ფიქრი, ნებელობა ეკუთვნის დიდ მთელს, რომელიც ხშირად გიგრძნია.

მუდმივი არაფერია. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება — აზრიც, განწყობილებაც, სხეულიც, სამშობლოც, სამშობლოსადმი დამოკიდებულებაც. მაგრამ არ იცვლება ისტორია — ჩვენი არსებობის ყველაზე მყარი დოკუმენტი.

არ იცვლება ისტორია. ვერ შევცვლით ისტორიას. მაგრამ ისტორიამ შეიძლება შეგვცვალოს.

ვგულისხმობ ისტორიას არა როგორც ეროვნულ ფენომენს, ანუ ყველაზე სახიფათო პროდუქტს, რომელიც ინტელექტის ქიმიამ გამოიმუშავა (პოლ ვალერი), არამედ როგორც რეალობას, როგორც ფსიქოლოგიური არქიტექტურის შემნახავ ნაღვერდალს, როგორც დიალექტიკურ კანონზომიერებას.

ძველი ფრანგული გამოთქმაა, ბედნიერ ერებს ისტორია არა აქვთ. ჩვენ გვაქვს ისტორია და ეს გვაშინებს, გვაძიმებს, გვაეჭვებს. ზოგჯერ შიშსა და ეჭვს თვითგვემამდეც მივყავართ, არასრულფასოვნების მოტივებით გვტვირთავს, უბედურების განცდით გვმსჭვალავს.

— რა უბედურებაა!.. რა უბედურებაა, რომ ებრაელი ხართ! — ეტყვის ჟან-კრისტოფი თავდემოოსს.

— გაცილებით უფრო დიდი უბედურებაა, რომ ადამიანი ხარ, — მიუგებს თავდემოოსი.

საუკეთესო შემთხვევაში ეროვნული კომპლექსები ინდუქციის წესით ადამიანურში ერთიანდება.

მძიმეა ქართველობის ტვირთი, მძიმეა ადამიანური ყოფიერება. ზოგჯერ ყველა ეროვნული პრობლემა ადამიანშია, მის ეგზისტენციურ რაობაშია, იქ იწყება, იქვე მთავრდება, იქ სუფევს მარადიულად.

ქართული ეროვნული ცნობიერების კრიზისი თამარის ეპოქაში დაიწყო. ჯერ იყო გონიერების კრახი, შემდეგ — ცნობიერების კრიზისი, რომელსაც მოჰყვა სახელმწიფოებრივი მარცხი. ვერ შეინარჩუნა თავი სუვერენულმა ქართულმა სახელმწიფომ, რომლის იდეა, ქვეცნობიერად, კავკასიის ჰეგემონობამდე მიდიოდა.

თვითშემეცნების პოტენცია არ გვეყო. მოიშალა სამეფო — ეროვნულობის ფაქტორი.

საქართველო მოსწყდა დასავლეთს, რომელსაც მაშინ არც ვახსოვდით. ოსმალურ-მონღოლური ბარიერის მიუხედავად, არაერთხელ იყო მცდელობა კავშირის აღდგენისა. მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ქართლის მეფე კონსტანტინე ესპანეთის დედოფალ იზაბელას სთავაზობს ერთობლივი ძალებით გაათავისუფლონ კონსტანტინეპოლი; ერთი საუკუნის შემდეგ


სვიმონ პირველმა სთხოვა ევროპელებს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. არაფერი გამოვიდა. დასავლეთმა არ აიტყვივა აუტყვივარი თავი.

სანამ ირან-ოსმალური დილემით დაღლილი ქართლი რუსულ ალტერნატივაზე დაფიქრდებოდა, ჩრდილოეთში უკვე ვითვლებოდა სამხრეთის ომის თეატრის რეკვიზიტად. 1600-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსებმა ჯერ საქართველოს გზაც არ იციან, ბორის გოდუნოვი ივერიის მეფედ იხსენიებს თავს გიორგი მეათისადმი გამოგზავნილ წერილში.

რად დასამალია, რუსეთთან შეერთ-

ივანე ამირხანაშვილი

პესტერნიზაციის ცხადი სიზმრები



ბა მე-18 საუკუნის ბოლოს ჩვენი სურვილი იყო, ჩვენი სამეფოს გაუქმება — მათი ნება.

„დიდს მტერს კაცი ან შეეხვეწება და ან გარდაეხვეწება“, — ამბობს სულხან-საბა. „შევეხვეწეთ“, შევეურთდით, შევეთვისეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. იაპონური ნოსთეატრიკით, პირველ მოქმედებაში შემოსული კეთილი ძია მეორე მოქმედებაში მრისხანე მპყრობელად იქცა.

კიდევ კარგი, დამპყრობელი ღმერთად არ მიგვიღია აცტეკებოვით. მთიულეთისა და კახეთის აჯანყებებმა, 1832-ის შეთქმულებამ პრესტიჟი გადაგვირჩინა.

მოიტანეს თავიანთი კანონი, ენა და „ედიწონაჩალიე“. ერთმონაწილეები ვართ და „ედიწონაჩალიეს“ პრინციპით ჩვენს ეკლესიას უნდა აითქვიფოთო. აგვთქვიფვის, გადაგვიღეს-გადაგვიღებეს ეკლესიები და ჩვენი აღარაფერი დაგვრჩა წვერ-ულვაშის გარდა.

საქმე ილიამ და მისმა თაობამ გამოასწორეს, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა შეაბრუნეს კეხი.

„საქართველომ მიიძინა როგორც მეფემ და გამოიღვიძა, როგორც გაძარცვულმა“, — ასე შეაფასა გალაკტიონმა კოლონიური არსებობის ხანმოკლე შესვენება. მეორე, ბოლშევიკური პერიოდი — 1921 წლიდან 1989 წლამდე — იყო გაძარცვულის ყოფნა გაძლებაზე.

სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვების შემდეგ გვეგონა ეროვნულ სამოთხეში აღმოვჩნდებოდით, მაგრამ სინამდვილეში მივიღეთ ტრავმატოლოგიური შოკი როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური გაგებით. თბილისის, ცხინვალისა და აფხაზეთის ომებმა, რომლებიც გარედან, ეგრეთ წოდებული მესამე ძალის მიერ იყო დაგეგმილი, ნელში გატეხა საქართველო.

თავისუფლება მძიმე ტვირთად დაგვანვა. დემოკრატია უცხო ხილი აღმოჩნდა ჩვენთვის. ეს დასავლური იმპორტი ჩვენმა ცნობიერებამ ისე მიიღო, როგორც ყინულმა ცეცხლი. რეალობის აღქმის უნარი და-

ვკარგეთ. საქართველოს ვესტერნიზაციის ანუ გადასავლურების პროცესი ფაქტიურად უჩვენოდ, ჩვენი მონაწილეობის გარეშე დაიწყო, რაც, კაცმა რომ თქვას, პროცესს კი არა, მძინარის ჯანჯღარით გამოღვიძებას უფრო ჰგავდა. მთავარი ვერ გავიგეთ, უნარი არ გვეყო მივმხვდარიყავით, რაზე მეტყველებს თანამედროვე ეპოქა, რომელსაც აქვს თავისი ენა, თავისი წესი, თავისი საიდუმლო.

თანამედროვე მსოფლიოს წარმართავს ორი რამ: ეკონომიკის ინდუსტრიული სისტემა და პოლიტიკური სისტემა, რომელსაც დემოკრატია უწოდებენ; ელექტრონული საშუალებების წყალობით მსოფლიო დაემსგავსა გლობალურ სოფელს, სადაც ყველაფერი ყველას თვალწინ ხდება; რაც უფრო მეტ სივრ-

არნოდ ტონინის ეკუთვნის ისტორიული განვითარების ალტერნატიულობის თეორია, რომლის მიხედვით, ცივილიზაციის შემდგომი არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ინტენსიური იქნება საზოგადოების პასუხი იმ გამოწვევაზე, რასაც მას სთავაზობს მსოფლიო კანონი — ღვთიური ლოგოსი.

ტონინის მოძღვრებით, ისტორიის მამოძრავებელი ძალა არის გამოწვევა. გადარჩენისა და წინსვლის გარანტია ეძლევა მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელსაც აქვს უნარი უპასუხოს გამოწვევას.

რაც უფრო ძლიერია გამოწვევა, მით უფრო ძლიერია სტიმული. ეს არის ფორმულა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ამართლებს.

არ მიიღებ გამოწვევას, არ აჰყვები

ცეებს იპყრობს კოსმოპოლიტიური იდეოლოგია, მით უფრო ძლიერდება ეროვნული ეგოცენტრიზმი.

რთული რეალობის წინაშე ვდგავართ. მაგრამ მთავარია არა რეალობა, არამედ ის, თუ როგორ აღვიქვამთ რეალობას.

ახალი მსოფლიო წესრიგი იქმნება და ამ პროცესში, გინდა არ გინდა, უნდა ჩაერთო. მოვლენები თავისთავად გვითრევენ ახალ წესრიგში და ჩვენი ამოცანაა ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინოთ, თანაც ისე, რომ ბედის ჩარხს ნაწილ-ნაწილ კი არა, მთლიანად ჩავყვეთ, დაუნანვერებლად, რათა თავი არ დაგვარგოთ საგანთა ახალ რიგში და იქაც ვიყოთ ის, რაც ვართ არსებითად, ისტორიულად, ეროვნულად, შინაგანი პოტენციით.

ტემპი... ცვლილებები... ადაპტაციის უნარი — თანამედროვეობის ამ მოთხოვნებს ვინც ვერ პასუხობს, თამაშს ეთიშება.

სახელმწიფოს, ერის, ეთნოსის სიცოცხლისუნარიანობა მტკიცდება იმით, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლია ცივილიზაციის მიღწევების მიღება-ათვისება. შუამდინარული, ეგვიპტური თუ ბერძნული კულტურები მეზობელი ხალხების მიღწევების ათვისების გზით იქმნებოდა. ჩვენს თვალწინ შეიქმნა „იაპონური სასწაული“ — ამომავალი მზის ქვეყანამ მაქსიმალურად გამოიყენა მსოფლიო ინტელექტუალური პოტენციალი და მიაღწია არნახულ განვითარებას. გარკვეულწილად ამ გზას გადის „ჩინური სასწაულიც“.

კულტურა რისკია. გარღვევაა, რომელსაც ყველა ვერ ბედავს.

რისკი იყო ქართლის მიერ ქრისტიანობის აღიარება; რისკი იყო გრიგოლ ხანძთელის გასვლა ტაო-კლარჯეთის უდაბნოებში; რისკი იყო საზღვარგარეთული კულტურის ცენტრების დაარსება შუა საუკუნეებში. ამ რისკებმა გაამართლა, თუმცა ისტორიაში გვქონდა ისეთი მომენტებიც, როცა ვერ გავრისკეთ და ამის გამო ჩამოვრჩით მსოფლიო განვითარების ტემპს.

თამაშის ახალ წესებს, არ დაადგები ახალ გზას, დრო გაგეცლება და სხვა მფლობელს აირჩევს.

თუ გარდაუვალია დიდ ქვეყნებთან ურთიერთობა, თუ გარდაუვალია ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, თუ გარდაუვალია სამხედრო ალიანსში გაერთიანება, მაშინ იყოს ნება მათი და ნებელობა ჩვენი.

„ძალით თუ შეგაგდეს, სასახლევ სატყუსალოა“, — ამბობს ჯემალ ქარჩხაძის ერთ-ერთი პერსონაჟი რომანიდან „განზომილება“.

ქართველობა მეტწილად სხვის ომში იბრძოდა: სპარსელების დროშით ბერძნების წინააღმდეგ და ბერძნების დროშით სპარსელების წინააღმდეგ; არაბების დროშით ბიზანტიის წინააღმდეგ და ბიზანტიის დროშით არაბების წინააღმდეგ; მონღოლების დროშით თურქების წინააღმდეგ და თურქების დროშით მონღოლების წინააღმდეგ; ირანელების დროშით ოსმალების წინააღმდეგ და ოსმალების დროშით ირანელების წინააღმდეგ; რუსების დროშით თურქების წინააღმდეგ და თურქების დროშით რუსების წინააღმდეგ...

ეს არ იყო ორმაგი სტანდარტი. ეს იყო არსებობის წესი. ეს იყო ბრძოლა და თამაშიც, სტრატეგიულ-პოლიტიკური თამაში, რომელშიც ქართველობა სარგებელს ეძებდა. ზოგჯერ პოულობდა ამ სარგებელს, ზოგჯერ ვერა, მაგრამ იბრძოდა. ეს იყო აუცილებელი ბრძოლა არსებობისათვის, სიცოცხლისათვის, თვითდამკვიდრებისათვის.

გარდუვალობის წინაშე ვდგავართ, როგორც ყოველთვის.

ლაპარაკი არ არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა-არშესვლაზე; არც რაიმე სტრატეგიულ თანამშრომლობაზე; არც რომელიმე პოლიტიკური ორიენტაციის არჩევაზე. ლაპარაკია მუდმივ გამოწვევაზე, წინსვლის გარანტიებზე, რომელთა საპასუხოდ მზად უნდა ვიყოთ.

იმას, რასაც მართლა თავისუფლება ჰქვია, ვერავინ მოგვანიჭებს, ვერავინ გვაჩუქებს, ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ.

თვითონ უნდა მივალწიოთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თავისუფლებას. სწორედ თავისუფლებას, თორემ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი უაზრობაა ეპოქაში, როცა ყველა სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, თავიანთი ინტერესებით ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, და როცა მსოფლიოს ბედი ორი-სამი ადამიანის სიფხიზლეზეა დამოკიდებული.

ღმერთი აძლევს ყველა ერს ისეთ რამეს, რაც მას თავის მიწაზე დაამაგრებს, დააბამს, დააფიქსირებს. მაგალითად, ჩინელს ბრინჯი აქვს და ამით ეჯაჭვება მიწას; პოლანდიელს — ტიტები, ტიტების მოვლაში პოვეს თავს; ქართველებს ვაზი გვაქვს, ის არის ჩვენი მიწიერი მიზიდულობის ძალა, ის უნდა ვზარდოთ შვილივით და გავუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინს, როგორც არსებობის საწყისს. საქართველოში ვაზის კულტის გაქრობა ნიშანი იქნება იმისა, რომ მიწიერი ფუნქცია ამოვწურეთ და საარსებოდ იდეაში გადავინაცვლეთ.

ქართველმა უნდა მიაგნოს ქართველში ქართველობის შენარჩუნების ხელოვნებას, ახალ განაწესს, დროსთან შესაბამისს, რომ არ დაეწვრეს საუკუნეობით ნაგები ციტიდელი ერთად არსებობისა.

ამისათვის საჭიროა გვექონდეს ეროვნული იდეოლოგია. არ ვიცი, როგორი უნდა იყოს ეს იდეოლოგია, გნებავთ დოქტრინა, გნებავთ სტრატეგია, გნებავთ მსოფლმხედველობა, რა ფორმა უნდა ჰქონდეს, რა სამზერი, რა მიმართულება, მაგრამ ქართული უნდა იყოს და შიგ ერის პერსპექტივა უნდა ჩანდეს. იდეასაც გარეთ ხომ არ დავუწყებთ ძებნას, კანონებოვით უცხო ენებიდან ხომ არ ვაღმოვივლებთ; უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა, რას ვაკეთებთ, საით მივდივართ. შეიძლება მომავლის გზაზე სხვასაც გავყვეთ, მაგრამ კომპასი ჩვენს ხელთ უნდა იყოს, ჩვენი ვარსკვლავი არ უნდა დავკარგოთ.

ცოდვა იქნება, თუ ვერ შევინარჩუნებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეტოსი. რაც უნდა მოხდეს, აფხაზეთი და სამაჩაბლო არ უნდა გავიდეს ეროვნული ცნობიერების გარეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული სულისა და ხორცის არსებობის ბუნებრივ-ისტორიულ არეალში აფხაზეთი და სამაჩაბლოც შემოდის;

უნდა აღვადგინოთ კულტი განათლებისა და სციენტიზმისა, რომელსაც მეცნიერებას ვუნოდებთ;

უნდა: ვისწავლოთ საქმის ორგანიზება; გადავარჩინოთ სოფელი; დემოგრაფიულად გავაცოცხლოთ მთიანი რეგიონები; მოვავაროთ ეროვნული უმცირესობების საკითხი...

და კიდევ: ემიგრანტები ნუ დავავიწყებთ შვილებს სამშობლოს; სიმღერაში ნუ მივბაძავთ უცხოელებს; ქართულ ცეკვას ნუ დავამსგავსებთ რივერდანსს; ენაში ნუ გამოვურევთ ანგლიციზმებს; ქართულ სუფრას ნუ გადავქცევთ შვედურ მაგიდად; მიწას ნუ გავასხვისებთ ბოლომდე; წყალს ნუ გავყიდით უკანასკნელ წვეთამდე; მამა-პაპას ნუ დავვიწყებთ; უხეიროს ნუ მივბაძავთ, კარგზე გვეჭიროს თვალი და გვწამდეს, რომ უჩვენოდ სამყარო არ იქნება ისეთი მშვენიერი, როგორც არის.

ეს არ არის ნაციონალიზმი. ეს არის რაციონალიზმი. მაგრამ სად არის ეს დალოცვილი რაციო, საიდან გამომდინარეობს, რა საშუალებით გამოვიხმობთ, როდის მოვიცალოთ მისთვის.

იდეაში ქართული დიონისური დასავლურ აპოლონურს უნდა შეერწყას, ოლონდ ამას შესაბამისი ბაზა სჭირდება. როგორც ისტორია გვიჩვენებს, სამხრეთულ-მედიტერანული ცნობიერება ძნელად, მაგრამ მაინც ეკუთვნის დასავლურ რაციონალიზმს.

საქართველოს ვესტერნიზაცია ჯერჯერობით მხოლოდ იურიდიულ-დეკლარაციულ დონეებზე მიმდინარეობს, მაგრამ დღეს-ხვალ პროცესი მასშტაბური გახდება, ის მაინც განხორციელდება, როგორც განხორციელდა თავის დროზე ირანიზაცია, ელინიზაცია, ქრისტიანიზაცია...

მეთხე საუკუნეში ქართლმა უარი თქვა მამაპაპურ კერპებზე და ქრისტეს მსოფლიო სჯული აღიარა, მაგრამ ძველი მთლიანად არ დაუკარგავს, ახალს შეუხამა, შეარჩვა, შეათვისა, შეაერთა და შექმნა ქართული ეკლესია. ეს არის გამოწვევათა მიღების ჩვენური წესი, ზნე, ფსიქოლოგიური მექანიზმი, ხასიათის არქეტიპი, რომელიც, ბუნებრივია, არ დაკარგულა, არც დაიკარგება, სანამ საკუთარ თავს ვეკუთვნით, სანამ გვახსოვს თვითიგივეობის ხიბლი, სანამ შემოგვრჩენია რეალობის ნაკითხვის ნიჭი.

სხვათა შორის, თანამედროვე რეალობა სიმულაციის არნახული ხარისხით გამოირჩევა. სიმულაციებით არის სავსე ჩვენი ყოფიერების ყველა სფერო — უბრალო რეკლამიდან დანყებული სეროზული პიარ-კამპანიით დამთავრებული.

ზოგჯერ ის არ ხდება, რასაც ვხედავთ. ზოგჯერ სიტყვა არ ნიშნავს იმას, რასაც გვეუბნებიან. ზოგჯერ არ გვინდა ის, რაც გვგონია, რომ გვინდა.

ზოგჯერ უიმედობა იმედის ნიღბით გვეცხადება და ბატონობს ჩვენზე.

იმედი ბატონობს იქ, სადაც არ არის თავისუფლება. თავისუფლებას კარნახით ვერ მიაგნებ. ვერც დაგეგმავ. ვერც დააფუძნებ. თავისუფლებისთვის შინაგანად უნდა გადავწყო. თანაცხოვრების ეტოსი უნდა აღიდგინო ისე, რომ ადამიანში მგელს კი არა, შენს თავს ხედავდე. თავისუფლება სულიერი მდგომარეობაა, არისტოკრატიული მოვლენაა, ადამიანურობის ნიჭია.

მარგინალიზებულ საზოგადოებაში ძალზე ძნელია, რთულია და შესაძლოა უხერხულიც კი არის ამ თემაზე საუბარი, მაგრამ დადგება ჟამი, მოვა დრო, რადგან თუ არის დაცემა, არის დაცემის მიზეზი და თუ არის აღდგინება, არის აღდგინების მიზეზიც.

ასეთია ცხოვრების დიალექტიკა.

### მანანა კობაიძე

\*\*\*

ოთახის ბინდებს მშვიდათ შევხვდები, რაკი ჩემს ბინდში სხივი ამენთო. შენ — გაზაფხულის სინათლის ღვარო, ველარ მაშინებ. დილის ამინდო,

არ გემალები! მორჩა ბინდებთან დობილად ყოფნით ნაზი სიკვდილი. ვარსკვლავის სხივი მიხილავს სხვაგვარს — არ გაგიკვირდეს.

\*\*\*

შეიბოლა საღამოს მზით დასავლეთი და, ეკლესიის კართან კანკალებს იატაკზე სინათლის გუბე. ძაღლის ყეფა. ჩიტი ჭიკჭიკებს ბინდის უბეში.

ქვის საფეხურებთან ლურჯი ლურჯი ყვავილები ბლუჯა-ბლუჯა ამოყრილები. ბლავის ნახირი.

სანუთროს ხმები. დუმლის ზღვიდან ამონვდილი გადაძახილი.

\*\*\*

იყავი დილამდე ჩემი. მე კი მინდოდა სიკვდილამდე შენი ვყოფილიყავ. იყავი დილამდე ჩემი, რადგან ღამე ხსოვნა არის, რადგან ღამე სიზმარი არის, შეუძლია გადაგვანაცვლოს ხან წარსულში, ხან მომავალში. გათენდება. და გაიმქრევა. იყავი დილამდე ჩემი. სიკვდილამდე.

\*\*\*

თვითმკვლელობის დღის მერეც დგება სიკვდილის ნატვრა, ისევ ახლიდან მტანჯავს თებერვალი და მარტი, ისევ მაშინებს ახალ გაზაფხულების გამოა, დღე მომატებას იწყებს, პატარავდება ღამე.



\*\*\*

როგორ წერდი ადრე სინანულის წამებს უღარდელი რითმით,

სულ სიმღერის ხმაზე ჩამოთვლიდი ცრემლებს, ტირილით და რიხით. აბა ერთი მზის სხივს შეეჯიბრე ერთხელ, გაანათე ერთი

ფოთლის ერთი ძარღვი, კენჭის ერთი ხაზი, სახლის ერთი კუთხე.

სულ ამ სიტყვებს ჩასცქერ, სულ ამ სიზმრებს უსმენ, სინანულით უხვი.

ვერც მურაბას ხარშავ, ვერცა ჰქსოვ და ჰქარგავ, ვერც კრუხ-წინილს უვლი.

\*\*\*

მე აღარ მახსოვს, თუ ვწერდი ლექსებს, მთელი ცხოვრება თითქოსა ვკემსე ჩემი ნარღვევი უთქმელი დარდი.

სიზმრიდან დამდის მღვრიე წარსული. ღალატისანი გული მეტკინა. ვერ მოვკვდი, როცა წასული გნახე.

ნეტა მეტირა მთელი ხმითა და მთელი სიმწარით. ჩამომედინა ცრემლი წითელი — როგორ ჩუმი შენი საფლავი —

მინაში წოლა განა დაგმშვენდა. აი, უშენოდ კიდევ დაღამდა. აი, უშენოდ კიდევ გათენდა. კიდევ გავძელით უშენოდ ყოფნა. კიდევ დავბერდით.

გაგონიერი

ბაკურ სულაკაური

„ლიტერატურულ გაზეთს“ რამდენიმე პრიორიტეტი აქვს. ერთ-ერთია ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილეობა. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი გახლავთ ქართული გამოცემლობები, რომელთა საქმიანობასაც, გაზეთის პირველივე ნომრებიდან ვაშუქებთ. რუბრიკა „გამომცემლის“ პირველი სტუმარი იყო თინა მამულაშვილი — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ დირექტორი. მასთან ინტერვიუ დაახლოებით სამი წლის წინ მოვაშა-დედით. მას შემდეგ საგამომცემლო საქმე საქართველოში კიდევ უფრო განვითარდა. ძალზე თვალსაჩინოა ის წინსვლა, რასაც წიგნის ინდუსტრია განიცდის. არაერთი გამომცემლობა მსხვილ შემოქმედებით და კომერციულ ცენტრად იქცა, ისინი წარმართავენ კიდევ გარკვეულ ლიტერატურულ პროცესებს საქართველოში და ამავე დროს ცდილობენ ქართული მწერლობა თანამედროვე მსოფლიო კულტურის არ-ეალში მოაქციონ. ასე რომ, საგამომცემლო-ლიტერატურული სიახლე ბევრია, „ლიტ-ერატურული გაზეთი“ კი მუდამ მზადაა, უმასპინძლოს გამომცემლებს, რომლებსაც მკითხველისთვის სათქმელი დაუგროვდათ. ამჯერად „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ დამფუძნებელს, ბატონ ბაკურ სულაკაურს ვესაუბრებით:

— ცოტა ხნის წინ ბაზარზე გამოჩნ-და წიგნი, რომელიც მკითხველის ყურადღებას დანახვისთანავე იპყრობს: ერთიანი წითელი ფონზე — ზუსტად იმგვარ წითელზე, საბჭოთა კავშირის დროშა რომ იყო — გამოსახულია ნამგალი და ურო, ხოლო სათაური ასეთია: „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. ქართველი ემიგრანტის, ივანე ნანუაშვილის ამ ძალზე საინტერესო პოლიტოლოგიურმა ნაშრომმა საზოგადოების ყურადღება იმთავითვე მიიქცია. რამდენადაც ვიცით, შემთხვევა რომ არა, შესაძლოა ქართველ მკითხველს წიგნი და მისი ავტორი ვერც ვერასოდეს გაეცნო.

— ერთ-ორი წლის წინ ამ წიგნს ბატონი ნიკოლოზ რურუა, მართლაც შემთხვევით, რომელიღაც წიგნის სქოლიოში „გადააწყ-და“. დაინტერესდა ნაშრომით და მის მო-ძიებას შეუდგა. დიდხანს და უშედეგოდ ეძებდა. ბოლოს გაარკვია, რომ ერთდარ-თი ეგზემლარი არსებობდა. მას „ამა-ზონზე“ მიაგნო და გამოიწერა.

წიგნი 1972 წელს შეერთებულ შტატებ-ში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა. მისი ავ-ტორი ივანე ნანუაშვილი ქართული არმი-ის ოფიცერთა სასწავლებლის კადეტი იყო და რუსული არმიის წინააღმდეგ იბრძო-და. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებ-ის შემდეგ, დაჭრილი, ემიგრაციაში გაჰყ-ვა მენშევიკურ მთავრობას და სამხედრო განათლების მიღება საბერძნეთში განაგრ-ძო. როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, პოლონეთის არმიაში განწევრიანდა, იქვე გახდა ქართველი ოფიცრების ასოციაცი-ის მდივანი და პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორი. ამავე დროს იბრძოდა საქართველოსა და, მასთან ერთად, საბჭო-თა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. 1939-41 წლებში იგი იმყოფებოდა გერმანელებ-ის ტყვეობაში, საიდანაც გავლენიანმა ქართველებმა დაიხსნეს, 1944 წლიდან კი იტალიის ფრონტზე შეუერთდა ამერიკულ ჯარს, შემდეგ — ისევ პოლონეთის არმიას. 1951 წლიდან შეერთებულ შტატებში ცხ-ოვრობდა. ამერიკის მოქალაქეც გახდა და 1972 წელს დაწერა წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ და მისი გამოცემის შემდეგ მა-ლევე გარდაიცვალა. მოხდა ისე, რომ ეს ნაშრომი ყველას მიავიწყდა. და რომ არა შემთხვევა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, ამ წიგნის შესახებ ალბათ არაფერი გვე-ცოდინებოდა. ბატონმა ნიკამ წიგნის „რე-

პრინტი“ გეტხოვა. ასე დაიბეჭდა ზუსტი ასლი ინგლისურენოვანი გამოცემისა. ის არაერთ უცხოელ დიპლომატსა თუ პოლი-ტიკოსს უსახსოვრეს.

ავტორი საუბრობს რუსეთზე, როგორც იმპერიალისტურ სახელმწიფოზე. მოგ-ვითხრობს რუსული დაპყრობების ისტო-რიას დაწყებული ჩინგიზ ხანიდან დამთავრებული თანამედროვე მმარ-



თველებით და ამტკიცებს, რომ რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრ-ძლივი ისტორიის მქონე დამპყრობელია. ავტორს დაპყრობილი ქვეყნის მაგალითად საქართველო მოჰყავს. წიგნი ისეა დაწერ-ილი, თითქოს თანამედროვე ნაშრომი იყოს, ამიტომაც აქტუალობას დღემდე არ კარგავს. შემდეგ მისი ქართულად თარგმ-ნაც გადაწყდა. ვთარგმნეთ, რედაქტირე-ბა გავუკეთეთ და ერთი თვეც არ არის, რაც გამოვეცით.

— როგორც ვიცი, ივანე ნანუაშვილის წიგნს საბჭოთა კავშირის სპეცსამსახ-ურები ბითუმად იძენდნენ და ანადგუ-რებდნენ. ამიტომაც შემორჩა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი...

თქვენ საგამომცემლო საქმიანობა მხატვრული პროზით, საბავშვო წიგნებ-ითა და სასკოლო სახელმძღვანელოებით დაიწყეთ. ბოლო წლებში თავდაპირველ პრიორიტეტებს რამდენიმე ახალი მი-მართულება დაემატა. შესაბამისი ჟანრე-ბის მკითხველს საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს.

— ჩვენ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. ერთ-ერთი პრიორიტეტია თან-ამედროვე მხატვრული პროზა — ქართუ-ლი და თარგმნილი ლიტერატურა; გამ-

ოცემით საბავშვო წიგნებს ყველა ასაკი-სთვის. საბავშვო გამოცემები ჟანრობრი-ვადაც ძალიან გავაფართოვეთ, გვაქვს მხ-ატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, წიგნი-სათამაშოები, ინტერაქტიური წიგნე-ბი, ყველაფერი — ილუსტრირებულიდან საკითხავამდე. შედარებით ახალი მიმა-რთულებაა — შობი. ის მოიცავს „კულინარ-იას“, „მებაღეობას“, „ჯანმრთელობას“, „ფოტოალბომებს“ და ასე შემდეგ. ეს უფროსებისთვის განკუთვნილი ილუსტრ-ირებული გამოცემებია, რომელიც შეიძლე-ბა ენციკლოპედიური, სამეცნიერო-პოპუ-ლარული ან სხვა ხასიათისა იყოს. გვაქვს ასევე სასაჩუქრე წიგნები. სწორედ ამ მიმა-რთულებით განხორციელდა შარშან „ჩვეხ-ისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემა — ჩვე-ნი ძალიან ცნობილი პროექტი. აქტიურად ვმუშაობთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟანრშიც, გამოცემით სამეცნიერო პოპუ-ლარულ ნაშრომებს პოლიტიკაზე, მათ შორის მემუარებს, ბიოგრაფიებს. ვაგრ-ძელებთ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობასაც.

— ვფიქრობ, საზოგადოებრივ-პოლი-ტიკური ლიტერატურის მიმართ ჩვენი საზოგადოების ინტერესი მზარდია.

# „ მკითხველმა საბრძნობლად იმატა “

თქვენც, ბაზრის მოთხოვნის შესაბამის-ად, ამ მიმართულებას საკმაოდ წარმატე-ბით აწვითარებთ. ბოლო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა შესთავაზეთ მკითხველს.

— მალე კიდევ ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან პრეზენტაციას ვგეგმავთ. მკითხველს წარუდგენთ ორ ახალ წიგნს. ერთ-ერთია „სტალინის დედის მოგონებე-ბი“. ეს გახლავთ 1935 წელს ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯულაშვილის კარნახით ჩან-ერილი მემუარები, რომელშიც ის დაწერილებით საუბრობს სტალინის ბავშ-ვობაზე და იხსენებს, თუ როგორ შეხვდა ვაჟის პოლიტიკურ არჩევანს. ეს მასალა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახებოდა. ბოლო წლებში რამდენიმე უცხო-ოელმა მკვლევარმა იმუშავა კიდევ ამ მე-მუარებზე, მასწავლა ის არასოდეს გამოცემ-ულა. „მოგონებებთან“ ერთად გამოდის საიმონ სებაგ მონტეფიორეს მორიგი ნაშ-რომი, რვაასგვერდიანი გამოკვლევა „სტალინი — ნიჟელი მეფის კარი“ — ყვე-ლაზე ცნობილი წიგნი სტალინზე. ეს წიგნე-ბი მაგალითისთვის მოვიყვანე. ჩვენ სხვა-დასხვა მიმართულებით ბევრი საინტერესო გამოცემა გვაქვს. წელიწადში ორასიდან

სამასამდე წიგნს გამოცემით, ყოველ კვი-რა — რამდენიმეს.

— ამ მოცულობის მასალის და-მუშავებას როგორ ახერხებთ? ადამია-ნური რესურსების ხარჯზე? ან როგორ ირჩევთ, რა გამოსცეთ — ავტორებისა და ტექსტების მიმართ ხომ შეფასების გარკვეული კრიტერიუმები გაქვთ?

— ვერ ვიტყვი, უზარმაზარი ადამია-ნური რესურსები გვაქვს-მეთქი, გამოცემ-ლობაში მუშაობს ორმოცი ადამიანი. ამ რაოდენობით ბევრიც შეიძლება გააკეთო და ცოტაც. მთავარია მენეჯმენტის როგორ ააწყობ და რამდენად კვალიფიციური თან-ამშრომლები გეყოლება. მასალას კი ასე ვარჩევთ: პროზის შემთხვევაში — ქართვე-ლი ავტორების წიგნებზე ვსაუბრობ — ვეცნობით ყველაფერს, რაც ჩვენთან მო-დის. ბუნებრივია, არიან მწერლები, რომ-ლებთანაც წლებია აქტიურად ვთანამ-შრომლობთ. ავტორებთან იგულისხმება, რომ ამ ავტორების ყველა მომდევნო წიგ-ნი ჩვენთან გამოცემაშია. ამ შემთხვევაში მასალას არჩევაც არ უნდა, ჩვენი ფუნქ-ციაა მისი რედაქტირება, გამოსაცემად მომზადება, შეფუთვა და საზოგადოების წინაშე წარდგენა და დისტრიბუცია.

— ახალბედა ავტორებთან რამდენად მომთხოვნი ხართ?

— მათი ნამუშევართა შეფასების კრი-ტერიუმი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერ-ატურული ღირებულებაა. დამწყები ავ-ტორის წიგნმა შეუძლებელია კომერციუ-ლი თვალსაზრისით დაგაინტერესოს, მათ-თან თანამშრომლობას კულტურულ საქმი-ანობას დავარქმევდი. ჩვენ ვეძებთ ახალ-გაზრდა ავტორებს, სურვილი გვაქვს ხელი შევეწყნოთ მათ და თუ კარგად წერენ, სიამ-ოვნებით ვუბეჭდავთ წიგნებს. მაგალითად, დათო ქარდავას ჩანაწერებს შემთხვევით „ფეისბუქში“ გავეცანი, დაინტერესდი და მათი წიგნად გამოცემა შეეთავაზე, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა. მისი „ტუალეტ-ში საკითხავი“ ძალიან საინტერესო წიგნი გამოვიდა. ის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და ტუალეტთან — ადამიანის კულტურული სივრცის ამ განუყოფელ ნაწ-ილთან — დაკავშირებულ ლინგვისტურ, ლიტერატურულ თუ ისტორიულ მასალა-სა და საინტერესო ფაქტებს წარმოგვიდ-გენს. „ტუალეტში საკითხავი“ წლებადღელ „საბაზე“ ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაში იყო წარდგენილი.

უახლოეს დღეებში გამოვა კიდევ ერთი ავტორის, ლადო გოგიაშვილის მოთ-ხრობების კრებული სახელწოდებით „ხვა-ლაც იგივე იქნება“. ლადოს ჩანაწერებსაც შემთხვევით გადავწყვიდი. ასეთი რამ არა-ერთხელ მომხარა. ავტორები გვიზავნიან კიდევ მხატვრულ ტექსტებს, ან რედაქ-ციაში მოაქვთ ნაწერები. ჩვენ კი ვეცნო-ბით და შესაბამის გადაწყვეტილებებს ვიღებთ.

— წლებადღელ წიგნის ფესტივალზე განსაკუთრებით მრავალფეროვნად წარ-მოადგინეთ თარგმნილი პროზა. თან-ამედროვე კლასიკოსების ნაწარმოებე-ბის გარდა, რომელიც სხვადასხვა სერიე-ზად გაქვთ გამოცემული, ძალიან მნიშ-ვნელოვანია იმ ბესტსელერების დადება დახლებზე, რომელსაც სწორედ ახლა კითხულობს მთელი მსოფლიო. ვფიქრობ, ამგვარი ოპერატიულობა „ბაკურ სუ-დასასრული მე-14 გვერდზე

ივანე ნანუაშვილი  
რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ

სტალინი  
წითელი მეფის კარი  
საიმონ სებაგ მონტეფიორე

სტალინის დედის მოგონებები

დათო ქარდავა  
ტუალეტი საკითხავი

მთარგმნელი

ლია ჩლაიძე

მთარგმნელსა და თურქოლოგ ლია ჩლაიძეს ცნობილ თურქ მწერალზე, ორჰან ფამუქზე სასაუბროდ შევეხმიანე. ორი წლის წინ გამოცემულმა რომანმა „მე ნითელი მქვია“, რომელიც ქალბატონმა ლიამ თარგმნა, ქართველი მკითხველის დიდი მონონება დაიმსახურა და ლიტერატურული პრემია „გალაც“ მოიპოვა, თუმცა თავად ასევე ცნობილი თურქი მწერლის, ჰალდუნ თანერის „კანდიდატურაც“ შემომთავაზა. არანაკლებ საინტერესო ავტორია, ვიდრე ფამუქიო. რასაკვირველია, დავინტერესდი და ბიბლიოთეკაში ლია ჩლაიძის მიერ თარგმნილი თანერის პირველი ნიგნი მოვიძიე. სადა, თხელი გამოცემაა, ჯერად ლოლუას მშვენიერი ილუსტრაციებით. შიგთავსს რაც შეეხება, მოლოდინს გადააჭარბა, მართლაც ნიჭიერი ავტორია, არაორდინალურად მოაზროვნე. მართალია, ფამუქთან სულ სხვა სივრცე და გაქანებაა, მაგრამ ესეც გემოვნებაზე დამოკიდებული. მაშ, ასე — თანერი, ფამუქი და... სხვა ფერები.

— თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობა თურქი მწერლის, ჰალდუნ თანერის ნოველებით დაიწყო. კრებულმა „თორმეტს აკლია ერთი წუთი“, რომელიც 1972 წელს გამოვიდა, იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, 40 ათასიანი ტირაჟით დაბეჭდილი ნიგნი ერთ კვირაში გაიყიდა. რა იყო ამის მიზეზი?


— ქართველი მკითხველი თურქი ავტორებით მაინცდამაინც განებივრებული არ ყოფილა, საბჭოთა კავშირში ასეთი წესი იყო: თარგმანი ჯერ რუსულად უნდა დაბეჭდილიყო და მერე შეიძლება სხვა ენებზე გადატანა. ჩვენს ბიბლიოთეკებში უცხოური ნიგნები ცოტა შემოდიოდა და მათ უმატესად მოსკოვში მივლინების დროს ლენინის ბიბლიოთეკაში ვკითხულობდით. ერთხელაც ბიბლიოთეკაში წიგნებს ვაბრუნებდი, როდესაც ჩემს წინ მდგომ ქალს ხელში თხელი გამოცემა შევნიშნე — ჰალდუნ თანერი, „ანვიმდა შიმპანეს“. დავინტერესდი ავტორის ვინაობით. ზუსტად ამ დროს ისეთი ჭეჭა-ჭუხილი ატყდა, გარეთ ვერ გავდიოდი. ბიბლიოთეკაში შევბრუნდი, დავინყე კითხვა და ველარ მოვწყდი. ეს არის მწერლის მიერ საოცარი ოსტატობით დაწერილი ნოველა იმაზე, თუ როგორ შეცვალა ერთმა ფაქტმა (სტამბოლში ცხენმა სარკეში ჩაიხედა) ადამიანების ცხოვრება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. თანერმა ისე გამოიტაცა, მოსკოვშივე ვთარგმნე. ჩამოვედი და ჩემს ირგვლივ უამრავ ადამიანს წავაკითხე. ყველა აღტაცებული იყო, მაგრამ ვერ ვბეჭდავდი იმის გამო, რომ ავტორის შესახებ არაფერი ვიცოდი.

ამ პერიოდში გაიმართა საბჭოთა მწერლების ყრილობა, სადაც თურქეთიდან ჰალდუნ თანერიც იყო მიწვეული. იქიდან ჩამოსულმა ნოდარ დუმბაძემ ჩამოიტანა მისი ამბავი. აღმოჩნდა, რომ წარმოშობით ქართველი იყო, თავდგირიძე, ბებია ჰყავდა გამსახურდიას ქალი და ძალიან უყვარდა საქართველო. მოგვიანებით თბილისშიც ჩამოვიდა. საოცარი ადამიანი გახლდათ, ჭეშმარიტი არისტოკრატი. თითქმის ყველა ევროპულ ენაზე ლაპარაკობდა. ქართულიც კარგად ესმოდა. ნიგნისთვის საგანგებოდ დაწერილ წინასიტყვაობაში წერს კიდევ, „ჩემს ოჯახში უფროსები ქართულად ლაპარაკობდნენ, ხშირად აწვდენდნენ ხმას საქართველოს, იცავდნენ ქართულ ადრე-წესებს“. — ო. ის კი არა, თურმე დიდდამისი მოსამსახურეს არ აიყვანდა არაქართველს — ბავშვებს შინ ქართული გარემო ჰქონდეთო. რა გასაკვირია, ასეთი განწყობით გაზრდილ კაცს ქართველების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ჰქონოდა. საკუთარ წარმოშობას ხაზს უსვამდა, მაგრამ თურქი მწერალი იყო. ერთი სიტყვით, ასეთი წინაპირობების შემდეგ ნიგნი ძალიან სწრაფად გაიყიდა. თავადაც ელოდა ქართულ გამოცემას, მაგრამ რამდენჯერაც გავუგზავნეთ, იმდენჯერ უკან დაგვიბრუნეს წარწერით — „გურჯუჯე“. მაშინ თურქეთში ქართული ნიგნის შეტანა არ შეიძლებოდა.

— ამ ფაქტიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ თანერი ხელმოკრედ გამოიცა. კრებულმა სახელწოდებით — „ანვიმდა სტამბოლს“ შედარებით უხმაუროდ „ჩაიარა“.

— პირველ გამოცემაში გაუგებრობა მოხდა და ნიგნის სატიტული გვერდზე ჩემი გვარი არ აღმოჩნდა. „მერანის“ დირექტორმა შემომთავაზა, რამდენიმე ნოველა კიდევ მეთარგმნა და კრებული ხელახლა გამოგვეცა. დავინყე, მაგრამ ვიდრე ტექსტები მოვიძიე და ვთარგმნე, აღარც ქვეყანა იყო, აღარც — გამოცემლობა. ვის ეცალა თანერისთვის? იდო თაროზე, ვიდრე თურქებმა არ შემომთავაზეს მისი და-

ბეჭდვა. დაბეჭდეს, მაგრამ ერთადერთი ცალი გაიყიდა. თითქმის მთელი ტირაჟი წამოვიღე და საჩუქრად დავარიგე. მოგვიანებით, ფამუქის გამოსვლის შემდეგ, თუ ვინმე მის ქებას იწყებდა, მაშინვე თანერს ვჩუქნიდი. ჩემი აზრით, ფამუქზე ნაკლები მწერალი არ არის. უბრალოდ, საქართველოში იმ დროს გამოიცა, როდესაც ნიგნისთვის არავის ეცალა. თურქეთში დღემდე პოპულარულია და ასე იქნება ყოველთვის: ჯერ ერთი, ძალიან კარგად წერს; მეორეც, ადამიანები უყვარს და მკითხველსაც ასევე განაწყობს. ფამუქს კი



თურქეთში არ სწყალობენ. მე ასეთ მწერალს არ ვიცნობო — მითხრა ერთმა ლიტერატურის პროფესორმა, თუმცა ფაქტია, რომ ძალიან კარგი ავტორია. არც რეკლამა აკლია ნობელის პრემიის, პოლიტიკური შეხედულებებისა და ბევრი სხვა მიზეზის გამო.

— თუ გახსოვთ, პირველად როდის აღმოჩნდით ამ ავტორთან პირისპირ?

— რამდენიმე წლის წინ „თურქეთელმა“ ქართველებმა ჩამოიტანეს ფამუქის სამი ნიგნი და მთხოვეს, მეთარგმნა. თავიდან „თოვლი“ წავიკითხე. საინტერესო ნაწარმოებია, მაგრამ რალაცნაირად არ შემეხო. მერე „სტამბოლის“ კითხვა დავიწყე. ძალიან მომეწონა და მისი თარგმნა გადავწყვიტე, მანამდე კი „მე ნითელი მქვია“ გადავფურცლე. გადავფურცლე და მივხვდი, სწორედ ეს იყო ჩემი ნიგნი. თარგმნას შევუდედი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დიდი ხნით მომიწია შეჩერება. მერე „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობიდან“ დამიკავშირდნენ და ამ რომანის თარგმნა შემომთავაზეს. დიდი გატაცებით ვთარგმნე. ძალიან ფერადოვანი ნიგნია და შემოქმედებითი განავარდების საშუალებას იძლევა. ჩემი ახლობელი თურქოლოგები კი მიმტკიცებენ, ორიგინალში ასეთი ლამაზი არ არისო, მაგრამ თქმა არ უნდა, ენობრივად ფამუქის ერთ-ერთი ყველაზე ჩამოქნილი ნაწარმოებია.

— მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ტექსტის თარგმნა, სადაც ამბავი სხვადასხვა პერსონაჟის მიერაა მოყოლილი, მთარგმნელისთვის რთული ამოცანაა. გაგიჭირდათ რომანზე მუშაობა?

— რომ გითხრათ ძალიან გამიჭირდამეთქი — არა, იოლად ვთარგმნე. რასაკვირველია, ის თურქული, რომლითაც ცხენი, ძაღლი, ნითელი ფერი ან ხე ლაპარაკობენ, სრულიად განსხვავებულია. ენიმთე ეფენდი არისტოკრატია, მისი სასაუბრო ენა დედანშიც ნახევრად არაბულია, ე.წ. ოსმალური, რომელიც ძალიან მაღალფარდოვანია და დაღვლარჭნილი; წერილმანებით მოვაჭრე ესთერი სხვა ენაზე ლაპარაკობს, ფული — სულ სხვაზე და ასევე უნდა თარგმნო. თუმცა, თუ შენი საკუთარი ენა კარგად იცი, მაინცდამაინც

არ გაგიჭირდება. — „აქვს მხატვარს საკუთარი სტილი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერი? უნდა ჰქონდეს?“ — კითხულობს რომანის დასაწყისში ერთ-ერთი გმირი და იქვე დასძენს: „მივხვდი, რასაც ხელწერას უწოდებენ, მხოლოდდამხოლოდ ის ადამიანური შეცდომაა, რომელიც კვალს გვატოვებინებს“. მთარგმნელთან მიმართებაში რას იტყობით, არის მთარგმნელისთვის საკუთარი ხელწერა შეცდომა?

— სხვათა შორის, ფამუქი შემოქმედებით ასპარეზზე მხატვრის ამპლუაში გამოჩნდა და როგორც ტექსტიდან ჩანს, კარგად იცნობს ხატვის აღმოსავლურ სკოლებს. აქ ძირითადად ლაპარაკია მინიატურაზე, იგივეობის ესთეტიკაზე და იმ საოცარ ფენომენზე, რომელსაც სპარსული მხატვრობა ჰქვია. ამ უკანასკნელს სათავე ჩინურმა მხატვრობამ დაუდო, საიდანაც მოგვიანებით სპარსული, თურქული და ზოგადად აღმოსავლური მხატვრობა განვითარდა. იგივეობის ესთეტიკა გაბატონებულია აღმოსავლურ ლიტერატურაშიც. რასაკვირველია, ამის ზუსტად გადმომღერება დედნდან მთლად სწორი არ იქნებოდა და არც მიცდია. რაც შეეხება



იმას, რომ ნახატს ხელმონერა არ უნდა ჰქონდეს და მხატვარს — თავისი სტილი, ეს მხატვრობის განვითარების ადრეული საფეხურია. მოგვიანებით სტილი გაჩნდა და ეს ნიგნშიც ჩანს: ის, რაც თავიდან შეცდომა იყო, შემდგომში მხატვრის ოსტატობის განმსაზღვრელი გახდა. მანამდე მაღალ ხელოვნებად ვინმესგან განსხვავებული ნამუშევრის შექმნა კი არ მიიჩნეოდა, არამედ იგივეს გამეორება, ოღონდ — უკეთესად.

— ეს ყველაფერი გასაგებია, თუმცა შეკითხვაში სხვა რამეს ვგულისხმობდი. კერძოდ, სულ არის კამათი იმაზე — უნდა ჰქონდეს მთარგმნელს თავისი ხელწერა თუ მაქსიმალურად დამსგავსოს თარგმანი ავტორის სტილს?

— ძალიანაც უნდა, მთარგმნელი თავს ვერ დამალავს, რადგან ეს შემოქმედებითი პროცესია.

— და არა ხელოსნობა, როგორც ამას ზოგიერთი მიიჩნევს?

— პროფესიონალური ხელოსნობაც მისაღებია, თუ სასურველ შედეგს იძლევა. ჩემი აზრით, კარგ თარგმანს მკითხველი

თავისუფლად უნდა კითხულობდეს, მთარგმნელის ოკრო-ბოკრო ქართულმა არ უნდა გააღიზიანოს. თურქულს აქვს ერთი დამახასიათებელი თვისება — შეიძლება ერთი წინადადება ერთ მოზრდილ აბზაცად გაიჭიმოს, ქართულ თარგმანში ეს 4-5 რთულ ქვეწყობილ წინადადებას გვაძლევს. რა ვქნათ, შევიწინააღმდეგოთ თურქული ენობრივი ქსოვილი და დავწეროთ ამსიგრძე წინადადებები? ვერცერთი ქართველი ამას ვერ წაიკითხავს, ამიტომ ნებისმიერი ენიდან ტექსტი უნდა გადმოიტანოს ისე, როგორც შენი მშობლიური ენა მოთხოვს.


— ყველა მთარგმნელს თარგმნის საკუთარი მეთოდი აქვს, ერთგვარი ჩარჩო, რომელიც მძიმე შრომას უიოლებს. თქვენი სამუშაო პროცესი როგორია?

— თავდაპირველად ვაკეთებ ე.წ. ზუსტ თარგმანს (და არა სიტყვასიტყვით) და ერთი თვის განმავლობაში „ვასვენებ“, ხელს აღარ ვკიდებ. ამ პერიოდში მეთათხედ ვკითხულობ ჩემთვის მისაღებ კარგ ქართულ ავტორებს, რათა ბუნებრივ ქართულ ფრაზას დავუბრუნდე. მხოლოდ ამის შემდეგ ვინწყებ მხატვრულ თარგმანს და ვწერ ისე, როგორც დაწერდა ქართველი მწერალი.

ფოლკლორის თარგმნას სრულიად განსხვავებული მიდგომა სჭირდება. მიმაჩნია, რომ ფოლკლორი ფოლკლორისტმა უნდა თარგმნოს, რომელმაც იცის, რომ კონკრეტული სახის შეცვლა არ შეიძლება და არასოდეს თარგმნის „მზეთუნახავს“ „Eminem“ -დ. „მზეთუნახავი“ ნებისმიერ ენაზე ზუსტად ამ სიტყვით უნდა გადაიტანოს და შემდეგ სქოლიოში განმარტო მისი ქონიშვნელობა, რომელიც თავის თავში ქართულ მითოლოგიას იტევს.

— რამდენადაც ვიცი, ფოლკლორის თარგმნა დიდი ხნის წინ დაიწყო.

— პირველი, რაც ამ მიმართულებით ვთარგმნე, იყო XIII საუკუნეში ჩაწერილი ძალიან საინტერესო თურქული ტექსტი — „ოლუზნამე“, ანუ ოლუზთა ნიგნი. ვთარგმნე ისე, როგორც მისი თანამედროვენი წაიკითხავდნენ. იმავე პერიოდში ითარგმნა კიდევ ერთი თურქული ფოლკლორული ტექსტი, რომლითაც მთარგმნელმა ფაქტობრივად, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა. ჩემთვის ეს მიუღებელია. მოგვიანებით მის მაგალითზე დავწერე კიდევ — „როგორ არ უნდა თარგმნო ფოლკლორი“. არ შეიძლება დედანში არსებული „წავიდა“ „წარვიდა“-თი გადმოიტანო მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი ტექსტია. იმ დროში მკითხველს ხომ ჩვეულებრივად ესმოდა?! ასე იყო თუ ისე, „ოლუზნამეს“ თარგმნის შემდეგ დამიკავშირდა მხატვრული თარგმანის კოლეგიის თავმჯდომარე ოთარ ნოდია და მათ ფონდებში არსებული ფოლკლორული მასალის თარგმნა შემომთავაზა. მასალა ძალიან დიდი იყო — ფაქტობრივად, მთელი კავკასიური ფოლკლორი. დავინყეთ მუშაობა, მაგრამ მერე ქვეყანა აირია და ამისთვის არავის ეცალა. მოგვიანებით ეს საქმე „კავკასიურმა სახლმა“ გააგრძელა. დღეისთვის 19 ნიგნია გამოცემული. მეოცეა „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, რომელიც ამ ყველაფერს აერთიანებს. ერთი რამ უნდა აღვნიშნო —



ბაკურ სულაკაური:


# „მკითხველმა საბრძოლვად იმატა“

დასასრული

ლაკაურის გამომცემლობის“ ძალზე სახასიათო ნიშანია.

ჩვენი ერთ-ერთი მისიაა, გავაცნოთ ქართველ მკითხველს ის ლიტერატურა, რომელიც სწორედ ახლაა პოპულარული მსოფლიოში და არა ის — მრავალი წლის წინ რომ იყო. დავდივართ წიგნის ბაზრობებზე, გვაქვს ურთიერთობა სხვადასხვა უცხოურ გამომცემლობასთან და ვიცით, რას გამოსცემენ ისინი. არის წიგნები, უცხად რომ გაითქვას სახელი და მათ მილიონობით ადამიანი კითხულობს. ასეთი იყო, მაგალითად, „ბინდი“, მისი ოთხი ტომი გამოვეცით; ასეთია „შიშხილის თამაშები“, რომლის მეორე ტომიც ახლა გამოვა, წლის ბოლომდე კი სამივე ტომი გვექნება ქართულად.

უცხოელი ავტორების ცნობილი ნაწარმოებები საქართველოში ყოველთვის დიდი ხნით იგვიანებდა, მაგალითად მარკ ტვენის წიგნები ორიგინალის გამოცემიდან ათწლეულების შემდეგ გამოვიდა ქართულ ენაზე, ასე იყო ნებისმიერი სხვა ავტორის შემთხვევაშიც. თანამედროვე მხატვრულ პროზაში — თარგმანებში — ჩვენ არაერთ სხვა ლიტერატურულ პროექტს ვახორციელებთ, თუმცა ძალიან ბევრს ვუშაობთ ამ მიმართულებითაც, რადგან გვინდა, თანამედროვე ბესტსელერებს ქართველი მკითხველი მსოფლიოსთან ერთად ეცნობოდეს. მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი სიახლეა, ყოველდღიურად სხვადასხვა ენაზე უამრავი წიგნი გამოდის, ყველაფრის თარგმანს ცხადია ვერ შევძლებთ, პრეტენზიაც არ გვაქვს, რომ ყველას ინტერესს დავაკმაყოფილებთ. შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობთ შევარჩიოთ ისეთი წიგნები, რაც ჩვენი აზრით ქართველ მკითხველს დაინტერესებს.



ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარებისთვის, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ჩართულობისთვის ალბათ ძალზე მნიშვნელოვანია კონტაქტები, რაც ქართველ და უცხოელ გამომცემლობებს შორის ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაცხოველდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით გამართული ფორუმ-დიალოგები ამგვარი საქმიანი შეხვედრებისთვის საუკეთესო ადგილად იქცა. საინტერესოა თქვენმა გამომცემლობამ თუ დაინტერესა უცხოელი კოლეგები რომელიმე ქართველი ავტორით?

— ასეთი ტიპის შეხვედრებს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ჩვენი ერთ-ერთი მისიაა ქართულ ენაზე ვთარგმნოთ თანამედროვე უცხოელ ავტორთა წიგნები, მაგრამ ამავე დროს გვაქვს მიზანი — გავაცნოთ ქართული ლიტერატურა უცხოელ მკითხველს. ამას კი შემდეგნაირად ვაკეთებთ: დავდივართ სხვადასხვა ქვეყნის წიგნის ბაზრობებზე, ვხვდებით ჩვენს კოლეგებს და ვთავაზობთ ქართველი ავტორების გამოცემას. ზოგჯერ — კულტურის სამინისტროს მიერ გამართულ ლიტერატურულ ფორუმებზე — ისინი ჩამოდიან ჩვენთან. ბუნებრივია, რომ ასეთ ინტენსიურ ურთიერთობებს გარკვეული შედეგი მოჰყვება. მაგალითად, წლებიანდელი ფორუმის ერთ-ერთი სტუმარი აკა მორჩილაძის წიგნით — „ძველი გულებისა და ხმლისა“ — დაინტერესდა. ნაწარმოების თარგმანს დაწესებულია და ის შევედით გამოიცემა; შარშან თამთა მელაშვილის „გათვლა“ გამოვიდა გერმანულ ენაზე. ეს ჯერ ზღვაში წვეთია, მაგრამ მთავარია, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით. ათი წლის წინ მსგავსი არაფერი ხდებოდა. ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი ყოველ ახალ წიგნთან ერთად გაიზარდა, შეიძლება ის ერთბაშად მსოფლიოს ყურადღების ცენტრში არ მოექცეს, მაგრამ ჩვენთვის ცნობილ ქართველ ავტორებს უცხოელი მკითხველიც თანდათან გაიცნობს. ჩვენს მწერლებსაც მუშაობის მეტი სტიმული ექნებათ.

ბატონო ბაკურ, სამი წლის წინ, როცა თქვენი გამომცემლობის დირექტორთან, ქალბატონ თინა მამულაშვილთან ვიყავი ინტერვიუზე, უკვე ძალზე მძლავრი გამომცემლობა გქონდათ, თუმცა მას შემდეგ თქვენმა საქმიანობამ სრულიად სხვა მასშტაბები მიიღო.

— გამომცემლობის სტრუქტურა არ შეცვლილა, ამ მხრივ ყველაფერი ისევეა, რაც ადრე იყო, მასშტაბები კი ბოლო წლებში მართლაც გაიზარდა. 1999 წელს, როცა საგამომცემლო საქმეს ვინწყებდით, საქართველოში ერთიანად არ გამოდიოდა იმდენი წიგნი, რამდენსაც ახლა ვუშ-

ვებთ. თუმცა სხვა გამომცემლობებიც გაიზარდნენ. ზოგადად, წიგნის ბაზარი გაიზარდა საქართველოში.

ამგვარი ზრდა რა ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობა?

— რამდენიმე ფაქტორია. ერთ-ერთი ის არის, რომ ადამიანებს გაცილებით მეტად აინტერესებთ წიგნი, ვიდრე — თუნდაც ათი წლის წინ.

მამ, მკითხველმა იმატა?

— მკითხველმა საგრძობლად იმატა. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ეს რომ ვერ დაინახოს. ხოლო ვინც ვერ ხედავს, მათთვის ციფრების დასახელებაც შეიძლება: მაგალითად: ათი წლის წინ, როცა ჩვენ რომელიმე თანამედროვე უცხოელი ავტორის თარგმნილ წიგნს გამოცემდით, საწყისი ტირაჟი ორმოცდაათიდან ას ეგზემპლარამდე იყო. ახლა ხუთასიდან ათასამდე — მინიმალური ტირაჟია. ზოგ შემთხვევაში 5 ათას ეგზემპლარსაც ვუშვებთ. აი, ასეთია განსხვავება. იგივე შემთხვევაში ვთქვა ქართველი ავტორების წიგნებზეც. თუ, მაგალითად, აკა მორჩილაძის ან დათო ტურაშვილის წიგნების მაქსიმალური ტირაჟი 500 ეგზემპლარი იყო და ორი-სამი წელი სჭირდებოდა მათ გაყიდვას, ახლა ამდენივე ეგზემპლარი იგივე ავტორებისთვის მინიმალური ტირაჟია. მათი წიგნები წელიწადში საშუალოდ ათასიდან 2 ათასამდე იყიდება. ეს ნიშნავს, რომ მკითხველის რაოდენობა გაიზარდა. თუმცა ეს ვერ იქნებოდა საკმარისი მიზეზი ბაზრის გაფართოვებისა.

მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაზრდაა. შესაბამისად, თუკი ადრე ადამიანებს წიგნისთვის გამოყოფილი ჰქონდათ, სიტყვაზე, წელიწადში 10 ლარი, ახლა რამდენიმე ასულ ლარს ხარჯავენ სასურველი ლიტერატურის შესაძენად. და ამას ერთი დღე ორი კი არა, ათასობით ადამიანი აკეთებს. ეს კი საშუალებას აძლევს გამომცემლებს, გაითვალისწინონ მზარდი მოთხოვნები და სხვადასხვა დასახელების მეტი და მეტი წიგნი გამოუშვან.

ესაუბრა თამარ ჟურული

დასასრული

როდესაც ერთად თავმოყრილ კავკასიურ ფოლკლორს კითხულობ, ხვდები, რამდენი რამ არის ფოლკლორში, რაც კავკასიურ ერთობას განაპირობებს.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორში თემატიკა მეორდება. ქართულიდან ნაღბული თემები ბევრია?

— ფოლკლორისთვის ეს ჩვეულებრივია. ვინ საიდან წაიღო, ამაზე აღარ ლაპარაკობენ, მაგრამ რასაკვირველია, ბევრია საერთო: მეზობლები იყვნენ, ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მსგავსი ადათ-წესები ჰქონდათ. თუმცა ასეთ სიტყვებს ჩვენს გარდა ვერსად ნახავთ:

„რაქქინისა ციხე ავაგე, ჯავრი შავაბი კარადა, საიქიოდან მოვიდნენ, იმ ციხის სანახავადა, უარეს, კარ ვერ უპოვეს, ვერც შეანგრის ძალადა, მემრე თქვეს: დრო რომ მოაღის, კარ გაიღების თავადა“.

საინტერესოა, რომ მთელს კავკასიაში დიდტანიანი ებოსები დომინირებს, ჩვენ კი ლირიკული ლექსები გვირჩევენია. ეს ალბათ ქართველი კაცის ბუნებაშია — ერთბაშად „ამოთქმული ლექსი“ უფრო მისი უფლია.

ახლა რაზე მუშაობთ?

— თითქმის დავასრულე ფამუქის კიდევ ერთი რომანის — „მდუმარე სახლი“-ს თარგმნა. ეს არის ადრეული პერიოდის, 1980-83 წლებში დაწერილი ნაწარმოები. ჩემი აზრით, როგორც რომანი „მე მქვია ნითელზე“ გაცილებით ღრმავა, მაგრამ ისეთი ლამაზი ალბათ ვერ გამოვა. საოცრად ფაქიზ თემებზე წერს. გაუცხოებისა და მარტოობის პრობლემას მსოფლიო ლიტერატურაში დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ აქ საკითხი საინტერესო კუთხითაა დანახული. ტექსტში ნაჩვენებია გაუცხოება ერთ ოჯახში მცხოვრებ ადამიანებს, სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის და მარტოობის საშინელი, შემზარავი განცდა, რომელ-

ლია ჩლაიძე:

# „ეს ჩემი წიგნი იყო“

ითაც მთელი წიგნია გამსჭვალული. ადამიანები არიან ერთად და ამავე დროს, მართო. ერთ სახლში ცხოვრობენ და ერთმანეთის არ ესმით. ეს ყველაფერი მწერალს საოცარი ოსტატობით აქვს დახატული.

რა პერიოდს ეხება ნაწარმოები?

— XX საუკუნის პირველ ნახევარს, რომელიც თურქეთის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია — ათა-თურქის რევოლუციისა და რეფორმების ხანა. თუმცა ამის შესახებ სხვათა მონაყოლით ვიგებთ. რეალური მოქმედება უფრო გვიან ხდება.


ფაქტია, რომ ფამუქის შემოქმედე-



ბა სრულიად ამოვარდნილია თანამედროვე თურქული რეალობიდან. ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული თვალსაზრისით. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ამ ჩაკეტილ სამყაროში ასეთი მასშტაბური მწერლის დაბადება?

— რატომ არის თურქული სამყარო

ჩაკეტილი? ჩვენ გვეჩვენებოდა ასე, თორემ თურქეთი ევროპისგან იზოლირებული არასოდეს ყოფილა. ციხეში ყოფნისას თურქმა პოეტმა, ნაზიმ ჰიქმეთმა გაიცნო მინის საბრძოლვეო მუშა, იბრაჰიმ ბალახანი, რომელსაც ხატვის ანა-ბანა ასწავლა. მოგვიანებით ეს კაცი ცნობილი თურქი მხატვარი გახდა, რომელიც ევროპული დონის ნამუშევრებს ქმნიდა. თურქებს ჰყავდათ საოცარი კარიკატურისტი თურჰან სელჩუკი, რომელმაც ამ უანრში რამდენიმე საერთაშორისო პრემია მიიღო. რასაკვირველია, ტრადიციული ხელოვნებაც არის, მაგრამ ევროპასთან სიახლოვე ძალიან დიდია. ათწლეულების განმავლო-



ბაში არისტოკრატია და ინტელიგენცია განათლებას ევროპაში იღებდა და მერე ეს ყველაფერი ქვეყანაში შემოჰქონდა. თუნდაც ის, რომ თურქი ქალები ჩადრს არ იფარებდნენ და არც თავნაკრულები დადიოდნენ, ბევრს ნიშნავს, თუმცა დღეს ვითარება ცოტა დამძიმებულია.

თურქები ყველაზე ნაკლებფანატიკოსი მუსლიმები იყვნენ და დღემდე არიან (თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს არ ჩავთვლით). თურქული ლიტერატურა, განსხვავებით თანამედროვე არაბულ-სპარსულისგან, მხოლოდ გეოგრაფიული პრინციპით შეიძლება ჩაითვალოს აღმოსავლურ ლიტერატურად — წერდნენ თავის დროზე ძალიან ცნობილი ლიტერატორები. ეს ყოველთვის იყო ევროპული ტიპის მწერლობა. ამ თემაზე თანერიც მსჯელობს.

თუმცა საშუალო ფენის უფლებები, განსაკუთრებით ქალების, ბევრად შეზღუდულია, თუნდაც იმ ფაქტების მიხედვით, რასაც მხატვრულ ტექსტებში ვკითხულობთ.

— ეს საკითხი ლიტერატურაში მართლაც ფიგურირებს. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში ამ თემაზე დაწერილი ტექსტებს უფრო სიამოვნებით თარგმნიდნენ, ვიდრე „საწილს გასეირნებას“, ამიტომ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ საბაჰათინ ალი გვაქვს და თანერი — არა, მაგრამ რეალურად სხვაგვარი სურათი იყო. თურქული მწერლობა არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპულს. შეიძლება დოსტოევსკი არ ჰყავდათ, მაგრამ საინტერესო ხელოვნებით არსებობდნენ. სხვათა შორის, დოსტოევსკი მათთან ძალიან პოპულარული იყო. მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირში კრძალავდნენ, თურქეთში თავისუფლად იყიდებოდა ამ ავტორის წიგნები. თანერს კარგად თუ ნაკითხავთ, ნახავთ, რომ მისთვის ჩვენს უცხო არ არის და გავლენასაც აღმოაჩენს. ასე რომ, თურქული მწერლობა ყოველთვის იყო ერთიანი მსოფლიო ლიტერატურული პროცესის მონაწილე.

ესაუბრა ნანა კობაიძე

რომცა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს — „მზის რაინდი“ — ვეცნობოდი, ერთი თავისებური აზრი მეებადებოდა: ალექსანდრე ბატონიშვილის თავდადება მუდმივად ქაქუცა ჩოლოყაშვილს მახსენებდა. გენეზისი ერთი გამჭვირვალეობა და მეორის გონებაშეხილობა, ალექსანდრეს უკომპრომისობა და ქაქუცას ზღაპრული სიმამაცე, ბატონიშვილის არნახული შეუდრეკელობა და ქაქუცას მიზანსწრაფვა, იდეალების სრული თანხვედრა და მიზნის მიხალწევადაც ყველაფრის განიერის დაუძლეველი სურვილი.

ისე კი არ გაგიკვირდეთ: მთელი ამ წიგნის კითხვის დროს ორი თავისებური ჯალათიც მაგონდებოდა — ფილოსოფოს ლაგარპის მიერ აღზრდილი და პირდაპირ შეუდარებელი ფარისეველი ალექსანდრე I, რომელიც ყოველთვის ამტკიცებდა, ჩვენ საქართველო არ დაგვიპყრია, უბრალოდ, ამოწყვეტას გადავარჩინეთო; კაცი, რომელმაც არნახული ვირტუოზობით მოაწყო „საკუთარი სიკვდილის“ ინსცენირება, ტახტი ძმას გადაულოცა, ციმბირში გადაიხვეწა, სადაც მრავალი წლის მანძილზე, არ ვიცით, ცოდეგს ინანიებდა თუ რას აკეთებდა. ამ საკითხზე ლევ ტოლსტოის ჩინებული მოთხრობაც არ დავივიწყებ. მეორე ჯალათი მასზე გაცილებით უმცროსი ძმა ნიკოლოზი იყო, რომელსაც მასწავლებელმა, გენერალმა ლამსდორფმა, ვინ იცის, რამდენი სახაზავი უთავაზა, სანამ თავის „გერმანულ ჭკუაზე“ დააყენებდა, ადრე კი იმპერატორის, საკუთარი ძმის დაჟინებულ თხოვნაზე — გამეფებულიყო, ასეთნაირად პასუხობდა: „თქვენო უდიდებულესობა! განა მე თქვენთვის რაიმე დამიშავებია, რატომ მსჯივით?“ შემდეგ კი მაინც გამეფდა და, ჯოხად ნოდებულმა, არაერთი ხალხი დასაჯა.

ალექსანდრე ბატონიშვილს, ბუნებით ამ უსპეტაკეს ადამიანს, წლების განმავლობაში ამ ორ საშინელ ურჩხულთან მოუხდა ბრძოლა. ნურც საქართველოსათვის საშინელ ჭირად მოვლენილ გენერალ პავლე ციციანოვს დავივიწყებთ, რომელსაც „იმპერიის ავი გერი“ გვინდა ვუწოდოთ. გენერლის მართებული (თუ რუსულ პოზიციებს გავითვალისწინებთ) რჩევით, საქართველო მანამდე არ დაშოშინდებოდა, სანამ იქ თუნდაც ერთი ბაგრატიონი დარჩებოდა. მიზანს, ბოლოსდაბოლოს, მიაღწიეს კიდეც. ალექსანდრეს კი სთავაზობდნენ დიდ პენსიას და რუსეთში ნებევირად ცხოვრებას, რაც მთელ რიგ შემთხვევაში სხვა ბატონიშვილებს აუსრულეს კიდეც. არა, ამას მათთვის ესოდენ საშიშ და გაუტყებელ ალექსანდრეს არ გაუკეთებდნენ. ელოდა განთქმული სოლოვიკი და კიდეც უფრო ცნობილი კოლიმა, რომელზეც ჩინებული პოეტი იუზ ოლეშკოვსკი წერდა: „12 თვე ზამთარია და დანარჩენი ზაფხული“. მართალია, იმხანად არც სოლოვიკი არსებობდა და არც კოლიმა, მაგრამ რუსეთში „თეთრ ჯოჯოხეთს“ რა გამოიყვება. ეს ხომ შემდეგში მრავალმა ქართველმა გამოსცადა.

ვიდრე რუსებს დაუპირისპირდებოდა, ალექსანდრეს ჯერ საშინელ მტერ ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლა მოუხდა. როცა ყაჯარმა შუშისა და ერევნის სახანოების დასამორჩილებლად მ-ათასიანი ჯარი გაგზავნა, ერეკლემ ალექსანდრეს დაავალა მისი ძალადობის აღკვეთა. ქართველებმა 25 წლის ალექსანდრეს ჩინებული სარდლობით ყარაბაღის ვინროებში სასტიკად დაამარცხეს ირანელები. ამას რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი აღნიშნავს.

ბატონიშვილთაგან ალექსანდრე, ეტყობა, სხვებზე ადრე მიხედა, რომ რუსებთან მოლაპარაკებას თუ ხეცნა-მუდარას არავითარი აზრი არა ჰქონდა, რომ მათი ერთადერთი მიზანი საქართველოს დაპყრობა გახლდათ. ალექსანდრესთვის კარგად იყო ცნობილი ალა-მაჰმად-ხანის წერილი ერეკლესადმი, რუსები რომ მოგყავს, განა არ იცი, ისინი საიდანმე უკან წამსვლელი რომ არ არიანო?!


ალმა კი ძალიან კარგად იცოდა, რასაც ამბობდა. იგი ახლავდა რუსს, როდესაც დაუპატიჟებლად მოსულმა იუსულმა ესკადრამ ადმირალ ვრანგელის მეთაურობით ჯარი გადმოსხა და ყაჯარების შემკვიდრებით კუთვნილი მაზანდარანი და გილიანი დაიკავა, ერთი სიტყვით, კასპის ზღვის მთელი სამხრეთი სანაპირო, ალა-მაჰმად-ხანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ისინი ძალით უკანვე გაესტუმრებინა. სხვა ადგილას იგი ამბობს, რუსები წავიდნენ თავიანთ საძაგელ სამშობლოში, თუმცა შემდეგ გაქნილმა რუსულმა დიპ-

ლომატიამ ისე უბიძგა, რომ თავისი ინტერესების შესაბამისად გამოიყენა. კრწანისი აბა სხვა რა იყო?!

როგორ ემთხვევა ეს სიტყვები იმას, რაც ერეკლესა და გიორგისაგან ესოდენ დაფასებულმა პატრმა ნიკოლამ მეფეს უთხრა: „სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნების დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი, შექმნის ერს მტერად და მდევნელად და მანუხებლად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა, უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა, რომელთაცა თქვენ ვერ

გივი გამრეკელი

როცა „მზის რაინდს“ ვკითხულობდი...



შეძლებო. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაიციდებიან ბარაბანით და მკვდარნი თქვენი დაიმარხებიან მუსიკითა“.

და რახან ალექსანდრე ბატონიშვილი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეჯუბოდა იმას, რომ „სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნება დაცინებული და საკიცხველი“, მან ჯერ კიდეც გიორგი XII-ის მეფობის დროს დაიწყო რუსებთან ბრძოლა. 1800 წლის 7 ნოემბერს, მდინარე იორის მარჯვენა ნაპირზე სოფ. კაკაბეთთან, წინ აღუდგა რუსებს გენერალ ლაზარევის სარდლობით და მათ მომხრე ქართველებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრეს ძმისწულეები იოანე და ბაგრატ, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამით თავსაც კი იწინებდნენ! მკითხველი „მზის რაინდში“ ამას აუცილებლად მიაპყრობს ყურადღებას.

ეს ბრძოლა შემდეგ მრავალ წელს გაგრძელდა და თუმცა ორივე მხარემ საგრძნობი მარცხი იწვნია თუ ჭრილობები მიიღო, მტერმა ოდნავაც ვერ მიაღწია მიზანს, ბატონიშვილს ფეხი უკან ვერ გადაადგმევინა. პირიქით, იყო შემთხვევები, როცა ალექსანდრემ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

განა ციციანოვი როდესმე დაივიწყებდა, როცა იგი ერევანს უტევდა და სწორედ ალექსანდრეს მარჯვე მოქმედების გამო იძულებული გახდა შერცხვენილი უკანვე გამობრუნებულიყო?! აქ საქმე ერევნის

ციხე-სიმაგრის სიმძლავრეში არ ყოფილა (თუმცა რატომ იყო ეს ციხე აუღებელი, მე პირადად რომ ვნახე, იქ განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე, ამბობდა მრავალი წლის შემდეგ ნიკოლოზ I), არამედ იმაში, რომ ალექსანდრე რუსების ჯარს ზურგში მოექცა.

აი, რას წერს რუსი ისტორიკოსი ლავროვი 1904 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში, სადაც ალექსანდრე მრავალგზის არის მოხსენიებული: „რუსების ზურგში აღმოჩნდა გაქცეული ბატონიშვილი ალექსანდრე სპარსელების დიდი ძალებით. იგი ბამბაკის პროვინციაში შეიჭრა (ლორესთან) და იმუქრებოდა ერევანთან მდგომი ჯარი საქართველოსთან მოექცა“. ალექსანდრე ისე ენერგიულად მოქმედებდა, რომ მას ვერაფ-

გათავისუფლებდა საქართველოს. თითქოს იგი გადაცემული შემოდოდა თბილისში და სიონში ლოცულობდა. ცხადია, მას უამრავი თბილისელი ცნობდა, მაგრამ არცერთმა არ იკადრა დაბეზლება და ბატონიშვილიც უვნებლად გადარჩა.

შემდეგ ამ ლეგენდის ანარეკლი გამოჩნდა ძალიან კარგი მწერლის, ვალერიან სორნის რომანში „კენინა ნექტარიანი“, რომელსაც ვალერიან გუნიამ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში მიაქცია ყურადღება და „იგველისათვის“ თარგმნა.

რომანში აღწერილია, რომ ალექსანდრე უკვე თბილისშია, ქართველ დიდებულლებთან მიმოწერაც აქვს, ქალაქში ხშირად უშიშრად დადის. „ჯეჭურმა (ერთ-ერთი მოქმედი პირია) დაინახა ვილაც კაცი. თუმცა ამ კაცს ბიჭის ძველი ტანთ-სამოსი ეცვა, მაგრამ ყოველ მის მოძრაობას, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, მის ალვის მსგავს ტანს აშკარად ეტყობოდა, რომ ეს ის არ იყო, რომლის ტანისამოსიც ეცვა — ყველაფერში მოჩანდა მისი კეთილშობილება, მისი დიდებულობა.

— წმინდა გიორგი! ეს რას ვხედავ, ბატონიშვილო, რას სჩადისხართ? განა დაგავინყდათ, რომ მთელ ქალაქში გეძებენ? ასე უშიშრად შუადღისას დასეირნობთ ქუჩა-ქუჩა?

— განა არ მხედავ, რა ტანისამოსი მაცვია!

— ვაიმე, ბატონიშვილო! ეს ტანისამოსი თქვენ იმდენად გფარავთ, რამდენადც ალმასს უხეირო ვერცხლი. განა თქვენებრ საუნჯე ამ ტანისამოსში დამალულია. ღვთის გულისათვის, ბატონიშვილო, ეხლავე დაბრუნდით, სანამ სომეხს თვალი არ მოუკრავს თქვენთვის“.

მწერალი აღტაცებულია ალექსანდრეს სიმამაცითა და კეთილშობილებით. ამაზევე წერენ ისეთი აღიარებული სამხედრო ისტორიკოსები, როგორიც იყვნენ პოლკოვნიკი პოტო და დუბროვინი (აკადემიკოსი და, ამავე დროს, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი). თუმცა მათთვის ცხადია, რომ ბატონიშვილს სპარსელები მაინცდამაინც რეალურ დახმარებას ვერ უწევდნენ, და, რამდენიც უნდა ეცადა, რუსებთან ვერაფერს გახდებოდა, თუმცა ვერ ეგუებოდა საქართველოს გადაქცევას იმპერიის ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიად, წინ ვერ აღუდგებოდა. ისე კი რაოდენი შეუპოვრობა, გენეზისი გამჭვირვალეობა, სამხედრო ნიჭი, სიჯიუტე გამოიჩინა. ამის მაგალითს მკითხველი „მზის რაინდში“ უამრავს ნახავს. ისე კი შეიძლება სხვისი ცნობილი გამოთქმაც გამოვიყენოთ: ალექსანდრე ბატონიშვილის მსგავსი ვაჟკაცი და მამულიშვილი რომ არ გვეყოლოდა (მას როსტომ ჩხეიძე თავის სხვა წიგნებშიც დიდ ყურადღებას უთმობს!), იგი უნდა მოგვეგონებინა!

ისევე, როგორც ყველა სხვა ავტორს, როსტომ ჩხეიძესაც არ შეეძლო ორიოდე სიტყვით არ ეხსენებინა ცნობილი ლეგენდა შამილისა და ალექსანდრეს შესახებ. ალექსანდრე რომ შამილის მამა ვერ იქნებოდა, ამაზე არავინ დავობს. ისე კი ძალიან საინტერესოა, როგორ, რა პირობებში შეიქმნა ეს უჩვეულო რამ, ვის მიერ და რისთვის. შამილის მამა დენგუ მუჰამედ უზდენი იყო და მისი ბიოგრაფია (ამ გამოუწონებელი ლოთისა, რომელიც შვილს ისე არცხვენდა, რომ იგი თვითმკვლელობით დაემუქრა), ისევე ცნობილია, როგორც იმამის დედისა (რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ მშვენიერი მოთხრობა მიუძღვნა).

ლეგენდა, თუკი გამოჩენილ ებრაელ ისტორიკოს მომე ჰამესს ვერწმუნებით, შეიქმნა მაშინ, როდესაც შამილის დიდებამ ზენიტს მიაღწია და მას უკვე კავკასიის ყველა ხალხის ზელადსაც კი უწოდებდნენ. ლეგენდის ავტორები შამილის უახლოესი მომხრენი იყვნენ, რომლებიც თავიანთ მომხრეებსაც და ბევრ სხვასაც ჩააგონებდნენ, აი, როგორი დევგმირის შვილია (!) იგი და, რაც მთავარია, ვისი (!!) შვილი იშვილია! სად ვილაც უზდენი (შეიძლება წვირლ აზნაურს შევადაროთ) და სად მთელ აღმოსავლეთში განთქმული რაინდი ალექსანდრე და, მითუმეტეს, თავისი გონებით და შეუდარებელი საბრძოლო ღირსებებით შემკული „კავკასიის მამა“ ერეკლე. რუსი ისტორიკოსების სიტყვით რომ ვთქვათ, რომელთანაც შედარებით ფრიდრის დიდი (თავისთავს რომ ერეკლეს გვერდით მოიხსენიებდა) თითქოს საერთოდ არაფერს წარმოადგენდა. აჭარებდნენ, განზრახ ძალიან აჭარებდნენ!

ისიც ბევრს ახსოვდა, რომ ერეკლე არა-დასასრული მე-16 გვერდზე

დახიზი

თავისი სახელი არ იცოდა. არც დედა ახსოვდა, არც — მამა. ქუჩა-ქუჩა დანან-ნაღებდა დღისით და ღამით, ზამთარ-ზაფხულს. დიდი ქალაქი იყო მისი სახლი... რამდენი რამე უნახავს და იცოდა, რას არ შეხსრებია. რამდენჯერ დასცინეს, რამდენჯერ ქვა ესროლეს და რამდენჯერ მოარტყეს... გაუგდიათ ეზოდან, სადარბაზოდან... რამდენჯერ! ბევრჯერ მოსვლია ჩხუბი სხვა მანანაა და ძაღლებთან. უშიშარი იყო, არავის უთმობდა. არცერთ ხროვას არ ეკუთვნოდა, მართო ყოფნა ერჩივნა. თვითონ იყო თავისი თავის ბატონ-პატრონი. მან თავისუფლება აირჩია, ასე უფრო მონონდა. ბევრი რამ ისწავლა ქუჩაში — სად, როდის და როგორ მოეპოვებინა საჩუქარი. სახეზე სცნობდა ადამიანებს, იცოდა ვისთან მისულიყო და ვისთან — არა. ოთხ კატეგორიად დაყო ისინი: პირველი — ვისაც ცხოველები უყვარს, მეორე — ვისაც ცხოველების ეშინია, მესამე — ვისაც ცხოველები ეზიზღება და მეოთხე — ვისთვისაც სულერთია მათი არსებობა. მესამე კატეგორია დიდი აგრესიულობით გამოირჩეოდა და ეს გასაგებიც იყო, მაგრამ ვერაფერი გაეგო მათი, ვინც მეოთხეში შეიყვანა. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლება „რალაც“ ან „ვილაც“ სულერთი იყოს?! თავად ჭიანჭველებსაც კი აკვირდებოდა, შეეძლო დიდხანს თვალი არ მოეცილებინა და აღმოაჩინა, რომ ისინი განუწყვეტლივ მოძრაობაში იყვნენ. დაასკვნა კიდეც — საერთოდ არ იძინებენო — და მართალიც იყო, მაგრამ ეს არ იცოდა. აბა, საიდან? ახლა საფიქრალი ერთი ჰქონდა — მთვარეზე მოხვედრა უნდოდა, ძალიან მოხეზრდა აქაურობა!.. ინვა დიდი სანაგვე ურნის ქვეშ, სევდიანი, ჩაფიქრებული. თოვდა. ძალიან უყვარდა თოვლი, მაგრამ სიცივე არ სიამოვნებდა. ზამთარში საკვები ძნელად მოიპოვებოდა. იცოდა, რომ ადამიანები ზამთარში გაცილებით მეტ საკვებს მიირთმევენ და, სათანადოთ, ნაკლებს მოიქნევენ ურნაში... ო, ეს ხმა! როგორი ბრახუნით ვარდებდა ნაგავი! მშიშარა არ იყო, მაგრამ, თუ ამ დროს ეძინა, მაინც შეხტებოდა ამ არასასიამოვნო ხმაურზე. გუშინ და დღეს არაფერი ეჭამა. იჯდა და ელოდა. ამ ურნის ქვეშ პირველად მოკალათდა. დამდებოდა. ისევ უხვად თოვდა. თვალს არ აშორებდა ფიფქებს. დიდი სახლის სადარბაზოს კარი გაიღო და მამაკაცი გამოვიდა, რომელსაც ხელში პარკი ეჭირა. სხვადასხვა საკვების სუნი იგრძნო და პირს ნერწყვი მოადგა. მამაკაცი ურნას უახლოვდებოდა. ახალა შეამჩნია რომ უკან, თოკზე გამობმული თოვლივით თეთრი ბუნებით, მართალია გრძელი, მაგრამ ძალიან ლამაზყურებიანი პატარა ძაღლი მოჰყვებოდა. მისი სუნიც იგრძნო. სულ სხვა სუნი ჰქონდა. რა თქმა უნდა, იმგვარი არა, ქუჩის ძაღლებს რომ აქვთ. მრავალი უნახავს მოვლილი ძაღლი, მაგრამ ასეთი სუნი და ასეთი თეთრი — არასოდეს!.. არ მოსწონდა მათი ცხოვრება — ხშირად თოკზე გამობმული, დაგიძახებენ — უნდა მიხვიდე, რალაც არ მოეწონებათ — უკეთეს შემთხვევაში საყვედური, შემთხვევით იატაკი თუ დათხუპნე — რაც ხელში მოხვდებოდა შესაძლოა ვერ აიცილინო (გააჩნია გამომტყორცნის მონაცემებს). მართალია არ სცივიათ, არ სწყურიათ, მაგრამ არა! არაფრით არ გაცვლიდა თავისუფლებას ამგვარი პირობებზე! ამიტომ არ შურდა მათი... ყურადღებით აკვირდებოდა გრძელყურას. უკვე საკმაოდ ახლოს იყვნენ, როცა ის შეჩერდა. — ნამოდი, ბიბო, — თოკი მოქაჩა მამაკაცი.

— აგიშვა? ახლავ, შე მოუსვენარო. თეთრი ბიბო ადგილზე დარჩა და ურნის ქვეშ წამოწოლილ ჭრელს უტყუარდა. ჭრელი რატომღაც წამოდგა, თავი დახარა და ახლა ქვემოდან აკვირდებოდა ბიბოს. რალაც დაემართა, ვერ მიმხვდარიყო რა. იდგა ერთ ადგილზე და ვერცერთ მხარეს ვერ მიდიოდა. რალაცამ გააშეშა. უჩვეულო იყო ეს მდგომარეობა. — რა გქვია? — ჰკითხა ბიბომ. — ხმაც რა ლამაზი აქვს!... ჰმ, „რა გქვია!“ მე რა ვიცი რა მქვია... — ფიქრობდა. — არ მეტყვი, რა გქვია? — ისევ გაუთმეორა. საზრიანი კი იყო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და რალაც წაილულულა. — ვერ გავიგე, რა თქვი? — არ მოეშვა ბიბო. მამაკაციმ სიგარეტს მოუკიდა. — რა კარგია, ცოტა ხანს კიდეც დარჩება! — გაიფიქრა და უცებ, — ბიბო! — თქვა. — ბიბო... როგორ ჰგავს ჩემს სახელს,

მერაბ ჩხაიძე  
ნახვამდის, ბოზო...



ლაშაზია. სად ცხოვრობ, ბიბო? — ...მთვარეზე ვაპირებ ნასვლას! — რაა? მთვარეზე? — ჰო, მთვარეზე — როდის? — ეს ჯერ არ ვიცი. — ბიბო, შენ ჩემზე უფროსი ჩანხარ, რამდენი წლის ხარ? — ოღონდ ეს არ ეკითხა! რა ვუთხრა ახლა? რა ვიცი მე, რამდენი წლის ვარ?! ოღონდ ეს არ ეკითხა! — გაიფიქრა და ასე მიუგო: — ნამდვილად შენზე უფროსი ვარ, — მერე მამაკაცს გახედა, რომელიც ისევ სიგარეტს ეწეოდა, მიხვდა, დრო კიდეც ჰქონდა. — მეც ხომ უნდა ვკითხო ან ვუთხრა რალაც? რა ვუთხრა? — გაიფიქრა... — იცი?... — რა? — იცი... მე თოვლი მიყვარს... შენ? — მეც მიყვარს, მაგრამ ამ დროს იშვიათად გამოვყავარ გარეთ. შენ სახლი არ გაქვს? — რას გადამეკიდა? — გაიფიქრა და, — ნამოვდი! — უთხრა. — რატომ? გაბრაზებდნენ? — არა, მე გავუბრაზდი... — რა დაგიშავს? — არ უშვებოდა. — რა უნდა ეთქვა? ვერაფერი მოიფიქრა და:

— მე თვითონ დავუშავე, — ეს უთხრა. — ჰა-ჰა-ჰა, შენ დაუშავე და შენვე გაუბრაზდი? რას ამბობ, ბიბო? ჰა-ჰა-ჰა. სულ მთლად დაიბნა ბიბო, მამაკაცს გახედა, რომელმაც ამ დროს სიგარეტის ნამწვავი ურნაში მოისროლა. — უფ, მემეველა! — ბიბომ შვებით ამოისუნთქა. მამაკაციმ ბიბო ხელში აიყვანა და სახლისკენ გაემართა. ბიბომ ბიბოს გამოხედა და დაემშვიდობა. — ჰო... ნახვამდის, — მაინც გული დასწყდა ბიბოს. სადარბაზოს კარი მიიხურა. რალაცნაირად აფორიაქებული იყო. სულ მთლად გადაავიწყდა საკვებით სავსე პარკი, რომელიც მამაკაციმ ურნაში ჩააგდო. კარს გასცქეროდა, რომლის იქითაც ბიბო გაუჩინარდა. — ნახვამდის... ლამაზი... თამამი... რამდენი შეკითხვა დამისვა?... თან როგორი?... არავის არასოდეს არ უკითხავს არც სახელი არც ასაკი... ეტყობა, კარგად უფლიან!.. შავი თვალები რომ არა, თოვლში არც გამოჩნდებოდა ისეთი თეთრია... შავი, ლამაზი თვალები... იმ საღამოს არ უძინია. სულ სხვა ცხოვრება დაეწყო. მთვარეზე ფიქრი ბიბოზე ფიქრებმა შეცვალეს და ზოგჯერ ეს აღიზიანებდა! თავს ვერაფერს უხერხებდა. ბიბომ თავის პრინციპს უღალატა — ის არასოდეს ჩერდებოდა ერთ ადგილზე ერთ დღელამდე მეტს! ახლა, ავე ერთი კვირაა, აქ, ამ ურნის ქვეშ დაიდო ბინა. დიდი სახლის ფანჯრებს გაჰყურებდა და თუ ფანჯრის რაფაზე შემოსკუპულ ბიბოს მოჰკრავდა თვალს, ამ დღეს არც სცივია, არც შიოდა და ვერც იძინებდა. ასე გაატარა მთელი ზამთარი. რამდენჯერ დასველდა, რამდენჯერ შესცივდა, რამდენჯერ გაცივდა... შეატყო, ჯანმრთელობა შეერყა. გახდა... დაუძლურდა... ბიბო მთელი ზამთარი არ ჩამოუყვანიათ. როგორ ელოდებოდა!! როგორც იქნა მიიწურა ეს საოცრად გრძელი ზამთარიც. გაზაფხულის ერთ-ერთ დილას სადარბაზოს კარი გაიღო და... ელირსა! გაზრდილი, და კიდეც უფრო დამშვენებული ბიბო ამჯერად ქალს მოჰყავდა. ქალს პარკი ეჭირა ხელში და ურნისკენ მოდიოდა. ბიბოს გულისცემამ უმატა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო... შერცხვა და თავი გვერდზე მიატრიალა, თითქოს ვერ შეამჩნია. — გამარჯობა, ბიბო, როგორ ხარ? — მიესალმა გახარებული ბიბო. ისევ სცადა წამოდგომა... ვერ! — გამარჯობა... არა მიშავს, შენ როგორ ხარ, ბიბო? — ძლივს წარმოსთქვა. — კარგად, მიხარია, რომ გნახე! — ერთი იცოდე, მე როგორ მინდოდა! — გაიფიქრა და — მეცო. ქალმა ნაგავი ურნაში ჩააგდო და ბიბო აუშვა. ბიბო ბუჩქებში გაიქცა... მერე ბიბოს მიუახლოვდა. — როგორ გამხდარხარ, ბიბო, ავად ხარ? — არა, მთვარეზე ნასასვლელად ვემზადები. — მართლა? რა კარგიაა! როდის? — ამ დროს ბიბოს დაუძახეს და სახლისკენ წაიყვანეს. — როდის, ბიბო! — ისევ ჰკითხა. — არ ვიცი. — ნახვამდის, ბიბო! — არ ვიცი... — ჩურჩულით თქვა ბიბომ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ამაღამ მთვარეზე წავიდოდა! და ეს ამბავი ბიბოს ისე რომ დაევერებინა, როგორც ეს მან გაიგო, გაჭირვებით, ხოხვით, სადამდეც შესძლო, იმ ადგილიდან კარგა მოშორებით, დიდი ქალაქის პატარა ბუჩქის ძირიდან ბიბო მთვარისკენ გაემურა...

გივი გამრეკელი  
როცა „მზის რაინდს“ ვკითხულობდი...

დასასრული  
სოდეს ივიწყებდა კავკასიელებთან მეგობრობას და ნათესაობას. მისი დიდედა ხომ ჩერქეზი იყო. ერეკლეც ცდილობდა ჩერქეზებს, რომლებიც მას დიდად დაეხმარნენ (ჰაპუნა ორბელიანს გადავხედოთ) ჰაჯი ჩალაბთან ბრძოლაში, კიდეცა და ნათესავეებოდა. 8 წლის გიორგი დანიშნეს ჩერქეზ ბატონის ვირვის, რომელიც ერეკლეს ხშირად თან ახლდა, ვითარცა მეგობარი, ქალზე და „განსასწავლებლად ქალისა წარუვლინეს მას თავადი შარიდან შალიკაშვილი, 6 მოახლე ქალი და აზნაურშვილის ქვლივიძის ქვრივი სოფლისა კავთისხევიდან, დედაკაცი მნიგნობარი ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუითა. დიდი ცხენოსანი იყო, ბრძანებდა თვით მეფე გიორგი. ქალი ესე ჩერქეზთა, დანიშნული გიორგიზე, შემდგომ მზადებისა ჯერათ მოუნათლავი, მოკვდა ყვავილისა სენითა სამშობლოსა თვისსა სახლს“ (პლატონ იოსელიანი).  
ბედი არ გინდა?! „მზის რაინდში“ მკითხველი აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას, რომ რაც ყმანვილ გიორგის გადახდა, მრავალი წლის შემდეგ ზუსტად იგივე გადაიტანა მისმა ძმამ, ალექსანდრემაც.  
ახლა კი სჯობს თვით როსტომ ჩხეიძეს მოვესმინოთ: „მეფე ერეკლე თვითონ ჩარეულიყო შვილის დაქორწინების სამზადისში და დიდი ყაბარდოს თავადის — მისოსტოვის — ასული შეერჩია.  
გადაჯაჭვოდა ეს ორი გვარი ერთმანეთს. თავიდან ალბათ პირმინიდან პოლიტიკური მოსაზრებები დაამოყვრებდა ბაგრატიონებს და ყაბარდოს მთავრებს, მაგრამ ისე შეთვისდებოდნენ, სხვაგან გახედვასაც აღარ მოინდომებდა ერეკლე მეორე, ალექსანდრესათვის ცოლის შერთვის ფაში რომ მოაწვედა.  
ვახტანგ მეექვსეს მეუღლეც განა ამ გვარიდან არ გახლდათ? მონათლავდნენ, ახალ სახელად რუსუდანს შეარქმევდნენ და, სხვა შვილებთან ერთად, შობდა თამარსაც — მეუღლეს თემურაზ მეორისა და დედას ერეკლესი, ვინც 1790 წელს მოციქულებს აახლებდა ყაბარდოს მთავარს, ისედაც ნათესავს, დავმოყვრდეთო.  
ალტაცდებოდა ამ შეთავაზებით მისოსტოვი და კიდეც წარმოგზავნიდა გოგონას ქართველთ მეფის კარზე — გამდელსა და რამდენიმე ყაბარდოელთან ერთად — ჩვენებურ ზნე-ჩვეულებებსა და წესებთან შესაჩვევ-შესაგუებლად, ქრისტეს მცნების შესათვისებლად, საღვთო წერილში გასანვრთნელად, შესაფერისი სწავლის მისაღებად, და, რასაკვირველია, სახელის გამოსაცვლელად.  
ეს გზა უკვე გაეარა რუსუდანს. ახლა ალექსანდრეს დანიშნული შეეყენებინა ამავე გზაზე.  
სახელად ნინოს შეურჩევდნენ ახალმონათულს.  
მეფე თავის რძალს მიუჩენდა, სალომე ამილახვარს და სიყვარული და ფუფუნება არ მოაკლდებოდა.  
მაგრამ განუკურნელი სნეულება უნდა შეჰყროდა ყაბარდოელ ასულს და... ზარი გამეფებულიყო ქართლ-კახეთის მეფის კარზე.  
გლოვას მიეცემოდა ალექსანდრე ბატონიშვილი...“  
„დიდ ადამიანებს ყოველთვის ჰყავდათ ბიოგრაფები“ (ზიგმუნდ ფროიდის აზრი გახლავთ), თუმცა „ბიოგრაფიული ჭეშმარიტება ყოველთვის მიუწვდომელია“ (ესეც ფროიდს ეკუთვნის). ჩვენი მხრივ გამოვთქვამთ აზრს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მიმართებით როსტომ ჩხეიძემ მიაგნო ჭეშმარიტებას. „მზის რაინდი“ ისეთიან-ადაა დაწერილი, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილის დიდ სახელს შეეფერება.  
ახლა, ვფიქრობთ, მისთვის მორიგი ასეთივე გოლიათის მოძიების დრო დგება. ჩვენ ბიოგრაფს ნურაფერს ვურჩევთ. თავადვე იცის.

ლიტერატურული გაზეთი  
გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ყურული  
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com